ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
24 ივნისი **ხუთშაბათი** 2010
№ 146 (13 134) ფასი 60 თეთრი

## 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| 26 ივნისი, შაბათი. 18:00 | 26 ივნისი, შაბათი. 22:30 |
| **ურუგვაი** | [illegible] |
| **სამხ. კორეა** | **განა** |
| პორტ ელიზაბეტი | რუსტენბურგი |
| 27 ივნისი, კვირა. 18:00 | 27 ივნისი, კვირა. 22:30 |
| **გერმანია** | **არგენტინა** |
| **ინგლისი** | **მექსიკა** |
| ბლუმფონტეინი | იოჰანესბურგი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროკლასიკა

## მერვედფინალში ინგლისი vs გერმანია



F ჯგუფი

### ლიპი: არავითარი სამი ფრე!

» გვერდი 5



დეფოს გოლი სლოვენიელთა კარში

### მძიმე ტვირთით

» გვერდი 3

C ჯგუფი



### ბენვის ხიდზე

იოზილის დარტყმამ მიზანს უწია

D ჯგუფი

» გვერდი 2



### მარადონა: დავიცვათ მესი!

» გვერდი 5



H ჯგუფი

### ვილია გადარჩა

» გვერდი 6



### სამართალმა პური ჭამა

დორონგოვანის სავალალო დარტყმის შემდეგ

» გვერდი 3

C ჯგუფი

D ჯგუფი

23 ივნისი. იოჰანესბურგი.
სოკერ სიტი. 83 391 მაყურებელი

**განა–გერმანია 0:1**

**განა (4-1-4-1):** კინგსონი - პანტსილი, ჯონათან მენსა, ჯონ მენსა, შარპეი - ანანი - ტაგოე (64. მუნტარი), კ. პ. ბოატენგი, ასამოა, აიევი (92. ადიაია) - გიანი (82. ამოა).

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, ჟ. ბოატენგი (73. იანსენი) - ხედირა, შვაინშტაიგერი (81. კროოსი) - მიულერი (67. ტროხოვსკი), იოზილი, პოდოლსკი - კაკაუ.

**გოლი:** 0:1 იოზილი (60)

**გაფრთხილება:** აიევი (40), მიულერი (43)

**მატჩი დაიწყო:** განა; **დარტყმა:** 17(3)-14(5); **ჯარიმა:** 11-5; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**არბიტრი:** კარლუშ სიმონი (ბრაზილია)




# ბენჩის ხიდზე

## მოასწრებს შვაინშტაიგერი გამოჯანმრთელებას?

სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყებოდა, გერმანული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, წარსულში ცნობილმა ათიანმა **გიუნტერ ნეტცერმა** ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თქვა, ოღონდაც, მერვედფინალში ინგლისს არ გადავეყაროთო... გუშინ, გერმანელებს შეეძლოთ, მერვედფინალში ინგლისთან თამაში თავიდან აეცილებინათ და აშშ-ის ნაკრებს გადაყროდნენ. ამისათვის საჭირო იყო ბოლო წუთებზე გოლის გაშვება, მაგრამ გერმანია არის გუნდი, რომელსაც ასეთი რაღაცები არ სჩვევია. ბუნდესგუნდმა ითამაშა, მოიგო და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ კვირას ინგლისს უნდა შეხვდეს, რადგან **ფაბიო კაპელოს** გუნდი თავის ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა. ამრიგად, ნაცვლად დაბალანსებული წყვილებისა, მერვედფინალში ასეთი მატჩები მივიღეთ: განა-აშშ და ინგლისი-გერმანია.

იოჰანესბურგის სტადიონ „სოკერ სიტიზე" შეკრებილი 83 000 მაყურებლის თვალწინ, გერმანელებმა და განელებმა ერთმანეთს დიდი ომი გაუჩაღეს, რომელიც მხოლოდ ბოლო წუთებში გახდა მოსაწყენი, რადგან პარალელურად მიმდინარე შეხვედრის ანგარიში არცერთ გუნდს არ აიძულებდა მასირებული იერიშების განხორციელებას. განას მეორე ადგილიც აკმაყოფილებდა, რადგან მერვედფინალში აშშ-ს ხვდებოდა, გერმანელები კი პირველ ადგილზე უნდა გასულიყვნენ და ოდნავადაც არ აღელვებდათ ის ფაქტი, რომ მერვედფინალში ინგლისთან მოუწევდათ ჭიდილი.

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა**, სერბეთთან ნაგებული (0:1) მატჩის შემდეგ, ძირითადი შემადგენლობა ორ პოზიციაზე შეცვალა. აქედან, ერთი ცვლილება ნებაყოფლობითი გახლდათ, ერთი კი იძულებითი. ნებაყოფლობითში **ჰოლგერ ბადშტუბერის** სათადარიგოთა სკამზე დატოვებას და მის ნაცვლად, დაცვის მარცხენა ფრთაზე **ჟერომ ბოატენგის** გამწესებას ვგულისხმობთ, ხოლო იძულებითში კი, დისკვალიფიცირებული **მიროსლავ კლოზეს** (სერბეთთან გააძევეს) ნაცვლად, **კაკაუს** თამაშს. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ბოატენგმა არ გაამართლა. ჩვენ რომ არ ვამბობდეთ, სწორედ ამაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ ლიოვმა წარმოშობით განელი მცველი, რომელიც **კევინ-პრინს ბოატენგის** ძმაა, 73-ე წუთზე **მარსელ იანსენით** შეცვალა. სხვა მხრივ, გერმანელთა ტაქტიკური სქემა (4-2-3-1) და ძირითადი შემადგენლობა უცვლელი დარჩა. განის ნაკრებში კი მხოლოდ ერთი ცვლილება ვნახეთ და ისიც იძულებითი: ტრავმირებული **ვორსა**, დაცვის ცენტრში **ჯონათან მენსამ** შეცვალა, რომელიც **ჯონ მენსას** შეეწყვილდა.

მატჩის პირველი ტაიმი და მეორე ტაიმის პირველი ნახევარი ძალიან თვალსასეირო გამოვიდა. ორივე გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობდა და ისიც უნდა ითქვას, რომ ფეხბურთელები ბევრს ნერვიულობდნენ, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ ორივე გუნდი მეტწილად ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. მაგალითისთვის **მესუთ იოზილის** საგოლე მომენტის მოყვანაც კმარა: 25-ე წუთზე ბრემენის „ვერდერის" გამთამაშებელი განელთა მეკარე **კინგსონთან** სუფთა ერთი-ერთზე გავიდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ მას მოარტყა. სამაგიეროდ, იოზილს ოდნავადაც ალარ უნერვიულია იმ მომენტში, როცა 17 მეტრიდან ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა.

განელები რომ ნერვიულობდნენ, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან გერმანიის ნაკრებს ეთამაშებოდნენ. აი, გერმანელების ნერვიულობა და ცოტა ქაოტურობა კი, შესაძლოა, ბევრისთვის მისაღებიც კი იყოს, მაგრამ ლიოვისთვის პრობლემაა. ყველაფრის მიუხედავად და ბევრი რამის გათვალისწინებით, მაინც უნდა ვთქვათ, რომ გერმანიის ნაკრებმა კვლავ არ დატოვა თავდაჯერებული, მსოფლიოს ჩემპიონობის ჩამოყალიბებული პრეტენდენტის შთაბეჭდილება.

განის ნაკრები კი ზემოტივირებული იყო და **მილოვან რაიევაცის** შეგირდებს ამის გამო, ხშირ შემთხვევებში ზედმეტებიც კი მოსდიოდათ. აშკარა იყო ნახევარდაცვასა და დაცვას შორის შექმნილი სიცარიელე, რაც იმის ბრალიცაა, რომ განა ერთი ტიპური საყრდენით (4-1-4-1) თამაშობს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ განელებმა გერმანელთა კიპერ **მანუელ ნოიერის** კართან არაერთი საკმაოდ კარგი მომენტი შექმნეს და ერთიც ვერ გამოიყენეს. ის ფაქტი, რომ ასეთმა განამ გერმანიის ნაკრებს პრობლემები შეუქმნა, ლიოვის სადარდებელია, რადგან ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები ასეთს კი არა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამაზე უარეს შანსებსაც გამოიყენებენ.

ნევროზულობა გერმანიის ნაკრების ერთი მინუსია, მეორე და უფრო მთავარი კი, დაცვაში შექმნილი პრობლემები გახლავთ. უჩვეულოდ თავდაუჯერებელი და არაეფექტური იყო **პერ მერტეზაკერი**, რომელიც ბუნდესგუნდის უკანა ხაზში მთავარ იმედადაა მიჩნეული. სამაგიეროდ, აყლაყუდა პერის შეცდომებს უმეტესად **არნე ფრიდრიხი** ასწორებდა, მაგრამ მასზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ. მერტეზაკერთან ერთად, სუსტი იყო **ჟერომ ბოატენგი** და თამამად ვიტყვით: ლოგიკურად, ლიოვმა ეს უკანასკნელი აღარ უნდა ათამაშოს. წესით, იოგი ან ისევ ბადშტუბერის ვარიანტს უნდა დაუბრუნდეს, ანაც, დაცვის მარცხენა ფლანგზე, **მარსელ იანსენი** უნდა ათამაშოს, რომელიც მატჩში ძალიან კარგად ჩაერთო და განსაკუთრებით ეფექტური შეტევებში ჩართვის მომენტებში იყო. ეს არცაა გასაკვირი, იანსენი ხომ უფრო შემქმნელი გარემარბია, ვიდრე ჩამშლელი.

ერთი სიტყვით, ინგლისთან მერვედფინალური მატჩის წინ, იოგი ლიოვს ბევრი საფიქრალი აქვს. მთავარი საზრუნავი კი სავარაუდოდ, **ბასტიან შვაინშტაიგერის** არყოფნა იქნება. შვაინიმ 81-ე წუთზე ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. წუხელ, გვიან ღამით გავრცელებული ცნობების თანახმად, ბასტიანი კვირამდე გამოჯანმრთელებას, სავარაუდოდ, ვერ მოასწრებს. გერმანიის ნაკრების ექიმების თქმით, შანსები 50/50-ზეა. შვაინშტაიგერის არყოფნა კი, ბუნდესგუნდისთვის ჯოჯოხეთური დანაკლისი იქნება...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

არნე ფრიდრიხი (გერმანია)

**განასთან შეხვედრაში რამდენადაც არადამაჯერებელი იყო პერ მერტეზაკერი, იმდენად თავდაჯერებული და უშეცდომო გახლდათ ფრიდრიხი. არნემ ფაქტობრივად ყველა ორთაბრძოლა მოიგო. ამასთან, ის დროულად, აზრიანად ტოვებდა დაცვის ცენტრს და განის ნაკრებს შემტევ ნახევარმცველთა კვარტეტს საყრდენი შუამარბის პოზიციიდანაც წარმატებით ებრძოდა. ესეც რომ არ იყოს, ერთადერთი გერმანელი ფეხბურთელი, რომელსაც გუშინ ნერვიულობა ოდნავადაც არ დასტყობია (მანუელ ნოიერიც აჭრილი ჩანდა), სწორედ არნე ფრიდრიხი გახლდათ. დაცვის ბურჯად მერტეზაკერი განიხილებოდა, გუშინ კი, ბუნდესგუნდის დაცვის შეფი მესამე ნომერი, ფრიდრიხი იყო.**

**მატჩის შემდეგ**

იოახიმ ლიოვი (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): **„ძალიან ინტენსიური მატჩი გამოვიდა, რომელშიც ყველაფერი ისე ვერ გავაკეთეთ, როგორც უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ რაც მთავარია, ჯგუფიდან გავედით. მანუელ ნოიერის კრიტიკას ვერ ავიტან, რადგან 2-3 მომენტში აშკარა გოლისგან გვიხსნა. მერვედფინალში ინგლისის ნაკრებს ვხვდებით და დიდი ბრძოლა გველის. ეს იქნება დიდი მატჩი, რომელზეც ძალიან დიდხანს ისაუბრებენ."**

მილოვან რაიევაცი (განის ნაკრების მწვრთნელი): **„გერმანიას ბრწყინვალე, უმაღლესი კლასის გუნდი ჰყავს და ჩვენ ასეთ გუნდთან მატჩში რამდენიმე რეალური მომენტი შევქმენით. ვფიქრობ, მერვედფინალში გასვლა დავიმსახურეთ."**

**გოტფრიდ ლენცი**

# უმარილო სერბეთი და ღირსეული ავსტრალია

23 ივნისი. ნელსპრუიტი. მბომბელა სტადიუმი. 35 000 მაყურებელი

**ავსტრალია–სერბეთი 2:1**

**ავსტრალია:** შვარცერი - უილკშირი (82. გარსია), ნილი, ბოშამპი, ქერნი - კულინა, ვალერი (66. ჰოლმანი) - ემერტონი, კეჰილი, ბრეშიანო (66. ჩიპერფილდი) - კენედი.

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი - ივანოვიჩი, ვიდიჩი, სუბოტიჩი, ობრადოვიჩი - კრასიჩი (62. ტოშიჩი), ნინკოვიჩი, კუზმანოვიჩი (77. ლაზოვიჩი), იოვანოვიჩი - სტანკოვიჩი - ჟიგიჩი (67. პანტელიჩი).

**გოლები:** 1:0 კეჰილი (69), 2:0 ჰოლმანი (73), 2:1 პანტელიჩი (84)

**გაფრთხილება:** ლუკოვიჩი (18), ბოშამპი (49), უილკშირი (50), ნინკოვიჩი (59), ემერტონი (67),

**მატჩი დაიწყო:** სერბეთი; **დარტყმა:** 19(7)-22(6); **ჯარიმა:** 24-10; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

არბიტრი: **ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)**

**საინტერესო მომენტები**

6' - **მილოშ კრასიჩის** დარტყმა **მარკ შვარცერმა** მოიგერია.

12' - კრასიჩმა ავსტრალიელთა მეკარე ჩამოიტოვა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ბურთი კარში ვერ გადაგზავნა.

23' - შვარცერმა თავისი გუნდის კარი **ბრანისლავ ივანოვიჩის** დარტყმისგან იხსნა.

53' - **ნიკოლა ჟიგიჩმა** ძლიერად დაარტყა და ბურთი მეტოქის კარს ზემოდან ოდნავ გადააცილა.

59' - **მარკ ბრეშიანოს** მიერ შესრულებული ჯარიმა **ვლადიმირ სტოიკოვიჩმა** მოიგერია.

64' - სერბთა მეკარე ბრეშიანოს შორეულ დარტყმას გაუმკლავდა.

68' - **ზდრავკო კუზმანოვიჩის** თავური არაზუსტი გამოდგა.

69' - **ტიმ კეჰილმა ლუკ უილკშირის** ჩაწოდებით ისარგებლა და თავურით ანგარიში გახსნა - 1:0.

73' - **ბრეტ ჰოლმანმა** სერბთა კარი შორეული დარტყმით დალაშქრა - 2:0.

84' - შვარცერს ბურთი ხელიდან გაუვარდა და **მარკო პანტელიჩმა** ანგარიშში სხვაობა შეამცირა - 2:1.

87' - **ჯოშუა კენედიმ** ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

90' - კეჰილს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ არბიტრმა პენალტი არ დანიშნა.

90' - პანტელიჩმა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

90' - ავსტრალიელთა კონტრშეტევას **ჯეისონ კულინას** დარტყმა მოჰყვა, რომელიც მეკარემ მოიგერია.

ამ მატჩის უდავო ფავორიტად სერბეთის ნაკრები მიიჩნეოდა და სრულიად ლოგიკურადაც - **რადომირ ანტიჩის** გუნდმა ხომ წინა ტურში გერმანიას სძლია და ამის წყალობით, მერვედფინალში გასვლა-არგასვლის საკითხი ასი პროცენტით სერბთა ხელში მოექცა. საკმარისი იყო, ავსტრალიისთვის ნებისმიერი ანგარიშით მოეგოთ, რომ პარალელურად მიმდინარე შეხვედრა მათთვის ინტერესს კარგავდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განა-გერმანიის შედეგი სერბთათვის მხოლოდ იმ თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი, თუ ვინ დაიკავებდა ჯგუფში პირველ ადგილს და ვინ - მეორეს.

ვერ ვიტყვით, რომ ანტიჩის ფეხბურთელებმა გუშინ ცუდად ითამაშეს, მაგრამ მათი მონდომება ავსტრალიელთა დასაჯაბნად საკმარისი არ აღმოჩნდა. **პიმ ვერბეეკის** გუნდმა კი ეს მატჩი წინებზე გაცილებით უკეთ ჩაატარა და გაგვიღრმავა აზრი იმის შესახებ, რომ წინა შეხვედრების (განსაკუთრებით განასთან თამაშის) სრული შემადგენლობით ჩამთავრების შემთხვევაში, მერვედფინალში, შესაძლოა, სწორედ ავსტრალია გასულიყო და არა მისი აფრიკელი კონკურენტი.

სერბებმა თამაში ენერგიულად დაიწყეს და მალევე დაეუფლნენ სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას. მათ სახიფათო მომენტებიც მრავლად შექმნეს, მაგრამ ავსტრალიელებმა მეტოქის სასტარტო მიძალებას გაუძლეს და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ხშირად ახერხებდნენ თამაშის გადატანას სერბეთის ნაკრების ნახევარზე. ასე მიილია პირველი ტაიმი და ნულოვანი ანგარიშის მიუხედავად, სერბთა გამარჯვება მაინც არ მოჩანდა წარმოუდგენლად.

ანტიჩის შეგირდებს ცდა არც შეხვედრის მეორე ნახევარში დაუკლიათ და კვლავაც აწუხებდნენ **მარკ შვარცერს**, მაგრამ ავსტრალიელები მეთოდურად აუმჯობესებდნენ თამაშს და მოწინააღმდეგის საჯარიმოსაც გაუშინაურდნენ. აქედან გამომდინარე, ვერბეეკის გუნდის დაწინაურება უკვე აღარ იყო გასაკვირი. ავსტრალიის ნაკრების ერთ გოლს მეორე მიჰყვა, გერმანიის განასთან დაწინაურებამ მწვანეკონტინენტელებს მერვედფინალში გასვლის ციცქნა იმედი გაუღვივა, თუმცა პარალელურ მატჩში გერმანელებს თავი მეტად აღარ გამოუდიათ, სერბეთს კი ბრძოლა არ შეუწყვიტავს და ავსტრალიას აქეთ გაუტანა ერთი ბურთი.

ანტიჩის ბიჭებმა ბოლო ენერგიით შეუტიეს, მაგრამ მეტს ვერას გახდნენ. ავსტრალიელთაგან უდავოდ საუკეთესო **ტიმ კეჰილს** საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ მსაჯმა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა, რასაც მატჩის შემდეგ სერბთა განრისხება გამოიწვია. თუმცა არც ეს პენალტი შეცვლიდა ბევრ რამეს. ფრე სერბეთს მხოლოდ ჯგუფის ბოლო ადგილისთვის თავის დაღწევაში დაეხმარებოდა. გაბრაზებით კი ისინი უპირველესად, საკუთარ თავზე უნდა გაბრაზდნენ.

გერმანიამ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, მისმა მძლეველმა სერბეთმა კი რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ბოლო. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ სერბები ავსტრალიასთან მატჩს ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ, უბრალოდ, ჯგუფი საკმაოდ ძლიერი და კარგად დაბალანსებული აღმოჩნდა, ამ მძაფრ კონკურენციაში კი ავსტრალიამ დაამტკიცა, რომ ბოლოობას არ იმსახურებდა.

მოკლედ, 90 წუთის განმავლობაში თერთმეტკაციანი შემადგენლობით მოთამაშე ეს გუნდი სამხრეთ აფრიკაში პირველად ვნახეთ და ავსტრალიელებმაც საკუთარი ძალა გვიჩვენეს, ოღონდ მათდა სამწუხაროდ, ეს ოდნავ დაგვიანებული აღმოჩნდა...

**საუკეთესო მოთამაშე**

ტიმ კეჰილი (ავსტრალია)

**კეჰილი თავის გუნდს დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ დაუბრუნდა და ნათლად დაგვანახვა, რაოდენ საჭირო და მნიშვნელოვანი ფიგურაა ავსტრალიის ნაკრებისთვის. გოლის გარდა, მან გუშინ თავი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებითაც გამოიჩინა.**

**მატჩის შემდეგ**

პიმ ვერბეეკი (ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მეგონა, რომ ჯგუფიდან გასასვლელად ოთხი ქულაც გვეყოფოდა, მაგრამ საქმე გერმანიასთან დიდი ანგარიშით დამარცხებამ გაგვიფუჭა".**

რადომირ ანტიჩი (სერბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„მსაჯებმა თამაშის წესების აშკარა დარღვევა ვერ შენიშნეს. რასაც მივაღწიეთ, იმაზე გაცილებით მეტს ვიმსახურებდით, შინ ასე მალე არ უნდა ვბრუნდებოდეთ".**

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| განა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-6 | 4 |
| სერბეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა: lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

C ჯგუფი


ჯერმეინ დეფოს საგოლე დარტყმა

23 ივნისი. პორტ ელიზაბეთი.
ნელსონ მანდელა ბეი.
36 893 მაყურებელი.

**სლოვენია–ინგლისი 0:1**

**სლოვენია (4-4-2):** ს. ჰანდანოვიჩი - ბრეჩკო, შულერი, ცესარი, იოკიჩი - ბირსა, რადოსავლიევიჩი, კორენი, კირმი (79. მატავზი) - ნოვაკოვიჩი, ლუბიანკიჩი (62. დედიჩი).

**ინგლისი (4-4-2):** ჯეიმსი - ჯონსონი, ტერი, აპსონი, ე. კოული - მილნერი, ლამპარდი, ბერი, ჯერარდი - რუნი (72. ჯ. კოული), დეფო (85. ჰესკი).

**გოლი:** 0:1 დეფო (23)

**გაფრთხილება:** იოკიჩი (40), ჯონსონი (48), ბირსა (79), დედიჩი (81)

**მატჩი დაიწყო:** სლოვენია; **დარტყმა:** 13(6)-13(8); **ჯარიმა:** 19-20; **კუთხური:** 2-11; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**საინტერესო მომენტები**

7' - **ვალტერ ბირსამ** საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა - **დევიდ ჯეიმსმა** უშეცდომოდ ითამაშა.

14' - **ფრენკ ლამპარდის** შორეული დარტყმა **სამირ ჰანდანოვიჩმა** მოიგერია.

18' - ინგლისელთა ხანგრძლივ შეტევას **უეინ რუნი** აგვირგვინებდა, თუმცა მხოლოდ კუთხურს გამორჩა.

20' - ჰანდანოვიჩმა **გლენ ჯონსონის** დარტყმა მოიგერია.

21' - ჯეიმსმა **მილივოე ნოვაკოვიჩის** შორეული დარტყმა მოიგერია.

23' - 1:0 **ჯეიმს მილნერის** ფლანგური პასის მერე **ჯერმენ დეფომ** ახლო მანძილიდან ჰანდანოვიჩს შანსი არ დაუტოვა.

27' - ლამპარდის დარტყმული ბურთი მიზანს მცირე მანძილით ასცდა

30' - ჰანდანოვიჩმა გადაარჩინა სლოვენიის კარი - **სტივენ ჯერარდს** რთული ბურთი აულო.

42' - ჯეიმსმა მეტოქის სახიფათო შეტევა კარიდან დროული გამოსვლით განმუხტა.

46' - კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა დეფომ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

56' - ჰანდანოვიჩმა **ჯონ ტერის** თავური დარტყმა სასწაულებრივ მოიგერია.

57' - ჯეიმსმა ბირსას საჯარიმო დარტყმა მოიგერია.

58' - რუნი სლოვენიელ მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

65' - ბირსას და ჯეიმსის მორიგი „დუელი" კვლავ ინგლისელთა მეკარის გამარჯვებით დამთავრდა.

68' - **ზლატკო დედიჩმა** და ბირსამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს.

90' - სლოვენიელთა მწვავე კონტრშეტევა: ინგლისელები ტერისა და **მეთიუ აპსონის** თავგანწირულმა თამაშმა გადაარჩინა.

# მძიმე ტვირთი

სენსაცია არ მოხდა: ჯგუფის და საერთოდ, მუნდიალის ერთ-ერთმა ფავორიტმა ინგლისის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით შეძლო სლოვენიის დამარცხება და მერვედფინალში გავიდა. ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რა გადაიტანეს ინგლისის ნაკრების გულშემატკივრებმა მატჩის ბოლო წუთზე: სლოვენიელებმა მარცხენა ფლანგიდან მწვავე შეტევა წამოიწყეს და რამდენიმეწამიან ინტერვალში მეტოქის კარისკენ ორჯერაც დაარტყეს; თუმცა, ჯერ **ჯონ ტერიმ** ითამაშა თავგანწირვით, შემდეგ კი დაცვის ცენტრში მისმა მეწყვილემ **მეთიუ აპსონმა** და მოწინააღმდეგეთა დარტყმები საკუთარ თავზე აიღეს. არადა, გოლი რომ გასულიყო, ინგლისელებს დრო, ფაქტობრივად, აღარც რჩებოდათ; თუმცა, ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა გუნდმა მსაჯის მიერ დამატებულ სამ წუთში თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანა და, ბოლოს და ბოლოს, მატჩიც დამთავრდა!

ძნელი სათქმელია, სლოვენიელებს ამ ეპიზოდში გოლი რომ გაეტანათ, რამდენად ლოგიკური იქნებოდა: ინგლისელებმა ხომ უამრავი მომენტი შექმნეს და თავისუფლად შეეძლოთ, უფრო დიდი ანგარიშითაც გაემარჯვათ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ წინა ორი მატჩისაგან განსხვავებით, **ფაბიო კაპელოს** გუნდი აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. რაც შეეხება ინგლისელთა შემადგენლობას, ბევრისთვის მოულოდნელად, კაპელო კვლავ ენდო **ჯეიმს მილნერს,** პირველ ტურში ნაადრევად რომ შეცვალა.

აი, **ჯერმენ დეფოსა** და **მეთიუ აპსონის** ძირითადში გამოჩენა კი არავის გაჰკვირვებია. მილნერმა ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე დაიკავა ადგილი, ცენტრში **გარეტ ბერი** და **ფრენკ ლამპარდი** თამაშობდნენ, ხოლო **სტივენ ჯერარდი** ნომინალურ მარცხენა ნახევარმცველად მოგვევლინა. ეს განლაგება უფრო პირობითი იყო, რადგან ჯერარდი უფრო ხშირად ცენტრისკენ იწევდა და, აქედან გამომდინარე, **ეშლი კოულს** ლამის მთელი მარცხენა ფლანგის გაკონტროლება უწევდა. თუმცა, ასე იყო მხოლოდ პირველ ტაიმში, ინგლისელთა სრული უპირატესობით რომ წარიმართა.

მაგრამ, მოვლენების ასეთი განვითარება მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: მერვედფინალში გასასვლელად ინგლისელებს ხომ მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდათ. ამიტომაც იყო, უკვე მეათე წუთისთვის ინგლისელთა ტერიტორიული უპირატესობა რომ გამოიკვეთა, მაგრამ სლოვენიელები თავს ორგანიზებულად იცავდნენ და ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტიეს მეტოქის კარს. განსაკუთრებით კი ფრანგული „ოსერის" მარჯვენა ნახევარმცველი **ვალტერ ბირსა** აქტიურობდა, საშუალო თუ შორი მანძილიდან რამდენჯერმე რომ დაარტყა ინგლისელთა კარში. თუმცა, გუშინ **დევიდ ჯეიმსმა** თავისი ხანგრძლივი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა!

ინგლისელთა 39 წლის მეკარეს სასწაულები არ მოუხდენია, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, უაღრესად საიმედოდ და უშეცდომოდ თამაშობდა. რახან სიტყვა მეკარეებზე ჩამოვარდა, **სამირ ჰანდანოვიჩიც** უნდა ვახსენოთ. უფრო ზუსტად, კი არ უნდა ვახსენოთ, უკვე მერამდენედ ვაღიაროთ სლოვენიელთა მეკარის მართლაც მაღალი კლასი! ჰანდანოვიჩმა მთელი შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა და, სულ მცირე, ოთხ ეპიზოდში საკუთარი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა!

თუმცა ამ მატჩში სამი ისეთი მომენტიც იყო, ჰანდანოვიჩი ვერაფერს რომ ვერ უშველიდა თანაგუნდელებს: პირველი ეპიზოდი ჯერმენ დეფოს გოლის დროს იყო, როცა ინგლისელთა ცენტრფორვარდმა ახლო მანძილიდან... წვივი შეაგება ჯეიმს მილნერის ფლანგურ გადაცემას და ბურთიც მეტოქის კარის ბადეში აღმოჩნდა! მოკლედ, პირველი ტაიმი ინგლისელთათვის სასურველი ანგარიშით დასრულდა, მაგრამ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისთვის და საერთოდაც, ამ მატჩში „კომფორტული გარემოს" შესაქმნელად, კაპელოს გუნდს უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვება ესაჭიროებოდა. ინგლისელებს მეორე ტაიმის დასაწყისში ამისათვის ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ჯერმენ დეფომ და **უეინ რუნიმ** უაღრესად ხელსაყრელი სიტუაციები ვერ გამოიყენეს.

ამას გარდა, ჰანდანოვიჩმა ორ ეპიზოდში კვლავაც ჩინებულად ითამაშა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის თანაგუნდელებზე: ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოსდა, სლოვენია მხოლოდ იმის იმედად იყო, რომ პარალელურად მიმდინარე აშშ-ისა და ალჟირის მატჩი... ფრედ დასრულდებოდა. კი, ერთი-ორჯერ კონტრშეტევაზეც გადავიდნენ (ისევ და ისევ, **ვალტერ ბირსას** აქტიური თამაშიდან გამომდინარე), მაგრამ რასაც რეალური მომენტი ჰქვია, მხოლოდ შეხვედრის ბოლოს შექმნეს. ამ კონკრეტულ ეპიზოდზე დასაწყისშივე ვისაუბრეთ, მთავარი კი ის იყო, რომ ამ მართლაც მძიმე გამარჯვებით ინგლისის ნაკრებმა მერვედფინალის საგზური მოიპოვა...

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ჯერმენ დეფო (ინგლისი)

**დამარცხებულ გუნდში კი არა, საერთოდ მატჩის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო სლოვენიელთა მეკარე სამირ ჰანდანოვიჩი. მისმა თანაგუნდელმა ვალტერ ბირსამაც არაერთი პრობლემა შეუქმნა მეტოქეს; ინგლისელებს შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო... მეკარის დევიდ ჯეიმსის უშეცდომო თამაში. თუმცა, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად მაინც ჯერმენ დეფოს დავასახელებთ (ბოლოს და ბოლოს, ამჯერზე მაინც დაემთხვა „ლელოსა" და ... ფიფას ოფიციალური საიტის არჩევანი); ფეხბურთელს, რომლის ერთადერთი გოლით ინგლისის ნაკრებმა ამ მუნდიალზე პირველი გამარჯვება და, რაც მთავარია, მერვედფინალის საგზური მოიპოვა!**

**მატჩის შემდეგ**

ფაბიო კაპელო (ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ჩემმა შეგირდებმა ძალიან კარგად ითამაშეს; ბევრი მომენტი გვქონდა, უპირატესობა რომ გაგვემტკიცებინა, მაგრამ მეორე გოლის გატანა ვერაფრით მოვახერხეთ. თანაც, მინიმალური ანგარიშით ვიგებდით და იმის ალბათობაც იყო, რომ ჩვენს ერთ შეცდომას სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ინგლისის ნაკრებმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და ახლა მზად ვართ ნებისმიერ მეტოქესთან პაექრობისათვის. მით უმეტეს, ჯგუფიდან გასვლის შემდეგ თითოეულ ჩვენგანს ფსიქოლოგიური ტვირთი მოგვეხსნა"**

**გია ტუხაშვილი**

# სამართალმა პური ჭამა

## ალჟირი პირველი უგოლოა, ამერიკა ჯგუფში პირველი

23 ივნისი. პრეტორია.
ლოფტუსი. 49 000

**აშშ–ალჟირი 1:0**

**აშშ (4-4-2):** ჰოვარდი - ჩერუნდოლო, ბოკანეგრა, დიმერიტი, ბორნსტეინი (80. ბიზლი) - დონოვანი, ედუ (64. ბადლი), ბრედლი, დემპსი - ალტიდორი, გომესი (46. ფეილჰაბერი).

**ალჟირი (3-4-2-1):** მბოლი - ბუღერა, ჰალიჩე, იაჰია - კადირი, იებდა, ლასენი, ბელჰაჯი - მატმური (85. საიფი), ზიანი (69. გოდიურა) - ჯებური (65. ღეზალი).

**გოლი:** 1:0 დონოვანი (91)

**გაფრთხილება:** იებდა (12), ალტიდორი (62), იაჰია (76), ლასენი (83), ბიზლი (90), იაჰია (93).

**გაძევება:** იაჰია (93)

**მატჩი დაიწყო:** ალჟირი; **დარტყმა:** 22-19 (10-4); ჯარიმა: 11-21; კუთხური: 4-6; ბურთის ფლობა: 52%-48%.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერე (ბელგია)

**საინტერესო მომენტები**

6' - ალჟირის ნაკრებს ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ჰქონდა - აფრიკელთა შორეული ჩაწოდება გადაახტა თავზე **დიმერიტს,** ბურთი **ჯებურს** მიუვიდა, რომელმაც ლამაზად და ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

7' - უმალ ამერიკელთა პასუხიც - **გომესი** მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, კარგადაც დაარტყა, მაგრამ ალჟირი მეკარე **მბოლიმ** იხსნა.

21' - **გომესის** დარტყმული მბოლიმ მოიგერია, მაგრამ გამოვარდნილს ისევ გომესმა მიუსწრო, რომელმაც კართან ჩასაფრებულ **დემპსის** გადააწოდა. მსაჯმა მეტად საეჭვო სიტუაციაში თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

35' - **დონოვანმა** კარგად ისარგებლა მცველთა დაბნეულობით და საჯარიმოში დემპსი მოძებნა, მაგრამ მას მბოლიმ აულო.

37' - **ალტიდორმა** ძალზე ხელსაყრელი სიტუაციიდან ალჟირელთა კარს გადააცილა ბურთი.

38' - **მატმურის** კარგი სოლორეიდი მისივე შორეული დარტყმით დასრულდა, ჰოვარდმა ბურთი კუთხურზე მოიგერია.

57' - მარცხენა ფლანგიდან ალტიდორმა დემპსი მოძებნა, რომლის დარტყმულიც ძელმა მოიგერია, გამოვარდნილს იმავე დემპსიმ მიუსწრო და თითქმის ცარიელ კარს ააცილა.

65' - **ფეილჰაბერმა** მარჯვენა ფრთაზე გაილალა, შევიდა საჯარიმოში და ჩააწოდა, თუმცა მეკარემ ალჟირელები გადაარჩინა.

68' - მბოლიმ სასწაულებრივ აულო **ბადლის** თავური ახლო მანძილიდან.

79' - **ბრედლიმ** საჯარიმო დარტყმა შეასრულა, მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

91' - 1:0: ალტიდორის ჩაწოდების შემდეგ დონოვანმა ახლო მანძილიდან გამარჯვების გოლი გაიტანა.

**სახალისო სტატისტიკა**

**ლენდონ დონოვანი:** კარისკენ 3-ჯერ დაარტყა, აქედან 1 იყო ზუსტი; 48-დან 35 ზუსტი პასი გააკეთა; 8-ჯერ ჩაანოდა საჯარიმოში; გაირბინა 11 276 მეტრი.

**ყველაზე მეტი პასი:** ჩერუნდოლო (63)

**ყველაზე მეტი ზუსტი პასი:** ჩერუნდოლო (48)

**ყველაზე მეტი ჩაწოდება:** ბელჰაჯი (9)

**ყველაზე მეტი გაირბინა:** ბრედლი (11 753 მ)

**ყველაზე სწრაფი:** ალტიდორი და ლასენი (28,75 კმ/სთ)

ინგლისი-სლოვენიის თამაში რამდენიმე წამის დასრულებული იყო, ამერიკელებმა იცოდნენ, რომ 0:0-ით სამშობლოში ნაადრევად მიემგზავრებოდნენ, პრეტორიაში პირველი დამატებული წუთი (მსაჯმა სულ 4 წუთი დაამატა) სრულდებოდა, როცა ალჟირელთა დაცვის მარცხენა ფრთა „ჩავარდა", საიდანაც **ალტიდორმა** ჩააწოდა, მეკარე **მბოლიმ,** რომელიც აქამდე უბრალოდ საუკეთესო იყო მოედანზე, ბურთი კი ჩაჭრა, მაგრამ ხელში ველარ შეიკავა და ამერიკის ნაკრების ლიდერმა **ლენდონ დონოვანმა** ფანებისგან გამოტირებული ნაკრები ისევ მუნდიალზე დააბრუნა - 1:0.

პარალელურ მატჩში უკვე 23-ე წუთზე გაიხსნა ანგარიში, თავი ინგლისელებმა გამოიჩინეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფრის შემთხვევაში აშშ-ის ნაკრები და, თავისთავად, ალჟირისაც მუნდიალს მიღმა რჩებოდნენ. ამ წყვილის ფავორიტი უთუოდ **ბრედლის** გუნდი იყო, რაც თამაშმაც გამოაჩინა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებამდე ფავორიტს გოლი ვერ გაჰქონდა. არადა, პირველი, თითქმის ასპროცენტიანი შანსი ალჟირელებს შეექმნათ - უკვე მე-6 წუთზე **დიმერიტის** შეცდომით **ჯებურმა** ისარგებლა, ალჟირელთა ფორვარდმა ბრწყინვალედაც დაარტყა, მაგრამ მხოლოდ „ლოფტუსის" კარის ხარიხა შეაზანზარა.

ამის შემდეგ დონოვანის გოლამდე ამერიკელთა შვიდი საგოლე მომენტი დავითვალეთ. აქედან ხუთჯერ აფრიკული გუნდი მეკარე მბოლიმ გადაარჩინა, ერთხელ ბურთი კარს ასცდა, ერთხელაც გოლი გავიდა... რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა...

ამ მუნდიალზე მეორედ ამერიკის ნაკრებს არ ჩაუთვალეს გოლი, თუკი სლოვენიელებთან **ადუს** მიერ გატანილი მსაჯმა უსამართლოდ გააუქმა, **დემპსის** გოლი საეჭვო იყო, თუმცა აქაც შეიძლება მსაჯის შეცდომაზე საუბარი.

დაბოლოს - ალჟირის ნაკრები პირველი გუნდია, რომელიც მუნდიალს უგოლოდ დაემშვიდობა.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ლენდონ დონოვანი (აშშ)

**90 წუთის მიხედვით საუკეთესო იყო მბოლი. ალჟირელთა გოლკიპერი, რომელიც ოდენ სათადარიგო მეკარედ ჰყავდათ წაყვანილი მუნდიალზე, ორი თამაში ბრწყინვალედ მეკარეობდა, მაგრამ 91-ე წუთზე დონოვანის გოლი გაუშვა. რადგან ამ გოლმა ყველაფერი გადაწყვიტა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ლენდონ დონოვანს ვასახელებთ. საინტერესო იყო ორი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელების, დონოვანისა და ბელჰაჯის ორთაბრძოლა, მათი გზები ხშირად გადაიკვეთა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ვიზავი დაჩაგრა. ამერიკელთა რიგებში სუპერაქტიური იყო დემპსიც, მაგრამ სუპერუიღბლოც...**

**ლენდონის გოლმა ამერიკის ნაკრებს პლეი ოფის საგზურთან ერთად პირველი ადგილიც მოუპოვა ჯგუფში. მოკლედ, სამართალმა პური ჭამა.**

» მე-8 გვერდზე


ლენდონ დონოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E ჯგუფი



არიენ რობენი

# იაპონია ნახევარი ნაბიჯით წინაა

24 ივნისი. რუსტენბურგი. როიალ ბაფოკენგი. 22:30

**დანია–იაპონია**

საავარაუდო შემადგენლობები

**დანია:** სორენსენი - იაკობსენი, კროლდრუპი, აგერი, ს. პოულსენი - კ. პოულსენი, იორგენსენი - რომედალი, კალენბერგი, გრონკიაერი - ბენდტნერი.

**იაპონია:** კავაშიმა - კომანო, ნაკაზავა, ტულიო, ნაგამოტო - ჰასებე, აბე, ენდო - მაცუი, ოკუბო - ჰონდა.

**არბიტრი:** ჯერომ დეიმონი (სამხ. აფრიკა)

აქ ყველაფერი მარტივადაა - დანიელებსა და იაპონელებს არც პარალელურად მიმდინარე მატჩიდან დასჭირდებათ ამბების გაგება და არც თამაშის დროს მოუწევთ გატანილ-გაშვებული ბურთებისა თუ სხვა დამატებითი მაჩვენებლების თვლა. ორივე გუნდის ამოცანა სრულიად მკაფიოა - იაპონიის ნაკრებს მერვედფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნის, დანიას კი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. რაღა თქმა უნდა, ამ გარემოებით აზიელები პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, მაგრამ დანიელთა შანსებიც სოლიდურია, თუნდაც იმიტომ, რომ წინა ტურში კამერუნელებთან შესანიშნავად ითამაშეს და გამარჯვებისკენ საოცარი სწრაფვა გამოავლინეს. დღეს კი იაპონიას ფრე, შეგახსენებთ, იმიტომ ჰყოფნის, რომ დანიისგან განსხვავებით, ჰოლანდიასთან მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით წააგო.

დანიის ნაკრებს იაპონელთა წინააღმდეგ ცენტრალური მცველი **სიმონ კიაერი** დააკლდება, რომელმაც ორივე განვლილ შეხვედრაში ყვითელი ბარათები მიიღო. მის ადგილს, სავარაუდოდ, **პერ კროლდრუპი** დაიკავებს. ევროპელთა პრობლემები ამით არ ამოიწურება. გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, დღეს ნიკლას ბენდტნერმა ვერ ითამაშოს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ეს მოწინააღმდეგის თავგზის ასაბნევად მოფიქრებული ხრიკი იყოს. აზიელები კი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ.

*„ჩვენს გუნდში ტრავმა რამდენიმე მოთამაშეს აწუხებს, მათ შორის ბენდტნერს. მისი იაპონიის წინააღმდეგ თამაში საეჭვოა. თუ მერვედფინალში გავედით, არც ისაა გამორიცხული, იგი ვერც იქ დაგვეხმაროს. ამის მიუხედავად, ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ, ჯგუფიდან გასვლის ძალაც შეგვწევს და უფრო მეტის მიღწევისაც“*, - აი, ამას აცხადებს დანიის ნაკრების თავკაცი და დღეს საღამოს შევიტყობთ, როგორია სინამდვილეში ახალგაზრდა არსენალელის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

*„ეჭვიც არ მეპარება, რომ ურთულესი მატჩი გველის. ჩვენი მთავარი ამოცანა დანიელთა ფორვარდის, ნიკლას ბენდტნერის შეჩერება იქნება და თუ ეს შევძელით, მერვედფინალში გასვლა აღარ გაგვიჭირდება. კარგ სანახაობას არ ველი, არა მგონია, ამ შეხვედრაში ბევრი გოლი გავიდეს, შესაძლოა, ყველაფერი ერთმა ბურთმა გადაწყვიტოს“*, - აცხადებს იაპონელთა მთავარი მწვრთნელი ტაკეში ოკადა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კეისუკე ჰონდა

# ჰოლანდია ძირითადი შემადგენლობით

24 ივნისი. კეიპთაუნი. გრინ პოინტი. 22:30

**კამერუნი–ჰოლანდია**

საავარაუდო შემადგენლობები

**კამერუნი:** სულეიმანუ - ბასონგი, მბია, ნკულუ, ასუ-ეკოტო - სონგი, ჟერემი, ენო - ემანა, ეტო'ო, ვებო.

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი - ბულაჰრუზი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე ზეუ - კუიტი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი - ვან პერსი.

**არბიტრი:** პაბლო პოსო (ჩილე)

ჰოლანდიელი ექიმების თქმით, **არიენ რობენი** ჯანზეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კამერუნის ნაკრების წინააღმდეგ არ იასპარეზებს. **ბერტ ვან მარვიიკი** გარისკვას არ აპირებს და როგორც ჩანს, გუნდის ყველაზე გამორჩეულ ფეხბურთელს პლეიოფებიდან დაიხმარს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კამერუნელებთან დაპირისპირება ჰოლანდიისთვის მეორეხარისხოვანია და ამაზე, თავად ვან მარვიიკი საუბრობს:

*„მართალია, ჯგუფიდან უკვე გავედით, მაგრამ მესამე შეხვედრაშიც გამარჯვების მოსაპოვებლად ვიბრძოლებთ. ისეთ ტურნირზე, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, თუ მერვედფინალს სამი გამარჯვებით შევხვდებით, განწყობაც ამაღლებული გვექნება“*.

ვან მარვიიკის სიტყვები ფორმალობა არ უნდა იყოს, რადგან ჰოლანდიელი ჟურნალისტების მტკიცებით, ძირითადი შემადგენლობა პრაქტიკულად იგივე იქნება, რაც წინა ორ პაექრობაში. ერთადერთი ცვლილება დაცვის მარჯვენა ფლანგზე მოხდება, სადაც **ვან დერ ვილს ბულაჰრუზი** ჩაანაცვლებს. კვლავ ძირითადში ვიხილავთ **ვან დერ ვაარტს, დირკ კუიტს** და **რობინ ვან პერსის**, რომლებსაც ჰოლანდიელი ჟურნალისტებისგან კრიტიკა არ დაკლებიათ.

რაც შეეხება კამერუნის ნაკრებს, გუნდი უკვე ჩარჩენილია ჯგუფში და ჰოლანდიასთან კარის გაჯახუნებისთვის ითამაშებს. **პოლ ლე გენი** აცხადებს, რომ მის გუნდს არ გაუმართლა: *„დარწმუნებული ვარ, რომ არც დანიელებზე სუსტი გუნდი გვყავს და არც იაპონელ;ებზე. უბრალოდ, ფეხბურთში ფორტუნაც უნდა გწყალობდეს, რომ დიდ მიზნებს შეეჭიდო. სამწუხაროა, რომ მუნდიალზე ბოლო პაექრობა უნდა გავმართოთ, თუმცა, რა გაეწყობა, ასეთია ფეხბურთი“*.

კამერუნი კვლავ 4-3-3 ტაქტიკით ითამაშებს და შეტევის წინა ხაზზე **სამუელ ეტოოსთან** ერთად, **ვებოს** და **ემანას** ვიხილავთ. ჯერჯერობით, ვერც ვებომ და ვერც ემანამ თავი ვერაფრით გამოიჩინეს და შესაძლებლობების დემონსტრირებას, ჰოლანდიელებთან შეეცდებიან. ვნახოთ, ვისი აჯობებს.

**ლაშა ნიკლაური**

F ჯგუფი

# პარაგვაი პირველობას უმიზნებს

ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი ჯერაც დაუმარცხებელი ახალი ზელანდიის წინააღმდეგ - ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მუნდიალის ორი სასტარტო მატჩის შემდეგ, „ოლ ვაითსს“ წაგებათა გრაფაში ნული ეწერებოდა, მაგრამ ფაქტია, **რიკი ჰერბერტის** გუნდმა ჯერ სლოვაკეთს გამოჰგლიჯა ქულა, შემდეგძ კი იტალია გაამწარა. ბუნებრივია, ამის მიუხედავად, ყველამ კარგად იცის, რამხელა განსხვავებაა პარაგვაელთა და ზელანდიელთა საფეხბურთო ოსტატობას შორის და ამიტომაც ამ შეხვედრის უპირობო ფავორიტებად სამხრეთამერიკელები მიიჩნევიან.

**ხერარდო მარტინოს** გუნდს ჯგუფში პირველობის გასანაღდებლად შესაძლოა, ფრეც კი ეყოს, გამარჯვებით კი ყველასთვის მიუწვდომელი გახდება და მერვედფინალში ჰოლანდიას ასცდება. ერთი სიტყვით, პარაგვაელებს მოტივაცია საკმარისზე მეტად აქვთ, ისევე როგორც ზელანდიელებს, რომელთაც ჯგუფიდან გასვლის იმედი სულაც არ დაუკარგავთ და თავადაც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

24 ივნისი. პოლოკვანი. პიტერ მოკაბა სთედიუმი. 18:00

**პარაგვაი–ახ. ზელანდია**

საავარაუდო შემადგენლობები

**პარაგვაი:** ვილარი - ბონეტი, და სილვა, ალკარასი, მორელი - ვ. კასერესი, ვერა, რივეროსი - ბარიოსი, სანტა კრუსი, ვალდესი

**ახ. ზელანდია:** პასტონი - რიდი, ნელსენი, სმიტი, ლოქჰედი - ბერტოსი, ვისელიჩი, ელიოტი - ფელონი, კილენი, შმელტცი.

**არბიტრი:** იუნიჩი ნიშიმურა (იაპონია)



ანტოლინ ალკარასი და ნელსონ ვალდესი პარაგვაის ნაკრების ვარჯიშის დაწყებამდე

პარაგვაის ნაკრების ნახევარმცველი კარლოს ბონეტი მოწინააღმდეგეზე მაღალი აზრისაა: *„ბოლო ტურის წინ ჯგუფს ვლიდერობთ, რაც ძალიან გვახარებს, მაგრამ ჯერ არაფერი დაგვიბევებია და ამიტომაც თამაში ძველებური შემართებით უნდა გავაგრძელოთ. უკვე ყველა დარწმუნდა, რომ ახალი ზელანდიის ნაკრები უაღრესად რთული მეტოქეა. ბუნებრივია, მოწინააღმდეგეს სათანადოდ ვაფასებთ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ გამარჯვებისა და ჯგუფში პირველობის ძალაც შეგვწევს“*.

პარაგვაიმ წინა ტურში სლოვაკეთთან სამი გამოკვეთილი თავდამსხმელით ითამაშა და მარტინო ალბათ, დღესაც ამ ტაქტიკას მიმართავს. სამხრეთამერიკელებს საკადრო პრობლემები არ აწუხებთ და შესაბამისად, ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებენ. განვლილი ორი შეხვედრა ზელანდიამ უცვლელი სასტარტო თერთმეტეულით ჩაატარა და რაკი ყველა მათგანი მწყობრშია და არც დასჯილია ვინმე, სიახლეებს ჰერბერტის გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც არ უნდა ველოდოთ.

*„დასაკარგი არაფერი გვაქვს. მაყურებელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალი ზელანდიის სიმპათიური ნაკრები უკვე ორჯერ იხილა და შევეცდებით, ჩვენი მესამე მატჩი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გამოდგეს. სამხრეთ აფრიკაში ტურისტებად სულაც არ ჩამოვსულვართ, საკუთარი საფეხბურთო შესაძლებლობები ყველას უნდა ვუჩვენოთ“*, - ამბობს ჰერბერტი.

პარაგვაელთა და ახალზელანდიელთა დაპირისპირებას დიდი ისტორია არა აქვს. ისინი ერთადერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს და ის მატჩი სამხრეთამერიკელთა გამარჯვებით დასრულდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

F ჯგუფი



# ლიპი: არავითარი სამი ფრე

24 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 18:00

**სლოვაკეთი–იტალია**

სავარაუდო შემადგენლობები

**სლოვაკეთი:** მუჩა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, ჩეხი - ვეისი, შტრბა, შამშიკი, შტროხი, შეშტაკი - ვიტეკი.

**იტალია:** მარკეტი - ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო - დე როსი, მონტოლივო, პირლო - იაკვინტა, დი ნატალე - პაცინი.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

მთელი იტალია იმის მოლოდინშია, რომ „სკუადრა აძურა" მერვედფინალში სამი საყაიმო შედეგით გავა. არა მარტო იტალია, მთელ მსოფლიოში საუბრობენ, რომ **მარჩელო ლიპის** სამწყსო 1982 წლის ჩემპიონატის ანალოგის გამეორებას აპირებს. თუმცა, თავად ლიპის ფრის გაგონებაც არ უნდა და შეგირდებს სამ ქულაზე გეშავს.

მაესტრომ, პირველ თამაშში გუნდი 4-3-2-1-ით ათამაშა, თუმცა ამან ვერ გაამართლა და ახალ ზელანდიასთან უკვე კლასიკური 4-4-2 აირჩია. ვერც ასეთი ფორმაციის „აძურამ" იფრინა და როგორც ჩვენი იტალიელი კოლეგები გვაუწყებენ, ლიპი კვლავ გარემარბებით აპირებს ასპარეზობას. ამჯერად, ძირითადში მოიაზრება **ჯამპაოლო პაცინი,** რომელიც ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდის ფუნქციებს შეითავსებს. ერთი ფლანგიდან **ანტონიო დი ნატალე** იმოქმედებს, მეორედან კი შეუცვლელი **ვინჩენცო იაკვინტა**. ამ უკანასკნელს ლიპი ძალიან ენდობა და რადგან ის უმნიშვნელოვანესი თერთმეტმეტრიანი გოლად აქცია, ვფიქრობთ, საშვილიშვილოდ დაიმკვიდრა ადგილი სასტარტო შემადგენლობაში. პირველად მოუწევს ძირითადში ასპარეზობა დი ნატალეს და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს.

რაც ყველაზე მთავარია, **ანდრეა პირლო** მოიაზრება სასტარტო თერთმეტეულში. „მილანის" შუახაზელი სრულად გამოჯანმრთელდა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სლოვაკებს პირველივე წუთებიდან შეეტოქება. პირლოს დარი ფეხბურთელი „აძურას" ძალიან აკლდა და ვნახოთ, გაამართლებს თუ არა ანდრეა იმ მოლოდინს, რომელიც იტალიის გულშემატკივრებს დღემდე აქვთ. აი, რას ამბობს **ფაბიო კანავარო,** რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი მერვედფინალში გასვლას მოახერხებს:

*„მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი მეტოქე არ არსებობს და ამაში უკვე არაერთხელ დავრწმუნდით. როგორც ხედავთ, გრანდებს ძალიან უჭირთ არცთუ მაღალი ამბიციების გუნდებთან თამაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საერთო დონე პრაქტიკულად გათანაბრდა. შესაბამისად, აუცილებლად სწორად უნდა შევაფასოთ მეტოქე და სრული მობილიზებით ვიასპარეზოთ. ეს არასდროს გვეშლებოდა და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გამარჯვება აუცილებლად ჩვენ დაგვრჩება".*

სლოვაკებს გამარჯვება ესაჭიროებათ და წესით უნდა შეუტიონ, მაგრამ სათქმელად ადვილია, შესასრულებლად კი ძალიან ძნელი. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. იტალიასთან თამაშის გახსნა სახიფათო ამბავია და როგორც ჩანს, ეს კარგად აქვს გაცნობიერებული სლოვაკთა თავკაცს. ამად არის, რომ 4-5-1 სქემას ამუშავებს და სავარაუდოდ, ასეთი ტაქტიკით დაუპირისპირდება მარჩელო ლიპის სამწყსოს. მთელი იმედები **რობერტ ვიტეკზეა,** რომელიც წინ იქნება წაწეული და შუახაზელების გადაცემებს დაელოდება. აი ზუსტი პასების კეთება უკვე **მარეკ ჰამშიკმა** უნდა აიღოს საკუთარ თავზე, თუმცა როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, სათქმელად ადვილია...

**ლაშა ნიკლაური**

არგენტინა

# მარადონა: დავიცვათ მესი!

## დიეგო მსაჯებს ლეოს მტრების დასჯას სთხოვს

არგენტინის ნაკრებმა სამივე თამაში მოიგო და ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჯგუფური ეტაპის საუკეთესო გუნდია. შესაბამისად, „ალბისელესტეს" მთავარმა მწვრთნელმა **დიეგო მარადონამ** მოიცალა იმისათვის, რომ მსაჯები გაეკრიტიკებინა. მოგეხსენებათ, ამ მუნდიალზე არბიტრები ისედაც საკმაოდ მკაცრები არიან და ხშირად აშკარად ამეტებენ, როცა ფეხბურთელს ყვითელ ან წითელ ბარათს უფრიალებენ, მაგრამ მარადონა მოითხოვს, რომ მსაჯები კიდევ უფრო გამკაცრდნენ. ამით მას არგენტინელთა ათიანის, **ლიონელ მესის** დაცვა სურს.

*„მიიღებს თუ არა ლეო ბურთს, მაშინვე ფეხებში უვარდებიან, ურტყამენ და ყველა ხერხით ცდილობენ მის შეჩერებას. ეს იმიტომ, რომ მესისთვის ბურთის წართმევა წესების დარღვევის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია. მსაჯებს მოვუწოდებ, მინიმუმ გააფრთხილონ და უმეტესად მოედნიდან გააძევონ ის ფეხბურთელები, რომლებიც ლეოს ეუხეშებიან. ჩვენ მესი უნდა დავიცვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტრავმას მიაღებინებენ და მერე მსოფლიოს ჩემპიონატს ფასი დაეკარგება",* - განაცხადა მარადონამ.

დიეგო განსაკუთრებით ბერძენი ფეხბურთელების უხეშობებმა ალაშფოთა. საბერძნეთის ნაკრებთან მატჩში მესის წინააღმდეგ მართლაც ძალიან ბევრჯერ დაირღვა წესები და საფინალო სასტვენის შემდეგ თვითონ ლეომაც თქვა - ბერძნები ძალიან ბინძურ ფეხბურთს თამაშობენო. მის წინააღმდეგ თამაშის წესებს ყველაზე ხშირად **ოტო რეჰაგელის** გუნდის მცველი **სოკრატის პაპასტატოპულოსი** არღვევდა, მთავარმა მსაჯმა **რავშან ირმატოვმა** (უზბეკეთი) კი რამდენიმე მომენტში ბერძენთა მცველი აშკარად დაინდო.

შეგახსენებთ, რომ არგენტინის ნაკრებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და კვირას, მერვედფინალში, იოჰანესბურგის „სოკერ სიტიზე" მექსიკის ნაკრებს დაუპირისპირდება.

**გოტფრიდ ლენცი**



ლიონელ მესი და დიეგო მარადონა

ვუვუზაანთ კაკოს ჩანაწერები

# ჰოდა, ეგრეა-მეთქი! ეგრეა-მეთქი, ეგრე!

ეგრე არა, ისაო! შენა გიჟი გიჭამნია და რაღაცეებსა როშამო. მე ვროშამ, კაცო?! არა, ხალხო, მე ვროშამ?! თქვენ ხო მაინც იცით, რო ყველაფერი ძალათ ხდება. ამან იმაი ვერ მოუგოო და იმან ამაიო. ვერ კი არა, შე უტვინო, არ მოუგო-მეთქი, არა! ეხლა შენ რო გითხრან, მრუდე ვასოი დომინო არ მოუგო და რთველზე კილოში ოცდაათ კაპიკ მოგცემთო, მაინც მოუგებ-მეთქი? არა, ჯო, რას ამბობო. ჰოდა, ეგენიც ეგრე არიან, შენ ხო არ გგონია შენზე ან მრუდე ვასოზე ნაკლები მუცელღორები არიან-მეთქი. რას ლაპარაკობ, მაგათ კილოშო ოცდაათი თეთრი რას ეყოფათო, ჯო?! ოცდაათი არ ეყოფათ, ოთხმოც მისცემენ-მეთქი - გადამრევს ეს მინა თენგიზა, ჯო, ეგეთ რამეებ ამბობს, თმა ყალყზე დაგიდგება. აბა, მა ინგლისი ალჟირ ბურთ ველარ მოუგებს? საფრანგეთი აფრეკილ აფრიკაი აღარა სჯობნია? გერმანიაი, სერბებთან წააგებს? იტალიაი, პარაგვაისა და ახალცის... არა, კაცო ახალდაბ... ვა, რა ჯანდაბა დამეტაკა, ზემო მაჩხაან... ფუი, ახალ ზელანდიაანთ მეძროხეებს ველარ უნდა ბრდღვნიდეი, როგორც მე ჩემი ცოლის... ჰო კარგი, კარგი. დედაკაცი მანიშნებს ჩემებ თავი დაანებეო და დავანებებ, რა.

ჰოდა, ეხლა მამისმინეთ. ეგ ამბავი ნამდვილათ ეგრეა: დასვამენ ჯიბგირები და მამაძაღლები ფეხბურთელებსა და ეუბნებიან - ეგე, მრუდე ვასო, მინა თენგიზა და ეგრეთი დოყლაპიები ტოტალიზატორში მიდიან. მაგათა გონიათ, რომა ინგლისი ალჟირ მოუგებს იმიტომ, რო მაგარია და იტალია კიდე ახალ... ზემო... აი, იმასა, რა, მეძროხეებსა. ჰოდა, ფულ მართლა მაგათ ხო არ ჩავუგდებთ ხელში კაცოოო, ხო დაგვექცა ოჯახები და შევრცხვით. მერე სადა ვთქო - მინა თენგიზაი ფული აქვს და მე, ამოტოლა ჯიბგირების დირექტორსა - არა. ჰოდა, ადექით ეხლა და თუ არ გინდათ ყველანი დაგხოცოთ, ისე ქენით რომა ჭიანჭველა ბუზად გამოჩნდეს, ბუზი კიდევ ჭიანჭველადა. ნუ მოუგებენ ინგლისელები ალჟირსა და იტალიელები ზემო... ფუი, ეს რა დოზანის ზემო-ზემო მეტაკა კაცო - ახალ ზელანდიასა, ახალსა! ზემოლანდიასა! ჰოდა დოყლაპიები ფულ წააგებენ, იმიტო, რო ვერ გამაიცნობენ, ვინ ვის რას უშვრება და რატომ უშვრება. ჰოდა მთელი დედამიწის მრუდე ვასოებისა და მინა თენგიზების ფული ჩვენ დაგვრჩება და თქვენც რთველზე კილოზე ოთხმოც კაპიკ შაგახვედრებთო. ნამდვილათ ვიცი რო ეგრეა და ისიც ნამდვილათ ვიცი რო საფრანგეთმაცა და ინგლისმაცა თანხმობა თქვეს. იტალიაზე ხო აღარცა ვლაპარაკობ, ჯო, ეგ ისედაც ჯიბგირებისა და მაფიების ქვეყანაა. პრეზიდენტიც მაფიოზი ყამთ - ბერლიოზი თუ რალაც. ჰოდა იმიტომაც ატეხეი ინგლისელებმა და ფრანგებმა ვითამ ერთმანეთში ჩხუბი. ამან იმაი შე დამპალოო, იმან შე თვითონ დამპალოო და ვითომც ამიტომ აგებენ თამაშებსა. ჰაი, ჰაი თქვე მამაძაღლებო, თქვენ მაატყუებთ, კოლმეურნეობებში ნამამაძაღლარ კაკოი?

აი, მრუდე ვასო, მინა თენგიზა და ეგრეთი დოყლაპიები კიდე იმდენ წააგებენ, ჯერ სადა ხარ! ტოტალიზატორია ეს ცხოვრება, ტოტალიზატორი.

ვუვუზაანთ კაკოი

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ვაჟინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

C ჯგუფი

# სამართალმა პური ჭამა

## ალჟირი პირველი უგოლოა, ამერიკა ჯგუფში პირველი

« მე-3 გვერდიდან

### მატჩის შემდეგ

ლენდონ დონოვანი (აშშ-ის ნაკრების ნახევარმცველი): **„ძალიან გრძელი და რთული გზა გამოვიარეთ აქამდე, ამაყი ვარ ჩემი თანაგუნდელებით. ვინც მიცნობს, კარგად იცის, რამდენი ვიშრომე ამისთვის - ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვების გოლი მე გავიტანე. ახლაც ვერ ვიჯერებ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. თუმცა ყველაფერი ჯერ არ დასრულებულა, ჩვენ წინ მივიწევთ, ელოდეთ ამერიკისგან მეტს. ალჟირელები წინ მოდიოდნენ, რადგან გატანა მათაც ჰაერივით სჭირდებოდათ, ამ შემთხვევაში თავქუდმოგლეჯილი შეტევა ძალიან სარისკო იყო, ბიჭებმა დაცვაში ძალზე კარგად გაართვეს სამუშაოს თავი. გადამწყვეტ მომენტში რომ არ გამეტანა, არ შეიძლებოდა, ჩემზე იყო დამოკიდებული ნაკრების ბედი“.**

რაბაჰ საადანი (ალჟირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„სამშობლოში ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, ვისაც ჩემი გუნდიდან წასვლა სურდა. ამიტომაც ვერ გეტყვით, დავრჩები თუ არა ნაკრების თავკაცად“.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| ინგლისი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| სლოვენია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ალჟირი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-2 | 1 |

ნიკოლოზ ნეფარიძე

ამბები




# მატაც ბარსაში

რადიოსადგურმა „ონდა სერომ“ და „მარკამ“ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ „ბარსელონამ“ მორიგი ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა - 20 მილიონ ევროდ „ვალენსიას“ შემტევი ნახევარმცველი **ხუან მატა** შეიძინა. როდესაც კლუბები სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდნენ, მატამ სამხრეთ აფრიკაშივე მოაწერა ხელი „ბლაუგრანასთან“ ხუთწლიან თანამშრომლობას. შეგახსენებთ, რომ გასულ თვეში იმავე მიმართულებით კიდევ ერთი ტრანსფერი განხორციელდა, „ბარსელონამ“ „ვალენსიას“ გოლეადორი **დავიდ ვილია** შეიძინა, რომელშიც ორჯერ მეტი, 40 მილიონი ევრო გადაიხადა.

ხუან მატას კონტრაქტი „ღამურებთან“ 2012 წლამდე ჰქონდა. მისით ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ იყო დაინტერესებული, მაგრამ ესპანელმა ფეხბურთელმა საკმაოდ სარფიანი შემოთავაზება დაიწუნა, რადგან მას სამშობლოში თამაში ურჩევნია. მატას გაფორმების შემდეგ კიდევ უფრო საეჭვო გახდა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ბარსელონური მომავალი. „ვალენსია“ ფინანსური პრობლემების გამო იძულებულია გაყიდოს თავისი ვარსკვლავები.

ალსანიშნავია, რომ ხუან მანუელ მატა „ბარსელონას“ დაუძინებელი მტრის, მადრიდის „რეალის“ აღზრდილია. ვინგერი 2003 წელს შეამჩნიეს „სამეფო კლუბში“ და 15 წლის ბიჭი სარეზერვო გუნდში აიყვანეს. თუმცა მატას ერთხელაც არ უთამაშია „რეალის“ ძირითად გუნდში, 2007 წელს ის „ვალენსიამ“ შეიძინა და მას მერე ჩემპიონატში 96 თამაშში 25 გოლი გაიტანა. ხუან მატა მუნდიალზეა და მან მეორე ტაიმში ითამაშა კიდეც ჰონდურასის ნაკრების წინააღმდეგ, სულ კი ესპანეთის ნაკრებში მან 9-ჯერ ითამაშა და 3 გოლი გაიტანა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ინიესტა ჯანზეა

ჰონდურასთან მატჩი **ანდრეს ინიესტამ** პირველ ტურში მიღებული ტრავმის გამო გამოტოვა. ახლა ესპანეთში ყველას აღელვებს, შეძლებს კი ნახევარმცველი H ჯგუფის გადამწყვეტი შეხვედრისთვის, ჩილეს ნაკრებთან დაპირისპირებისთვის გამოჯანმრთელებას თუ ვერა. გუშინ პოჩეპსტროომში, ესპანეთის ნაკრების დროებით ბაზაზე ანდრესმა სრული დატვირთვით ივარჯიშა, რაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. ესპანელი ჟურნალისტების თქმით, „ბარსელონას“ ვარსკვლავს ვარჯიშისას ძველი ტრავმის ნასახიც არ ეტყობოდა და მას ერთხელაც არ დაუჩივლია ტრავმის გამო. რაც იმას ნიშნავს, რომ პარასკევს ინიესტას „ფურია როხას“ შემადგენლობაში ვიხილავთ.

საინტერესოა, ამ შემთხვევაში ვის მოუწევს ძირითადიდან ამოვარდნა. სხვათა შორის, ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღიათ ჰონდურასთან ნათამაშებ ფეხბურთელებს, მათ დასვენება გამოუწერეს, **იკერ კასილიასის** გარდა. მცირე ტრავმა აწუხებს **სერხიო რამოსს,** ამიტომაც ის ფიზიოთერაპიის კურსს გადის, თუმცა „როხას“ მარჯვენა მცველი ჩილესთან თამაშს შეძლებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

# ვილია გადარჩა

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა **ვისენტე დელ ბოსკემ** კარგი ინფორმაცია მიიღო. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ფურია როხას“ ფორვარდი **დავიდ ვილია** შეიძლება დაესაჯათ ჰონდურასთან მატჩში მომხდარი ინციდენტის (ვილიამ მეტოქის ფეხბურთელ **ემილიო ისაგირეს** სახეში ხელი გაარტყა) გამო...

საქმის განხილვა უკვე შედგა. ვერდიქტი ასეთია - ევროპის ჩემპიონის მეგოლე არ დაისჯება. როგორც ფიფას პრესსპიკერმა აღნიშნა, „კომიტეტმა ვილიას დასასჯელად საფუძველი ვერ ნახა“...

არადა, უცნაურია, რადგან თვითონ ვილიამ აღიარა, რომ თავისი საქციელით არ ამაყობს: *„მე ნამდვილად არ ვამაყობ იმით, რაც გავაკეთე. მაგრამ დამიჯერეთ, ეს იყო ინსტინქტური საქციელი... მან ფეხი დამაბიჯა, რასაც არ ველოდი... ჩემგან ეს ბუნებრივი რეაქცია იყო. მომავალში ვეცდები, ნერვები მოვთოკო“*, - უთხრა ვილიამ „კანალ პლიუსს“.

ნიკოლოზ ნეფარიძე






ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ამბები



ხავიერ მასკერანო კორეელებთან მატჩში

# მასკერანო იტალიურს სწავლობს

დიდი ხანია ჭორაობენ, რომ არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი **ხავიერ მასკერანო** „ლივერპულიდან" წასვლას აპირებს. ამბობენ იმასაც, რომ მასკერანოს დანიშნულების ადგილი უკვე შერჩეული აქვს - მერსისაიდელთა გადამდგარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** მას თავის ახალ გუნდში, „ინტერში" ეძახის. ეს ჭორი „ენფილდ როუდს" რასაკვირველია აშფოთებს, რადგან მასკერანო ჩინებული ფეხბურთელია, რომელიც ლივერპულელ ფანებს უყვართ, მაგრამ ვაი, რომ ცეცხლში ნავთს თავად არგენტინელი ამატებს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, არგენტინელთა კაპიტანი არ მალავს, რომ ბენიტესთან უნდა მუშაობის გაგრძელება. ამის თვალსაჩინო დასტური ის გახლდათ, რომ მან ლივერპულელებს განახლებულ კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც კვირაში 100 ათასი ფუნტი უნდა მიელო, უარი თქვა და ესეც არ იკმარა, „წითლებისთვის" ფრიად უსიამოვნო რამ თქვა:

*„რას ვიზამ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჯერჯერობით ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ იმას არ დაგიმალავთ, რომ აქ, სამხრეთ აფრიკაში, თავისუფალ დროს იტალიურს ვსწავლობ".*

პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ჩამშლელი ნახევარმცველის ასეთი განცხადებები კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას. მოგეხსენებათ, მერსისაიდში არ მთავრდება ლაპარაკი იმის შესახებ რომ გუნდიდან წასვლას სხვა წამყვანი ფეხბურთელებიც აპირებენ. კერძოდ, ლაპარაკია **სტივენ ჯერარდზე, ფერნანდო ტორესზე, იოსი ბენაიუნსა** და **დირკ კუიტზე.**

ამასობაში კი სამხრეთ აფრიკაში „გაშლილ" ინგლისელთა ბანაკიდან მერსისაიდელებს ხმა **ჯეიმი კარაგერმა** მოაწვდინა. მან თქვა:

*„არ მინდა უმადური გამოვჩნდე. დიდი მადლობა რაფა ბენიტესს ყველაფრისთვის, რაც მან „ლივერპულისთვის" გააკეთა და „ინტერში" დიდ წარმატებებს ვუსურვებ. ახლა, ჩვენთან, „ენფილდზე" მისი ადგილი თავისუფალია და ძალიან მინდა ის რაც შეიძლება მალე შეივსოს. დროა გუნდმა მომავალზე დაიწყოს ფიქრი".*

შეგახსენებთ, რომ დიდი შანსია „ლივერპულის" თავკაცად მისი ლეგენდარული ფეხბურელი და მწვრთნელი **კენი დალგლიში** დაინიშნოს, თუმცა დალგლიშს ერთი ნაკლიც აქვს: რაც „სელტიკიდან" წავიდა, ანუ 2000 წლის შემდეგ მთავარ მწვრთნელად აღარსად უმუშავია...

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

# მარტინი იქა, ზლატანი აქა?

„ბოლტონ უონდერესმა" გამოაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტის" ბულგარელი ნახევარმცველი **მარტინ პეტროვი** 1 ივლისიდან მისი ფეხბურთელია. 31 წლის პეტროვს ისტლენდელებთან კონტრაქტის ვადა ივნისში ამოეწურა, მაგრამ მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** ახალი არ შესთავაზა და ისიც იძულებული გახდა სხვა გზას დასდგომოდა. შეგახსენებთ, რომ მარცხენაფლანგელი 2007 წელს „სიტის" ყოფილმა თავკაცმა, დღეს კოტ დივუარის ნაკრების მწვრთნელმა **სვენ გორან ერიკსონმა** 4,7 მილიონ ფუნტად მადრიდის „ატლეტიკოსგან" იყიდა. ბულგარელმა „სიტის" შემადგენლობაში" 66 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა.

პეტროვს, რომელიც 2006 წელს ბულგარეთის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ, კარიერაში უთამაშია „ბოტევში", სოფიის ცსკა-ში, „სერვეტსა" და „ვოლფსბურგშიც". რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იქ პეტროვს 77 შეხვედრაში 19 გოლი აქვს გატანილი.

ზემოხსენებულ მანჩინის კი თურმე შვედეთის ნაკრებისა და „ბარსელონას" თავდამსხმელი, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მიაჩნია ევროპის საუკეთესო თავდამსხმელად. სიტის იტალიელმა თავკაცმა უარჰყო ხმები, თითქოს ის „ვოლფსბურგიდან" ბოსნიელი ფორვარდის **ედინ ჯეკოს** ყიდვას აპირებდეს, თუმცა, ინგლისური ტაბლოიდები წერენ, რომ ეს მთლად მართალი არ არის. ისტლენდელები ჯეკოზე უარს ჯერჯერობით იმიტომ აცხადებენ, რომ იბრაჰიმოვიჩზე სურთ გადართვა, მაგრამ თუ შვედს ვერ შეიძენენ, ჯეკოს ვარიანტს დაუბრუნდებიან. ამბობენ, რომ „სიტიმ" სხვა კანდიდატურები ვერ შეარჩია.

შეგახსენებთ, რომ მანჩინი იბრაჰიმოვიჩს კარგად იცნობს. იმ წლებში, როცა იტალიელი „ინტერს" წვრთნიდა, ზლატანი მისი ფეხბურთელი იყო. მანჩინიმ გაიმეორა: *„ჩემი რწმენით იბრაჰიმოვიჩის ბადალი თავდამსხმელი დღეს ევროპაში არ არის".*

რამდენადაც ცნობილია, შვედმა ფორვარდმა „ბარსელონაში" თავი ვერავის მოაწონა და კვლავ ინგლისური ტაბლოიდების ინფორმაციით კატალონიელები მის „კამპ ნოუდან" გასხვისებას აპირებენ. ცნობილი გახდა, რომ 28 წლის იბრაჰიმოვიჩის ფასი 40 მილიონი ფუნტი ანუ 47,9 მილიონი ევროა.

შეგახსენებთ, რომ იბრაჰიმოვიჩს იტალიაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს. „ინტერის" გარდა თავის დროზე ის „იუვენტუსშიც" გამოდიოდა და, როგორც ამბობენ, გული ახლაც სერია A-სკენ მიუწევს. მის იტალიაში დაბრუნებაზე ოცნებას ხელს ალბათ ისიც უწყობს, რომ „მილანი" **კლაას იან ჰუნტელაარის** (მისი შეძენა ძალიან უნდა „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაც **ჰარი რედნაპს**) გაშვებას აპირებს და „სან სიროზე" თავისუფალი ადგილი ჩნდება. მაგრამ, თუ საქმეში მანჩინი ჩაერევა, იბრაჰიმოვიჩმა შეიძლება გეზი შეიცვალოს. თუმცა, მანჩინი კონკრეტული სახელებისა და გვარების დასახელებას არ ჩქარობს. გარდა ამისა ის ამბობს, რომ ხშირად ფეხბურთელებს მის კლუბთან მათთვის ფასის ასაწევად ასახელებენ.

*„რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ზაფხულზე გაძლიერებას ვაპირებთ. აქ, ორი აზრი არ არსებობს, თუმცა, სატრანსფერო ბაზარზე დარხეულ ჭორებს კარგად თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ „სიტისთან" დაკავშირებული ხმები ფეხბურთელებისთვის სახეიროა".*



ზლატან იბრაჰიმოვიჩი



მარტინ პეტროვი

ფიქრები მომავალზე

# აზია ჩელსიში

აზიელი ვარსკვლავების ძებნა ინგლისში საშურ საქმედ იქცა - ამ კონტინენტზე პრემიერლიგის კლუბებს პოპულარობით ვერავინ ედრება, ეს კი დიდი ბიზნესი და მოგებაა, მით უფრო, თუ გუნდში იქაური ფეხბურთელიც ჰყავთ. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს „ჩელსიც", რომელმაც ალმოსავლეთიდან ექვს ყმაწვილ ფეხბურთელს უხმო და კარგა ხანს აპირებს მათზე დაკვირვებას.

ეს ექვსი მოთამაშე ინგლისის ჩემპიონმა ბანგლადეშში, პაკისტანში, შრი ლანკასა და ინდოეთში რვიდან ცამეტ წლამდე ბავშვების დათვალიერებისას შეარჩია. პროგრამა, რომლის შესაბამისადაც „ჩელსის" მწვრთნელები მუშაობენ, უკვე ორი წელიწადია რაც მოქმედებს და მის ფარგლებში „ლურჯებმა" 450 მოთამაშე დაათვალიერეს. თავის დროზე ასეთივე მეთოდით შერჩეულ ფეხბურთელთაგან ახლა ორი „ლეიტონ ორიენტში" გამოდის ხოლო ერთი „საუთენდში".



რომან აბრამოვიჩი
აზიური ბაზრით დაინტერესდა

ლონდონელთა კლუბის „ფეხბურთის ელჩმა" **ბრენდენ ბესტონმა**, რომელიც თავის დროზე „ვესტ ბრომვიჩში", „არსენალსა" და „კემბრიჯში" თამაშობდა, თქვა: *„ჩვენი ინიციატივა წარმატებული გამოდგა და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ მსგავსი პროექტების წამოწყებას სხვა კლუბებიც აპირებენ. ვფიქრობ, აზიაში ამას მესიჯად მიიღებენ: დიდ საფეხბურთო სამყაროს თავის რიგებში მათი მიღება უნდა. საოცარია, სად ვიყავით ევროპელები აქამდე, რატომ ვერ ვხედავთი აზიელ ფეხბურთელებში იმავეს, რასაც ვხედავდით აფრიკელებში? პირადად მე ფეხბურთის ასოციაციასთან ერთად ძალიან ბევრი ვიმუშავე, რათა აზიელი ბავშვებისთვის დიდი ფეხბურთისკენ გზა გამეკაფა. ნათქვამია, სპორტში, ხელოვნებასა თუ ნებისმიერ სხვა დარგში წარმატებისა და უმაღლესი პროფესიონალიზმის მიღწევას 10 ათასი საათი სჭირდება. შესაბამისად, აშკარაა, რომ მუშაობა პატარა ასაკიდანვეა დასაწყები. „ჩელსი" კი ისეთი მაღალი სტანდარტების გუნდია, რომ აზიელ ბავშვებს ოცნების ახდენაში დაეხმარება".*

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ჰერთას კობიაშვილი უკაპიტნებს

მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულმა ბერლინის „ჰერტამ“ ამ ზაფხულს საკმაო ცვლილება განიცადა. დედაქალაქელთა გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და კლუბმა ახალი მოთამაშეები დაიმატა. ამასთან, გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - **მარკუს ბაბელი**. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრების ვიცე-კაპიტანმა **ლევან კობიაშვილმა** „ჰერტასთან“ ახალი 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ სწორედ ბერლინელთა კლუბში დასაქმდება.

სხვებთან ერთად „ჰერტა“ კაპიტანმა **არნე ფრიდრიხმა**. შესაბამისად გუნდს ახალი კაპიტანი სჭირდებოდა და ეს პატივი სწორედ ჩვენებურს ერგო. გერმანული პრესის ცნობით, გუნდის თავკაცმა მარკუს ბაბელმა და სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ პრეეტცმა** ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ გუნდს კობიაშვილი უკაპიტნებს.

*„ზამთრიდან მოყოლებული ლევან კობიაშვილი ჩვენს გუნდშია და მასთან გატარებულმა რამდენიმე თვემაც დაგვარწმუნა, რომ ქართველი ფეხბურთელი საკმაოდ გამოცდილია და მაღალი დონის პროფესიონალია. მას ბუნდესლიგაში 305, ხოლო მეორე ბუნდესლიგაში 45 მატჩი აქვს ჩატარებული. გარდა ამისა, კობიაშვილმა ყველას აჩვენა, თუ როგორ უნდა უერთგულო გუნდს. გასულ თვეში მას ფინანსურად საკმაოდ მიმზიდველი წინადადება ჰქონდა მოსკოვის „დინამოდან“, მაგრამ ლევანმა „ჰერტაში“ დარჩენა ამჯობინა. კობიაშვილი გერმანულად თავისუფლად საუბრობს და თანაგუნდელებში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს. ერთი სიტყვით, ამ ფაქტორების გათვალისწინებით ჩვენი გუნდის კაპიტნობაზე კობიაშვილი ალტერნატივის გარეშე იყო და ჩვენი გადაწყვეტილებაც ამით აიხსნება“*, - პრესასთან საუბარში განაცხადა „ჰერტას“ სპორტულმა დირექტორმა მიხაელ პრეეტცმა.




**დავით ცაბაძე**

# არც კალაძე, არც ხიზნები

## შოთა სხვა ქართველს აღარ იმატებს

მას მერე რაც, „ქაისერისფორის“ მთავარმა მწვრთნელმა **შოთა არველაძემ** ნაკრების მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი** თავის გუნდში წაიყვანა, ამ თურქულ კლუბს კიდევ არაერთი ქართველი ფეხბურთელი დააკავშირეს. გავრცელებული ხმების მიხედვით, შოთა გუნდის დაცვას კიდევ ერთი ჩვენებურით, **ზურაბ ხიზანიშვილით** გააძლიერებდა. უფრო მეტიც, უსაფუძვლო ვარაუდები იქამდეც კი მივიდა, რომ **კახა კალაძის** მომავალიც „ქაისერისფორს“ დაუკავშირეს. გარდა ამისა, თურქულმა ვებგვერდებმა ცნობა გაავრცელეს, რომლის თანახმადაც, მცველი **ოთარ ხიზანეიშვილი**, რომელმაც გასულ სეზონში მხოლოდ დასკვნით ტურში ითამაშა გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „აუგსბურგში“, მალე ქაისერელთა კლუბთან გააფორმებდა კონტრაქტსო. ბუნებრივია, ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ და შოთას ტყუპისცალ **არჩილ არველაძეს** დავუკავშირდით.

*„არა, ეს უბრალოდ ჭორია. კახა კალაძის, ზურა ხიზანიშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის ტრანსფერზე შოთას საუბარი არც კი ჰქონია. ამისულაშვილი უკვე შოთას გუნდია. „ქაისერისფორში“ სხვა ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერის საკითხი ამ ეტაპზე არ განიხილება“*, - აღნიშნა არჩილ არველაძემ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# კვირკველიამ არტმედიას გაუტანა

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა „ანჟიმ“ პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა. მახაჩყალელები სლოვაკურ „არტმედიას“ გაეჯიბრნენ და 2:1 მოიგეს. აღსანიშნავია ის, რომ ამ შეხვედრაში დაღესტნელები მე-2 წუთზე გატანილი სწრაფი გოლით, საქართველოს ნაკრების მცველმა **დავით კვირკველიამ** დააწინაურა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსამზადებელ ეტაპზე ეს კვირკველიას ზედიზედ მეორე გოლია - ავსტრიაში გამგზავრებამდე დათომ „ანჟის“ დუბლებსაც გაუტანა. მახაჩყალელებმა შესვენებამდე უპირატესობა გაიორმაგეს, სლოვაკებმა კი ერთი ბურთი მატჩის მიწურულს გაქვითეს.

ამ მატჩში კვირკველიას მსგავსად სასტარტო შემადგენლობაში იყო ნახევარმცველი **გოჯა ხოჯავა**. მეორე ტაიმიდან „ანჟის“ კარს ნაკრების მეკარე **ნუკრი რევიშვილი** იცავდა.

**დავით ცაბაძე**

# უკრაინაში ქართველები დაზავდნენ

უკრაინაში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერთა გუნდებმა ერთმანეთთან მოსინჯეს ძალები. **ვასილ გიგიაძის** „ტავრია“ **ბექა გოცირიძისა** და **ალექსანდრე კობახიძის** „კრივბასს“ ეთამაშა. შეხვედრა, რომელიც ქართველების დერბი იყო, ფრედ, 1:1 დასრულდა. სხვათა შორის, ორივე გოლი ბოლო 5 წუთში გავიდა, ჯერ სიმფეროპოლელები დაწინაურდნენ, მერე კი კრივბასელების ჯერი დადგა.

„ტავრიას“ რიგებში მეორე ტაიმიდან გამოჩნდა ვასილ გიგიაძე. შეგახსენებთ, რომ გიგიაძეს ტრავმა ჰქონდა და ამის გამო წინა საკონტროლო შეხვედრა გამოტოვა. 4 ივლისს ვასო და მისი გუნდი ჩემპიონ დონეცკის „შახტარს“ სუპერთასისთვის ზაპოროჟიეში ეთამაშებიან. რაც შეეხება „კრივბასის“ ჩვენებურებს, გოცირიძე და კობახიძე სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ.

**დავით ცაბაძე**

# თარხნიშვილმა დინამო შეაფასა

მოლდოვის ჩემპიონსა და თასის მფლობელი ტირასპოლის „შერიფს“ ჩემპიონთა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანეთის ოქროსმედალსანი, ტირანის „დინამო“ შეხვდა მეტოქედ. **ვაჟა თარხნიშვილის** გუნდი ახალი სეზონისთვის თურქეთში გადის მოსამზადებელ შეკრებას. ტირასპოლელები ტირანელებთან პირველ მატჩს 13 ან 14 ივლისს შინ გამართავენ, კვირის თავზე კი სტუმრად ითამაშებენ. „შერიფის“ ფეხბურთელებს წილისყრის შედეგებზე დაეკითხნენ. აი, რა თქვა პრესასთან საუბარში ტირასპოლელთა ქართველმა კაპიტანმა:

*„მართალი გითხრათ, მერჩივნა პირველ მეტოქედ სან-მარინოს გუნდი შეგვხვედროდა მეტოქედ, მაგრამ რას ვიზამთ? ტირანის „დინამოსთან“ მოგვიწევს დაპირისპირება. ალბანურ ფეხბურთზე თითქმის არაფერი ვიცი. ამ გუნდის წინააღმდეგ თბილისის „დინამოს“ აქვს ნათამაშები. სამშობლოში ჩემს მეგობრებს დავუკავშირდი და ვკითხე ალბანური გუნდების შესახებ. მათ მითხრეს, რომ ალბანეთში ზაფხულში საშინელი სიცხეა და ძნელია ტირანაში თამაში. ალბანური გუნდები ისეთ ფეხბურთს აჩვენებენ, რომ არც თავად თამაშობენ და არც მეტოქეს აძლევენ ამის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ეს ეტაპი უნდა გადავლახოთ. იმის გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ ამას ვერ შევძლებთ“.*

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ




# *ირაკლი კლიმიაშვილი*

# 90 პროცენტით გადაწყვეტილია...

**ირაკლი კლიმიაშვილმა ჯერ კიდევ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. მართალია, მას ჯერ ოფიციალურად „ვიტ ჯორჯია“ არ დაუტოვებია, მაგრამ ახალგაზრდულ ნაკრებში საკმაოდ კარგი თამაშის შემდეგ ის უცხოური კლუბებისთვისაც საინტერესო მოთამაშე გახდა. დაინტერესებულმა კლუბებმა ისიც იციან, რომ 22 წლის შემტევი ნახევარმცველი საკლუბო დონეზეც წარმატებით თამაშობს და როგორც გვითხრა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ უცხოეთში ითამაშებს, მაგრამ სად და რომელ კლუბში, ეს ჯერ უცნობია.**

**კლიმიაშვილს უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ ოდესის „ჩერნომორეცში“ ელოდნენ, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ „მეზღვაურები“ პირველ ლიგაში დაქვეითდნენ, რამაც ტრანსფერიც ჩაშალა და ირაკლისაც გული დასწყვიტა...**

**- ჯერჯერობით „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელად რჩებით?**

- დიახ, დღემდე ამ გუნდის წევრი ვარ.

**- შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მიღებული ტრავმა თუ მოირჩინეთ?**

- 19 ივნისს უკვე ძუნძული დავიწყე. ექიმმა აუზზე სიარული და წყლის პროცედურები მირჩია. ტკივილებიც აღარ მაწუხებს.

**- შეკრებაზე რომელ გუნდს მიჰყვებით?**

- „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად მოვემზადები.

**- ანუ „ვიტ ჯორჯიაში“ დარჩით?**

- როგორ გითხრათ... კლუბთან კონტრაქტი მაქვს და შეუძლიათ, არ გამიშვან. ჯერჯერობით გუნდში ვარ, მაგრამ რაღაც ვარიანტებია და იმედია, მალე უცხოურ კლუბში ჩავირიცხები.

**- ოდესის „ჩერნომორეცი“ საბოლოოდ გამოირიცხა?**

- რომ არ გავარდნილიყო, კონტრაქტს ვაფორმებდი, მაგრამ... გავარდა და უკრაინის პირველ ლიგაში თამაში ნამდვილად არ მინდა.

**- წამყვანი ქართული კლუბები - „ოლიმპი“ და „ზესტაფონი“ უარით გაისტუმრეთ?**

- უკვე ვთამაშობ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ გუნდში და სიმართლე გითხრათ, არც მინდა სხვაგან გადასვლა. „ვიტ ჯორჯია“ ჩემთვის მხოლოდ ის კლუბი არ არის, სადაც ხელფასს ვიღებ, ეს ჩემთვის მართლა მეორე ოჯახია, ძვირფასია აქ გატარებული წლები და ამიტომ, საქართველოს სხვა კლუბში გადასვლაზე არ ვფიქრობ.

**- რაღაც ვარიანტებიაო, თქვით. რეალურია?**

>> მე-9 გვერდზე

ლეგიონერი

# სანდრო ალანიაში არ მიდისო...

მცირე ხნის წინ უკრაინულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც რუსეთის პრემიერლიგაში დაბრუნებული „ალანია“ ქართველ თავდამსხმელ **სანდრო გურულს** იწვევდა. ვლადიკავკაზელებმა მანამდე **ოთარ ხიზანეიშვილი** მიიწვიეს, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო კონტრაქტი არ გაფორმდა.

დავუბრუნდეთ გურულს. სანდროს მამამ, საფეხბურთო აგენტმა და წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **გია გურულმა** „ლელოსთან“ საუბრისას ეს ინფორმაცია უარყო.

*„სანდრო ვლადიკავკაზის „ალანიაში“ არც არავის მიუწვევია და არც წასულა. იყო და რჩება ლვოვის „კარპატის“ წევრად სტაბილურად ათამაშებენ ძირითად შემადგენლობაში და წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია. თავდაპირველად, ინფორმაცია უკრაინულმა ინტერნეტგამოცემებმა გაავრცელეს და ეტყობა, საქართველოშიც გადაუმოწმებლად გადათარგმნეს. ვლადიკავკაზელთა დაინტერესებას გამოვრიცხავ, რადგან „ალანიას“ ინტერესზე არც ჩემთვის უთქვამთ რამე და არც სანდროსთვის. არ დაიჯეროთ, სანდრო „კარპატიშია“ და ჯერჯერობით კლუბის დატოვებას არ აპირებს“*, - გვითხრა გია გურულმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# კოლხეთი ოლიმპიდან გაძლიერდა

ფოთის „კოლხეთი“ სერიოზულად გაძლიერდა - კოლხების მთავარი მწვრთნელის **ბესიკ შეროზიას** ინფორმაციით, გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან ფოთში რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი მცველი **ოლეგ გველესიანი** ითამაშებს.

*„გველესიანის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და ვფიქრობ, ის „კოლხეთისთვის“ მშვენიერი შენაძენია. ამას გარდა, ბოლნისის „სიონიდან“ მეკარე მინდია ბობღიაშვილი დავიმატეთ. მიმდინარეობს მოლაპარაკება და იმედია, რუსთავის „ოლიმპიდან“ ნახევარმცველ გიორგი ხიდაშელსაც დავიმატებთ. შეიძლება ითქვას, ისიც გადაწყვეტილია, რომ „კოლხეთის“ მაისურით ითამაშებს თავდამსხმელი მამუკა ლონლაძე, რომელსაც გულშემატკივარი ცხინვალის „სპარტაკიდან“ იცნობს, ბოლო დროს კი უზბეკეთში თამაშობდა. რაც შეეხება გიორგი კრასოვსკის, ის სომხეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსან „ულისეში“ თამაშობს. გიორგი ფოთელია, „კოლხეთში“ გაიზარდა და გვსურს, მშობლიური ქალაქის გუნდში დავაბრუნოთ. კრასოვსკი თანახმაა, მაგრამ გამორიცხული არ არის, ჯერ „ულისეს“ ევროლიგაზე დაეხმაროს და ამის შემდეგ შემოგვიერთდეს. გიორგი ადრე ცენტრალური ნახევარმცველი გახლდათ, მაგრამ „ულისეში“ ცენტრალურ მცველის პოზიციაზე ათამაშებენ და ჩვენც ამ პოზიციისთვის შევიგულეთ“*, - ამბობს შეროზია.

**მერაბ მამულაშვილი**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები სამძიმარს უცხადებენ ვეტერან ფეხბურთელს რეზო ჭოხონელიძეს დედის გარდაცვალების გამო.**

*გამოსვენება 24.06 15 საათზე. მისამართი: თბილისი, ილურიძის ქ. 22 (ჩაის ფაბრიკის წინ)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ირაკლი კლიმიაშვილი 90 პროცენტით გადაწყვეტილია...

« მე-8 გვერდიდან

- დიახ, რეალურია. ვნახოთ, მოლაპარაკებები დაწყებულია და დეტალები ზუსტდება. კარგად გამიგეთ, წინასწარ ლაპარაკი არ მსურს, როდესაც გადაწყდება, მერე დასამალი არაფერი იქნება.

**- რომელი ქვეყნის გუნდები გიწვევენ?**

- უკრაინისა და რუსეთის უმაღლესი ლიგის გუნდები.

**- სინჯებს გთავაზობენ თუ პირდაპირ კონტრაქტს?**

- ისე აღარ წავალ, როგორც ოდესის „ჩერნომორეცში", ორ შეკრებაზე რომ გავყევი. ახლა მაქსიმუმ სამოთხდღიან გასინჯვასა და სამედიცინო შემოწმებას დავთანხმდები. ალბათ, 90 პროცენტია ალბათობა, რომ საქართველო დავტოვო და კარიერა უცხოეთში გავაგრძელო.

**- „ვიტ ჯორჯიაზე" ისეთი სიყვარულით ლაპარაკობთ, მისი პერსპექტივითაც დაინტერესდები. „ოლიმპთან" საკონტროლო მატჩში დაიმსხვრა მითი, თითქოს წელს გუნდი აშკარად დასუსტდა...**

- წლების განმავლობაში „ვიტ ჯორჯია" სულ ასე არ იყო? ლიდერები სულ მიდიოდნენ, მაგრამ გუნდი დაბალ დონეზე არ ეშვებოდა, ძალებს იკრებდა და კვლავ ლიდერებში ტრიალებდა. ახლა „ვიტ ჯორჯიიდან" ძირითადი შემადგენლობის ხუთი ლიდერი წავიდა - ბედიაშვილი, კვახაძე, დათუნაიშვილი, რაზმაძე და ჯაფარიძე. ისინი არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ, საქართველოს ჩემპიონატშიც გამორჩეული ფეხბურთელები არიან. ასეთი დანაკლისი ნებისმიერ კლუბს დაასუსტებდა, მაგრამ იმედია, გუნდი არც სახეს დაკარგავს და ძველებურად ბრძოლისუნარიანიც იქნება. პირველივე სეზონში გუნდს ძველი დონის შენარჩუნება გაუჭირდება, მაგრამ ნიჭიერი ბავშვები მოდიან, წელს დუბლებში ჩემპიონები გახდნენ და ვფიქრობ, ახალ სეზონში ძალზე პერსპექტიული გუნდი გვეყოლება. მჯერა, ეს ბიჭები მალე ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ამხანაგური მატჩი

# მოსკოვის დინამოს დვალიც ეყო



ბრიჯაოსპრიზიორმა „ზესტაფონმა" ავსტრიულ შეკრებაზე გუშინ დასკვნითი ამხანაგური მატჩი გამართა. პლზენის „ვიქტორიასთან" წაგების (1:2), რუსეთის თასის მფლობელ სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" უგოლო ფრისა და ზალცბურგის „რედ ბულთან" მოგების (3:2) შემდეგ, **გია გეგუჩაძის** გუნდი კიდევ ერთ რუსულ კლუბს, მოსკოვის „დინამოს" გაეჯიბრა. თავიდანვე უნდა გაცნობოთ, რომ იმერლებმა ჩერნოგორიელ მწვრთნელ **მიოდგარ ბოჟოვიჩის** გუნდი დაჯაბნეს და ავსტრიული შეკრება მოგებით (3:1) დაასრულეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი გუნდიდან სამივე გოლი 25 წლის თავდამსხმელმა **ჯაბა დვალმა** გაიტანა და მეტოქეს „ვალი დაადო". შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმერელთა თავდამსხმელები კარგ ფორმაში არიან. ავსტრიულ შეკრებაზე, დვალის დარად 3 გოლი აქვს გატანილი ზესტაფონელთა თავდამსხმელ **ნიკა გელაშვილსაც** (ერთი „ვიქტორიასთან და ორი „რედ ბულთან"). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „დინამოსთან" მატჩის პირველ ტაიმში „ზესტაფონის" ერთ-ერთი ლიდერი **თორნიკე აფციაური** დაშავდა, თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და შეცვალეს. თუ რამდენად სერიოზულია აფციაურის ტრავმა, ეს დღეს-ხვალ გამოჩნდება.

ავსტრიის ქალაქ მატრაიში გუშინ ჩატარებული ეს შეხვედრა, ჩვენი გუნდის უპირატესობით წარიმართა, რაც საბოლოო ანგარიშშიც აისახა. პირველი სახიფათო მომენტი ზეტაფონელებმა შექმნეს, მაგრამ მე-9 წუთზე **შოთა გრიგალაშვილის** თავური მცირედით გადასცდა მეტოქის კარს. მე-17 წუთზე გელაშვილს მიეცა კარგი შანსი, მაგრამ რუსების მეკარემ იმარჯვა. 22-ე წუთზე ჩვენებმა კიდევ ერთი შანსი ვერ გამოიყენეს. 3 წუთის შემდეგ კი უკვე იმერელთა მეკარე **როინ კვასხვაძემ როპოტანს** „ცხრიანში" დარტყმული მოუხსნა. ჩვენმა გუნდმა იერიშებს სიმწვავე შემატა და 27-ე წუთზე ჯაბა დვალმა ანგარიში გახსნა. 1:0. შესვენებამდე დარჩენილ დროში მოსკოველებმა თამაში გაათანაბრეს, 38-ე წუთზე კი **კირილ კომბაროვმა** წონასწორობა აღადგინა. 1:1.

ზესტაფონელებმა მეორე ტაიმი კარგად დაიწყეს და სწრაფი გოლით დაწინაურდნენ - 53-ე წუთზე განხორციელებული სწრაფი იერიში ჯაბა დვალმა ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმითა დააგვირგვინა. 2:1. 7 წუთში იმერლებს სხვაობის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ გელაშვილის დარტყმისას რუსების კარი ხარიხამ იხსნა. 63-ე წუთზე **სმოლოვმა** ობსაიდიდან გაიტანა და არბიტრმა გოლი სამართლიანად არ ჩათვალა. ამ ეპიზოდის შემდეგ ზესტაფონელებმა მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერეს და 71-ე წუთზე დვალმა მეკარისგან შორეულ კუთხეში ეფექტური გოლით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, 3:1.

მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ „ზესტაფონის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **რ. კვასხვაძე, გ. ონიანი, ხიდეშელი, ბენაშვილი, ელიავა, დაუშვილი, აფციაური, გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, გელაშვილი, დვალი.**

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩემპიონთა ლიგა

მეტოქე

# აქტობე არასტაბილურია

## ყაზახეთის ჩემპიონი ხორვატ თავდამსხმელს იმატებს

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპის" მეტოქემ, ყაზახეთის „აქტობემ" 22 ივნისს ასტანის „ლოკომოტივთან" საშინაო შეხვედრა 1:2 წააგო. საინტერესოა, რომ ამ თამაშს 8 000 მაყურებელი დაესწრო.

აქტობელები 31-ე წუთზე **მაქსატ კურმაშევმა** დააწინაურა, მაგრამ 65-ე წუთზე ლოკომოტიველმა **იგორ ბუგაევმა** ანგარიში გაათანაბრა, 89-ე წუთზე კი **სერგეი ოსტაპენკოს** დარტყმამ სტუმრებს გამარჯვება მოუტანა.

„აქტობემ" მატჩი შემდეგი შემადგენლობით ჩაატარა: **სიდელნიკოვი, ბა, სმაკოვი, ბადლო, ხოხლოვი, კარპოვიჩი, დარაბაევი, კენჟისარიევი, კურმაშევი, ესომბა, ტლეშევი (73. სტრუკოვი).** სათადარიგოები: **ბაიჟანოვი, სემიონოვი, ბონო, ავერჩენკო, დოსმაგამბეტოვი, ბოიჩენკო.**

„ოლიმპს" ამბიციური მოწინააღმდეგე შეხვდა. როგორც თავად ამბობენ, „გუნდი მაქსიმალურ მიზანს ისახავს". ბუნებრივია, ამ მიზანში „ოლიმპის" ბარიერის დაძლევაც იგულისხმება.

ყაზახურმა ინტერნეტპორტალმა „სპორტსმა" გუნდის უფროს (არ აგერიოთ მთავარში) მწვრთნელ **ვიქტორ სემიონოვს** ინტერვიუ ჩამოართვა. სხვათა შორის, ამ ქვეყნის პოსტსაბჭოურ მემკვიდრეობაზე სემიონოვის ეს ტიტულიც მეტყველებს - „აქტობეს" მთავარი (**ვლადიმირ მუხანოვი**) და უფროსი მწვრთნელები ჰყავს, მაგრამ მთავარი მაინც მუხანოვია.

*„წილისყრის შედეგებზე შემიძლია გითხრათ, რომ ლიგის ამ საკვალიფიკაციო ეტაპზეც კი არასერიოზული მეტოქე არ არსებობს. სხვა საქმეა, რომ ჩვენგან განსხვავებით, ქართველები განთესილები არ იყვნენ, რაც უპირატესობას გვაძლევდა. უნდა გავახაროთ გულშემატკივრები და შემდეგ წრეში გავიდეთ. ლიგის მატჩებამდე საგანგებო შეკრება მოსკოვში პირველიდან 11 ივლისამდე გვექნება... ვგეგმავთ ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას, მაგრამ მათ გვარებს ვერ გაგიმხელთ"*, - ამბობს სემიონოვი.

„სპორტსმა" ინტერვიუ „აქტობეს" დირექტორ **ვასილი იურჩენკოსაც** ჩამოართვა.

**- რა მიზნებს ისახავს „აქტობე" ჩემპიონთა ლიგაში?**

- ჩვენ ყველგან მაქსიმალურ ამოცანას ვისახავთ (ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასაც?!). შევეცდებით, რაც შეიძლება შორს გავაღწიოთ.

**- რა იცით ქართულ კლუბზე?**

- ჯერ არაფერი.

**- „აქტობე" პირველ მატჩს სახლში გამართავს. ეს დადებითი მომენტია თუ უარყოფითი?**

- რა თქმა უნდა, პირველი შეხვედრის გასვლაზე ჩატარება სჯობდა.

**- არის ინფორმაცია, რომ „უეტისუს" ერთ-ერთი სერბი თავდამსხმელით დაინტერესდით.**

- დიახ, ჩვენ ივან პერიჩი გვაინტერესებს (ეს ხორვატი თავდამსხმელი წლების განმავლობაში უკრაინულ „არსენალსა" და „ზარიაში" თამაშობდა).

**- ჩემპიონატში „აქტობეს" არასტაბილური გამოსვლის გამო მთავარი მწვრთნელი კლუბს დატოვებს?**

- მუხანოვი არსად არ მიდის.

ვფიქრობთ, რუსთაველებმა „აქტობეს" არასტაბილურობით უნდა ისარგებლონ. მთავარია, საამისო ძალები გამონახონ. სხვათა შორის, პერიჩის აყვანის პერსპექტივა მედიას არ მოეწონა, რადგან ხორვატი ფორვარდი განსაკუთრებული შედეგიანობით არ გამოირჩევა.

კიდევ ერთი სიახლე „აქტობესა" და „ოკჟეტპესს" შორის გარიგებაა: ჩემპიონი მცველ **იური მოკროუსოვის** იმატებს, სამაგიეროდ, „ოკჟეტპესს" თავდამსხმელ **სერგეი ლისენკოვს** უთმობს.

რა თქმა უნდა, „აქტობემ" „ოლიმპს" რომ მოუგოს, არ გაგვიკვირდება - ყაზახებს ბევრი ფული და ლეგიონერების მიწვევის მეტი საშუალება აქვთ, მაგრამ შორიდან მათი ამბიცია და „მაქსიმალური მიზნები", დამეთანხმებით, საბჭოურ აზროვნებას ჰგავს...

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# მენთეშაშვილი გაზაევთან... უნგრეთში

## ...დღეს კი ქართველების დიორი ეტოსთან

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ზურაბ მენთეშაშვილმა** თელ ავივის „ჰაპოელში" გასული სეზონი წარმატებით ჩაამთავრა. შეგახსენებთ, რომ მენთეშაშვილის გუნდმა ბოლო მატჩებში გაუსწრო **ლადო დვალიშვილისა** და **გიორგი დარასელიას** ჰაიფას „მაქაბის" და ჩემპიონი გახდა. სეზონის დასრულებასთან ერთად ზურაბ მენთეშაშვილს ებრაულ კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა. ზურამ თელავიველთა გუნდში 25 მატჩი ჩაატარა. ცხადია, ჩვენებურმა გუნდის გაჩემპიონებაში თავისი წვლილი შეიტანა. შესაბამისად, კლუბს მენთეშაშვილისთვის ხელშეკრულების გაგრძელება უნდოდა, მაგრამ როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, „ჰაპოელმა" ზურას ხელშეკრულება აღარ გაუხანგრძლივა. თუ რატომ, ეს ჯერჯერობით უცნობია.

მენთეშაშვილი ისრაელიდან ლატვიაში გაფრინდა და ბალტიისპირეთში რამდენიმე დღე დაყო, მაგრამ ეს ვიზიტი საფეხბურთო თემას არ ეხებოდა. ლატვიიდან ზურა რუსეთში გაემგზავრა და როგორც გავიგეთ, სამარის „კრილიას" მესვეურებს შეხვდა. გუშინ კი „კრილიას" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 30 წლის ქართველი ნახევარმცველი „კრილიას" უცხოურ მოსამზადებელ შეკრებაზე უკვე შეუერთდა. მენთეშაშვილი საკონტროლო მატჩებში მიიღებს მონაწილეობას და გუნდში მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი უცხოური შეკრების შემდეგ, ივნისის ბოლოსთვის გადაწყდება.

გაცნობებთ იმასაც, რომ დღეს „კრილია" მორიგ საკონტროლო შეხვედრას უნგრეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ „დიორი ეტოსთან" გამართავს. ამ შეხვედრაში მენთეშაშვილი პირველად ითამაშებს სამარელთა გუნდის რიგებში. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. კერძოდ კი ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **გიორგი ბახტაძე**, მცველი **ლაშა თოთაძე**, ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა**, თავდამსხმელი **რატი ალექსიძე, ვახტანგ ფანცხავა** და **თემურ შარაშენიძე.**

სამარელთა გუნდი კი უნგრეთში გადის მოსამზადებელ შეკრებას. „კრილია", რომლის მთავარი მწვრთნელიც **იური გაზაევია**, სამშობლოში 30 ივნისს დაბრუნდება, მანამდე კი ოთხ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. ცნობისთვის, რუსეთის პრემიერლიგაში „კრილიას" საქმეები ცუდად მისდის. 11 ტურის შემდეგ სამარელთა გუნდი 8 ქულით ბოლოდან მესამე, მე-14 ადგილზეა და კონკურენტებს მხოლოდ ქულით უსწრებს. მენთეშაშვილი პოპულარულ ვებგვერდ transfermarkt.de-ს მიერ 450 ათას ევროდ არის შეფასებული, მაგრამ ის ამჟამად უკვე თავისუფალი აგენტია.

ზურასთვის რუსეთის ჩემპიონატი უცხო ხილი არ არის. აქამდე ჩვენებური ორჯერ უკვე თამაშობდა რუსეთის სხვადასხვა კლუბში, ეს კი მესამედ დაბრუნებაა. ზურამ 2003 წელს ვლადიკავკაზის „ალანიაში" 13 მატჩი ჩაატარა, 2005 წელს კი იაროსლავლის „შინიკის" რიგებში 15 შეხვედრა ჩაატარა. ზურაბ მენთეშაშვილი ეროვნულ გუნდში 2000 წლიდან ასპარეზობს და აქამდე 38 მატჩში მხოლოდ ერთი გოლის ავტორია.

**დავით ცაგაძე**



ინტერვიუ



## რევაზ გეწაძე

# აზერბაიჯანში ველარ გავძელი

**რევაზ გეწაძე აზერბაიჯანის ჩემპიონატში მოთამაშე მესამე ფეხბურთელია, რომელიც საქართველოში დაბრუნდა და რუსთავის „ოლიმპში" ჩაირიცხა - ზამთარში რუსთაველებმა თემურ ლონლაძე დაიმატეს, ახლა კი გეწაძესთან ერთად - დავით ბოლქვაძეც.**

**24 წლის შემტევი ნახევარმცველი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანიდან წამოსვლა უკან გადადგმული ნაბიჯი არ არის. მეტიც - გეწაძე, თურმე, სეზონის დასრულებას ელოდებოდა, „გაბალიდან" რომ წამოსულიყო.**

**- რევაზ, ქართველი ფეხბურთელები აზერბაიჯანს ქერის ორმოსავით ეტანებიან და თქვენ რატომ გამობრუნდით?**

- ველარ გავძელი. მთელი დღე ბაზაზე ვიყავი გამოკეტილი, გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა და ასე ცხოვრება აუტანელი იყო. არც დავლოდებივარ ტონი ადამსის გადაწყვეტილებას, დამტოვებდა თუ არა.

**- თქვენ დიდ იმედებს გიკავშირებდნენ, თუმცა, ჯერჯერობით, კარიერა ვერ ააწყვეთ...**

- ალბათ, ჩემი ბრალია, საქმეს რალაც დავაკელი. თანაც, აზერბაიჯანში ისე ვერ გაიზრდები, როგორც ევროპაში. მე რომ მინდოდა, ისეთ ქვეყანაშიც არ მიმიწვიეს.

**- საქართველოში დაბრუნება უკან გადადგმული ნაბიჯი არ არის?**

- სხვათა შორის, იქ წასვლას განსაკუთრებით წინ გადადგმულ ნაბიჯად არ მივიჩნევ. აზერბაიჯანში ჩვენზე უკეთესი დონეა, მაგრამ ტრამპლინიც არაა. კარგად რომ ითამაშებ, აუცილებლად ძლიერ ლიგაში ვერ გადახვალ. მგონი, სწორად მოვიქეცი, რომ წამოვედი. საქართველოში უფრო კარგად ვგრძნობ თავს.

**- აზერბაიჯანში სოლიდური კლუბის ჩამოყალიბება რეალურია?**

- „გაბალაში" ჩემპიონთა ლიგაში გასვლაზე არც ოცნებობდნენ - იცოდნენ, რომ არარეალური იყო. უბრალოდ, იქ ბევრი ფულია და დონემ საგრძნობლად აიწია. გასულ სეზონში „ყარაბახმა" ევროთასებზე საკმაოდ კარგად ითამაშა. ჩემი ყოფილი კლუბი „გაბალა" ხომ ფინალურ ექვსეულში მოხვდა და დაძაბული თამაშები იყო. თუმცა ევროპულ დონემდე ბევრი აკლიათ. ფინანსურად ქართულ კლუბებს ბევრად უსწრებენ, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვი კლასზე, ჩვენ შორის დიდი განსხვავება არ არის. მეტი ფული რომ არის, ფეხბურთელი მეტ პასუხისმგებლობასაც გრძნობს. 6-7 ისეთი გუნდია, ფულის პრობლემა რომ არ აქვთ, არც აგვიანებენ და ისეთ ლეგიონერებსაც იწვევენ, მიკვირს, აზერბაიჯანში თამაშს როგორ თანხმდებიან.

**- ეტყობა, დიდ ფულს უხდიან...**

- არა მგონია, ვინმეს მილიონს უხდიდნენ. გამორჩეულების წლიური ხელფასი 300-400 ათასს აღწევს. იშვიათ გამონაკლისებს თვეში 40 ათას დოლარსაც უხდიან. ზოგიერთში კი წელიწადში 100 ათასს ისეთებს აძლევენ, სეზონში 5-6 შეხვედრას რომ ატარებს. ამიტომ, მიხარია, რომ აზერბაიჯანში ჩემპიონი „ინტერი" რომ გახდა, გუნდში 6 ქართველია და ასეთ პირველობას რომ მოიგებ, პატარა ამბავი არ არის.

**- რუსთავის „ოლიმპის" ორ საკონტროლო შეხვედრაში ტრავმის გამო არ გითამაშია - „ოლიმპს" ევროთასებზე მაინც დაეხმარებით?**

- მძიმე ტრავმა არ არის, მაგრამ გართულებას ვერიდები და არ ვვარჯიშობ. თუმცა ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩამდე უნდა მოვმჯობინდე.

**- როგორც გავიგე, „ზესტაფონში" ახლახან აყვანილი როსტომ გეწაძე თქვენი ძმა ყოფილა - ერთად თამაშის შანსი ხომ არ გქონიათ?**

- უბანში სულ ერთად ვთამაშობთ. სხვათა შორის, უბანში მინიფეხბურთის ძლიერი გუნდი გვყავს - დემეტრაძე თამაშობს, მე, ჩემი ძმა... თუმცა დიდი ფეხბურთის გუნდში მე და ჩემი ძმა ერთად არასდროს ვყოფილვართ. ჩემგან განსხვავებით, როსტომი მაღალია, ცენტრალურ ნახევარმცველს ათამაშებენ და სხვათა შორის, ძალიან ტექნიკური და მოაზროვნე ფეხბურთელია. რაც მთავარია, შრომისმოყვარეა და თამაში შეუძლია. როსტომი „ზესტაფონში" გასულ სეზონში „საბურთალოდან" აიყვანეს, 19-წლამდელთა წევრი გახლავთ და იმედია, კარგი კარიერა ექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

სიახლე თიაქრის მკურნალობაში




საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის" საავადმყოფო

კალათბურთი



ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# მწვრთნელს შევპირდი და... კანტუში დავრჩი

**გუშინწინ მანუჩარ მარკოიშვილს იტალიის ქალაქ კანტუდან ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტი ჩამოუვიდა. გუშინ მან დოკუმენტს ხელი მოაწერა და ფაქსით აპენინებზე გაგზავნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მანუ მომავალ სეზონშიც „კანტუს" ღირსებას დაიცავს...**

- კონტრაქტი წინასწარ იყო შეთანხმებული და ორივე მხარის ნებით გაფორმდა, თუმცა დარჩა ერთი პროცედურა - იტალიაში ჩასული ხელმოწერილი დოკუმენტის ოფიციალურად დადასტურება. ასე რომ, 99 პროცენტით კანტუელი ვარ.

**- ხელახალი ხელშეკრულების გაფორმება კანტუელებს ძალიან უნდოდათ. შენ კი სხვა ვარიანტებიც გქონდა...**

- სეზონის დასრულების შემდეგ „კანტუს" უფროსობამ ახალი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა. ამას ჩემი სურვილიც დაერთო და გუნდში ამიტომაც დავრჩი. საბოლოოდ, 1+1 სისტემის ხელშეკრულებაზე შევთანხმდით.

**- ახლახან გადაწყდა, რომ ანდრეა ტრინჩიერი „კანტუს" თავკაცის პოსტზე დარჩება. ამ ამბავმაც ხომ არ იმოქმედა შენს გადაწყვეტილებაზე?**

- ანდრეასთვის ნათქვამი მქონდა - თუ გუნდში დარჩები, მეც შენ გვერდით ვიქნები, თუ სხვაგან წახვალ, ალბათ, აღარც მე ვითამაშებ „კანტუში"-მეთქი. ტრინჩიერის არაერთი კარგი წინადადება ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ „კანტუსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში კი მეც მივიღე გუნდში დარჩენის გადაწყვეტილება.

**- სეზონი დასრულებული არ გქონდათ, როცა „ვირტუსის" ხელმძღვანელობა შენი გადაყვანის შესახებ ალაპარაკდა. იყო „მონტეპასკის" ვარიანტიც...**

- ბოლონიის „ვირტუსის" უფროსობა სერიოზულად იყო დაინტერესებული. სურდათ ჩემი გადაყვანა, თუმცა მაინც „კანტუში" დარჩენა გადავწყვიტე. რაც შეეხება „მონტეპასკის", ამ დონის გუნდში თამაში ჩემთვის საინტერესო იქნებოდა, მაგრამ მითხრეს, 3 კვირა გვაცალეო... მივხვდი, რომ სიენელებს სხვა ვარიანტი ჰქონდათ, სხვა კალათბურთელი ჩემზე წინ იდგა და თუ იმას ვერ დაიმატებდნენ, მაშინ გამიფორმებდნენ კონტრაქტს. ალბათ, ამ ეტაპზე „მონტეპასკის" დონის გუნდში სათამაშოდ მზად არ ვიყავი. ამიტომ 3 კვირა მოცდას „კანტუში" თამაში ვამჯობინე.

**- წლეულს კანტუელები ევროტურნირებზე ხომ ითამაშებენ?**

- ევროთასზე ვიასპარეზებთ. სერიოზული ტურნირია და მასში გამოსვლა ნამდვილად საინტერესო იქნება. ამასთან, იტალიის ჩემპიონატშიც ვეცდებით შედეგის გაუმჯობესებას, რაც იოლი არ იქნება.

**- ახალი სეზონის წინ გუნდს, ალბათ, გააძლიერებენ...**

- შეიძლება, ჩვენი გუნდი გაძლიერდეს, მაგრამ მომავალ სეზონში რა დონისა იქნება, მაინც ძნელი სათქმელია, რადგან შესაძლოა, სხვა გუნდებმაც იაქტიურონ სატრანსფერო ბაზარზე. თუმცა დარწმუნებული ვარ, „კანტუ" პროგრესს მომავალ სეზონში განაგრძობს.

**- საინტერესო გამოდგა მაისში ჩატარებული სერია A-ს მეოთხედფინალი „კანტუსა" და „ვირტუსს" შორის რის ხარჯზე მოახერხეთ ბოლონიელთა დამარცხება?**

- დაცვაში დამაჯერებლად გავისარჯეთ. ამის წყალობით შეტევაში თამაშიც გაგვიიოლდა. ძალიან დაძაბული თამაშები იყო. ორი საშინაო მატჩის შემდეგ 2:0 დავწინაურდით, თუმცა სტუმრად ასევე ორი შეხვედრა წავაგეთ და ანგარიში გათანაბრდა. მეხუთე მატჩი შინ ჩავატარეთ და ადგილობრივი გულშემატკივრის მხარდაჭერით ნახევარფინალის საგზური მოვიპოვეთ.

**- ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ზოგი გუნდი ფსიქოლოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა...**

- ჩვენ ამ მხრივ პრობლემა არ გვქონდა, რადგან მთელი სეზონი დამაჯერებლად ჩავატარეთ. რეგულარულ ეტაპზე „ვირტუსთანაც" კარგად ვითამაშეთ და სატურნირო ცხრილში მათზე მაღლა ვიყავით. ასე რომ, ბოლონიელებთან შედარებით თავდაჯერებულები უნდა ვყოფილიყავით. ასეც მოხდა, თავდაჯერებას მობილიზება დაემატა და ნახევარფინალშიც ვითამაშეთ.

**- მეხუთე თამაშის მერე ვიქტორ სანიკიძე როგორ ანუგეშე?**

- თანაბარი გუნდების ბრძოლაში ცხადი იყო, ერთ-ერთ ჩვენგანს სეზონი უნდა დაესრულებინა. მეოთხედფინალურ სერიაზე უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, მთელი სეზონი ვინ როგორ ჩაატარა. მეხუთე მატჩის დასრულებისთანავე ვიქტორი მოვიდა და გამარჯვება მომილოცა. მე მეოთხედფინალებში და მთლიანად სეზონში კარგად გარჯა მივულოცე. სანიკიძეს მართლაც გამორჩეული სეზონი ჰქონდა.

**- 1-ელი ივლისიდან ერთად მოგიწევთ ვარჯიში...**

- სანაკრებო შეკრებას ავსტრიაში ვიწყებთ. ამისთვის მზადება უკვე დავიწყე, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. მონდომებული ვარ და მინდა, ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ.

**- ნატურალიზებული ამერიკელებიდან ერთს უნდა იცნობდე...**

- ქუინტონ ჰოსლის წინააღმდეგ ერთხელ ვითამაშე: ორი წლის წინ „კიევთან" ერთად ევროჩელენჯზე „გალათასარაის" დავუპირისპირდით და სტუმრად მოვიგეთ. სწორედ თურქების რიგებში ირჯებოდა ჰოსლი. მახსოვს, ფიზიკურად ძლიერი იყო და მძიმე ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა. ტორინ გრინს კი არსად შევხვედრივარ. რადგან მათ საქართველოს პასპორტები მისცეს, კარგი კალათბურთელები უნდა იყვნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორ მოერგებიან ისინი ჩვენს ნაკრებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

მშვილდოსნობა

ევროპულ დიდი პრიზი

# ევროპა სომხეთში არ ჩავიდა

სომხურ ეჩმიაძინში დაიწყო ევროპის „დიდი პრიზის" გათამაშების მორიგი ეტაპი. სტატუსისა და რანგის მიუხედავად, ტურნირი არც ისე ძლიერი აღმოჩნდა. მაგალითად, ქალთა ტურნირში, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს, სულ 22 მონაწილე შეგროვდა და მათ შორის ამ სახეობის ლიდერები არ არიან. ცოტა მეტია მონაწილე ვაჟებში - 35, მაგრამ ლიდერები არც იქ არიან. ეტყობა, შეჯიბრების ხარისხს მარტო სტატუსი არ განსაზღვრავს.

გუშინ საკვალიფიკაციო შეხვედრები გაიმართა პირად პირველობაში. ქალებში ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ **ქრისტინე ესებუა** გამოვიდა, რომელმაც 630 ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილზეა. **ხათუნა ნარიმანიძე** 625-ით მეექვსეა. ასევე ერთმანეთის მეზობლად განლაგდნენ **ნათია ცინცაძე** და **ასმათ დიასამიძე** - 609-ქულიანი ცინცაძე მე-12-ა, 606-იანი დიასამიძე - მე-13.

ესებუა პლეი ოფის პირველ წრეში თავისუფალია, ცინცაძე კი ბოლოსწინა ადგილზე გასულ მასპინძელ **გოჰარ ჰაკორიანს** ხვდება. ესებუას მეტოქეც ამათში გამარჯვებული იქნება. პირველ წრეში ასევე თავისუფალია ნარიმანიძეც, რომელიც უკრაინელ **ნინა მილჩენკოსა** და ბოლოადგილოსან მასპინძელ **ნუნე ვასილიანს** შორის მოგებულს დაელოდება. ცნობილი და გამორჩეული არც მილჩენკოა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ნარიმანიძეს მეთექვსმეტედფინალში მეტოქედ უსუსტესი სომეხი ერგოს. დიასამიძე პლეი ოფში პირველივე წრიდან ჩაებმება - აქამდე უცნობ იტალიელ **გუნდალინა სარტორის** გაეჯიბრება.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მხოლოდ უკრაინელებს ჩამორჩნენ, თუმცა მხოლოდ ერთი ქულით - 1862 დააგროვეს. ისინი პლეი ოფის პირველ წრეში თავისუფალნი არიან და რუსებსა და სომხებს შორის მოგებულს შეხვდებიან.

ვაჟთა ტურნირში ჩვენი ოთხკაცა ნაკრებიდან უფრო ძველი თაობის მსროლელებმა ივარგეს, ვიდრე - ახალგაზრდებმა. თუმცა ჩვენგან საუკეთესო **ტარიელ ქადიძე** იყო, რომელსაც ძველი თაობა და ვეტერანი ნაკლებად ეთქმის - 603 ქულით მე-19-ზე გავიდა. **დავით ლეკვეიშვილი** 585 ქულით 26-ეა, 577-იანი **დავით ჭელიძე** - 29-ე, გუნდის ყველაზე უმცროსი და ჯერ კიდევ ქაბუკთა ნაკრების წევრი **ალექსანდრე აზნაურიძე** კი 552 ქულით 32-ზე გავიდა. ჩვენებურთაგან პლეი ოფსაც პირველსავე წრეში მხოლოდ ის იწყებს - მასზე ერთი ადგილით უკან მდგომ ირანელ **ფიროუზ ერფანიან ბოუკნეზად რაჰეიმას** შეხვდება, დანარჩენები კი პირველი წრიდან თავისუფლები არიან.

გუნდურ ჩათვლაში შეტანილი არ არის ქადიძის შედეგი. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მისი წაყვანა ბოლოს გადაწყდა და ორგკომიტეტში გაგზავნილ წინასწარ განაცხადში შეყვანილი არ იყო. დანარჩენი სამეულის მონაგარი 1714 ქულაა, რაც ქალთა მაჩვენებელზე საგრძნობლად ნაკლებია. საბოლოოდ მეშვიდე ადგილი გვერგო და პლეი ოფს რუსთა გადახალისებულ გუნდთან შეხვედრით ვიწყებთ.

ეჩმიაძინში დღეს პლეი ოფები პირად პირველობაში გაიმართება და მეოთხედფინალების ჩათვლით ჩატარდება. ხვალ გუნდური პირველობის დღეა ასევე ნახევარფინალებამდე, ფინალური შეხვედრები კი ორივეგან ზეგ გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ქულებიც, ევროც...

გუშინ ჯერმუკში (სომხეთი) საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის სერიის მეოთხე ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით დაუპირისპირდება ერთმანეთს.

საერთოდ, ფიდეს გრან-პრის სერიებში 20 ქალბატონი ცდის ძალებს. თითოეულმა 6-დან 4 ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა. 3 საუკეთესო შედეგი შევა საერთო ჩათვლაში, უძლიერესი კი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

ქალებმა უკვე მოილიეს სტამბოლის (თურქეთი), ნანძინის (ჩინეთი) და ნალჩიკის (რუსეთი) ტურნირები. პოტენციურად ყველაზე უკეთესი მდგომარეობა დღეისთვის ჩინელ **სიუ იუჰუას** და რუს **ტატიანა კოსინცევას** აქვთ, რომლებმაც მხოლოდ თითო ტურნირში სცადეს ბედი და პირველი ადგილების დაკავებისთვის 160-160 ქულა დაიმსახურეს. ორი ტურნირის ქულათა ჯამით (250 ქულა) მეწინავეობს ახალგაზრდა ჩინელი დიდოსტატი **ჰოუ იფანი**. ჯერმუკში მას სხვებზე უკეთესი რეიტინგიც (2589) აქვს. ამდენივე ქულა მოაგროვა **ჟაო სიუმ** (ჩინეთი), თუმცა მან უკვე სამი ცდა გამოიყენა. მეწინავეებს 20-20 ქულით ჩამორჩებიან **ნანა ძაგნიძე** და ინდოელი **ჰამფი კონერუ**: ნანამ ნანძინში მეორე ადგილისთვის 130 ქულა დაიმსახურა, ხოლო ნალჩიკში 100 ქულას დასჯერდა. კონერუმ სტამბოლში ყველას აჯობა და 160 ქულა ერგო, ნალჩიკში კი 70 ქულით დაკმაყოფილდა.

**მაია ჩიბურდანიძე** მხოლოდ სტამბოლის გრან-პრიში მონაწილეობდა და იქიდან 45 ქულით დაბრუნდა. ახლა მას სერიოზული მეტოქეების წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს, რომ ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვოს.

აქვე გთავაზობთ ფიდეს გრან-პრის მონაწილე ქალთა სატურნირო მდგომარეობას 24 ივნისისთვის: ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2 ტურნირი) — 250 ქულა, ჟაო სიუ (ჩინეთი, 3) — 250, ნანა ძაგნიძე (საქართველო, 2) — 230, ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2) — 230, **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2) — 165, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 1) — 160, სიუ იუჰუა (ჩინეთი, 1) — 160, **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2) — 160, **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2) — 130, **მონგონთუულ ბათუიაგი** (მონგოლეთი, 2) — 120, **ჟუ ჩენი** (ყატარი, 2) — 100, **შენ იანი** (ჩინეთი, 2) — 85, **მარტა ფიერო** (ეკვადორი, 2) — 85, **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი, 1) — 80, **იუ ვენიუნი** (ჩინეთი, 1) — 80, **ბაირა კოვანოვა** (რუსეთი, 2) — 80, მაია ჩიბურდანიძე (საქართველო, 1) — 45, **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 1) — 45, **ბეთულ ილდიზი** (თურქეთი, 3) — 40, **ზეინაბ მამედიაროვა** (აზერბაიჯანი, 1) — 25 ქულა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმათ ვინაობას, რომლებიც დღეს ჯერმუკში 64-უჯრიან დაფებს მიუსხდებიან. ესენი არიან: ჰოუ იფანი, სტეფანოვა, კრამლინგი, კოსინცევა, ჩიბურდანიძე, სიუ იუჰუა, ძაგნიძე, მკრტიჩიანი, დანიელიანი, შენ იანი, კოვანოვა, ფიერო. გრან-პრის ქულებთან ერთად ისინი 40 000 ევროსაც გაინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# 14 წლის ქართველი გამარჯვებული

16 წლის **ალექსანდრე მეტრეველი** წინ მიიწევს ახალგაზრდულ მსოფლიო კლასიფიკაციაში - ბოლო მონაცემით ჩვენებური კარიერის მორიგ პიკზე ავიდა, 20-წლამდელ ჩოგბურთელებს შორის მსოფლიოს 157-ე ჩოგანი გახდა 235 სარეიტინგო ქულით. აპრილსა და მაისში მეტრეველმა ერთეულთა თანრიგში ზედიზედ ოთხ ტურნირში გაალწია ფინალში, რომელთაგან კი სამი მოიგო.

ივნისში მეტრეველმა უფრო მაღალი კატეგორიის ტურნირებში მოსინჯა ძალები, თუკი აქამდე მე-4 ან მე-5 კატეგორიის შეჯიბრებებში გამოდიოდა, ახლა მან მაროკოში პირველი და მე-2 კატეგორიის ტურნირებში ითამაშა, თუმცა ნაკლები წარმატებით. მაროკოს ქალაქ მოჰამედიაში" რაკეტ დ'ორის" (ოქროს ჩოგანი) საერთაშორისო კლასიფიკაციით მე-2 კატეგორიის ტურნირია. ალექსანდრე ამ დონის ტურნირის ძირითად ბადეში პირველად თამაშობდა. პირველ წრეში მან სამხრეთაფრიკელ **უორენ კუნს** (226) მოუგო - 6:2, 6:4. მერვედფინალში კი ქართველი მე-2 ნომრად განთესილ ბელგიელ **ჟორის დე ლოორთან** დამარცხდა - 4:6, 0:6. დე ლოორი ახალგაზრდებში მსოფლიოს 39-ე ჩოგანია.

ამის შემდეგ ალექსანდრე მეტრეველმა კასაბლანკაში „მედიტერანე ავენირში" (პირველი კატეგორია) ითამაშა, სადაც ის მე-13 ნომრად განთესეს. 13 ნავსიანი გამოდგა ჩვენებურისთვის, პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში კი გერმანელ **კევინ კაჩინსკისთან** (271) დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა - 6:4, 6:7 (3), 4:6. მაგრამ ეს ტურნირი მაინც წარმატებული გამოდგა მეტრეველისთვის, რადგან წყვილთა თანრიგში ფინალში ითამაშა. ქართველი მოჰამედიაში მის მძლეველ დე ლოორთან ერთად მე-3 ნომრად განთესეს. ბელგიურ-ქართულმა დუეტმა მიმდევრობით დაამარცხა: **კვოკი** (აშშ) და **რიხტერი** (გერმანია) - 7:6 (2), 6:3; **კრენიკი** (კანადა) და **ვანესტე** (ბელგია) - 7:6 (8), 6:3 და პირველ ნომრად განთესილები, **დანიელი** (იაპონია) და **შტიფელმაიერი** (ავსტრია) - 6:3, 6:3. ფინალში მეტრეველი და დე ლოორი მე-2 ნომრად განთესილებთან, **განინასთან** (ბელგია) და **სალაბასთან** (ჩეხეთი) დამარცხდნენ - 1:6, 0:6.

ახალგაზრდულ ასპარეზზე იმდენად იშვიათად ჩნდებიან ჩვენი ახალი სახეები, რომ თითოეული ასეთი შემთხვევა განსაკუთრებულია. 20-წლამდელ გოგონათა ასპარეზზე 14 წლის (!) ჩალალანიძე გამოჩნდა (ის 15-ის ოქტომბერში ხდება). პირველად მან მაისში სტამბოლში მე-4 კატეგორიის ტურნირში ითამაშა, სადაც საკვალიფიკაციო ბადე გაიარა, მაგრამ პირველ წრეში მასპინძელ **სულტან გონენთან** დამარცხდა - 5:7, 6:2, 0:6. თურქეთში კიდევ ერთ ტურნირზე თამაშის შემდეგ თამარი ყაზახეთში წავიდა, სადაც მას პირველი წარმატება ელოდა - ასტანაში მე-5 კატეგორიის ტურნირი 14 წლის ქართველმა მოიგო. პირველ წრეში მან „მშრალად" მოუგო მასპინძელ **იულია ლატოხინას** - 6:0, 6:0. შემდეგ კი აჯობა მე-7 ნომრად განთესილ მასპინძელ **ჟენია პლევაკოს** - 6:4, 6:1, მეოთხედფინალში დაძაბულ ბრძოლაში კიდევ ერთი მასპინძელი, **ასელია არგინბაევა** დაამარცხა - 7:6 (8), 1:6, 6:3, ხოლო ნახევარფინალში მე-2 ნომრად განთესილ **კამილა რაფკატს** (720) მოუგო - 6:1, 6:1, 18 წლის ყაზახ ჩოგბურთელს, რომელიც ხანდახან დიდებშიც კი თამაშობს. მთავარი სენსაცია წინ იყო - ფინალში თამარმა პირველ ნომრად განთესილი მოლდოველი **ანა ბატირი** (461) დაამარცხა - 6:4, 6:3. ტიტულმა თამარს რეიტინგში შესვლის საშუალება მისცა, ის ეგრევე ათასეულში მოხვდა (830-ე პოზიციაზე) და ქართველ ახალგაზრდა გოგონებში პირველი ჩოგანიც გახდა. სხვათა შორის, ასტანის ტურნირში მის გარდა **ბაბილინა მაჩაიძე, ნინო სუჯაშვილი** და **ირინა თოიძე** თამაშობდნენ, მაგრამ ეს ტრიო მერვედფინალს ვერ გასცდა.

ქართულმა კვარტეტმა მერე მე-4 კატეგორიის ტურნირზე გადაინაცვლა ალმათიში, სადაც ოთხივე მერვედფინალში დაემშვიდობა ასპარეზობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტული ქრონიკები

## რას ამბობდნენ და წერდნენ ქართველ ფალავნებზე

# ასეთი იყო ნაკრებში რომან რურუა



„ჩვენ ერთხმად ავირჩიეთ იგი სსრ კავშირის ნაკრების კაპიტნად. მისი ნებისმიერი მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდებოდა. რომანი ჩვენი გუნდის სინდისი, მისი ტრადიციების მთავარი მცველი იყო.

გამოცდილ მოჭიდავეებს ბევრით ვერაფრით გააკვირვებ, რომან რურუა კი ჩვენც გვაოცებდა მეტოქეებზე თავისი უპირატესობით. იგი ყოველთვის იმდენად ძლიერი იყო მათზე, გეგონებოდათ, მძიმეწონოსანია და „ბუზებს" იგერიებსო. ჩვენი კაპიტანი ნაკრების ყველაზე საიმედო მოჭიდავე იყო.

**ვიქტორ იგუმენოვი,**
ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი

# კისრული იაპონელს



„მიუნხენი, ოლიმპიური ტატამი. ერთმანეთის პირისპირ დგებიან ძიუდოს ცოცხალი ლეგენდა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იაპონელი ფუმიო სასახარა და სპორტული სამყაროსთვის ჯერ კიდევ უცნობი შოთა ჩოჩიშვილი. თავიდან უპირატესობა იაპონელმა მოიპოვა. გარბოდა წუთები, შოთა კი ვერა და ვერ ახერხებდა მომდევნო ილეთის ჩატარებას. და უცებ იგრძნო, რომ დადგა კისრიდან გდების დრო. ტრიბუნიდანაც მოესმა პირადი მწვრთნელის გურამ პაპიტაშვილის ხმა: „კისრული". და ეს ილეთი დალოცვილი ქართული ჭიდაობიდან დაეხმარა ქართველს, ტატამზე დაენარცხებინა მრისხანე მეტოქე. წმინდა მოგება 5 წუთსა და 10 წამში. იპონი! — გამოაცხადა განცვიფრებულმა არბიტრმა დარბაზში ჩამომდგარ აბსოლუტურ სიჩუმეში".

წიგნიდან *„Гром победы"*

## იყო ასეთი შემთხვევა

# ველორბოლა ჭიდაობის ილეთების ფინიშით

ველოტრეკი თბილისელი მაყურებლებისთვის ერთ-ერთ საყვარელ ადგილად იქცა, პირველ რიგში იმის გამო, რომ ისინი ხშირად საინტერესო პერიპეტიების მოწმენი ხდებოდნენ. აი, რა მოხდა, მაგალითად, 1929 წელს. მაყურებლებით სავსე ტრიბუნების წინ დინჯად ჩაიარეს ველოსიპედისტებმა, ცნობილმა მრბოლელებმა რუბენ ავშაროვმა და არმენაკ გაბრიელოვმა. ისინი თავაზიანად ესალმებოდნენ მაყურებლებს და სასტარტო ხაზისაკენ მიეშურებოდნენ. მსაჯმა მისცა ნიშანი და ორივე ელვის სისწრაფით გაიჭრა წინ. მაყურებელთა გამაყრუებელ შეძახილებში შემოხაზეს რამდენიმე წრე, ფინიშამდე დარჩა 30-ოდე მეტრი, ორივემ მოუმატა სისწრაფეს და უცებ მათი მანქანების წინა ბორბლები ერთმანეთს წამოედო. მეტოქეებმა დაკარგეს წონასწორობა და ძირს დაენარცხნენ. შეშფოთებული მაყურებელი გაინაბა. „მოახერხებენ ადგომას თუ ვერა", — უმალ გაიფიქრა ყოველმა მათგანმა. ცოტა ხანს ორივე გაუნძრევლად იწვა. აი, გაბრიელოვმა წამოყო თავი, მერე ფეხზე წამოდგა, გასინჯა ველოსიპედი, რომელსაც ბორბლები დაგრეხოდა; მიხვდა, მანქანით გავლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მან დაავლო ხელი დაზიანებულ ველოსიპედს და ფინიშისკენ წაათრია. ამ დროს ავშაროვიც მოვიდა გონს. იმანაც იგივე გაიმეორა, წამოეწია გაბრიელოვს, რომელიც კოჭლობით უახლოვდებოდა ფინიშს, ჩაავლო ხელი მეტოქეს და უკან დასწია. წინ წასულ ავშაროვს ახლა გაბრიელოვი წამოეწია, გაუკეთა მოჭიდავის ილეთი და დაგრეხილ ველოსიპედთან ერთად ძირს დასცა. ის იყო, გაბრიელოვს ფინიშის ხაზი უნდა გადაეკვეთა, რომ ავშაროვმა ძალა მოიკრიბა, ველოსიპედი მხრებზე მოიგდო, წამოეწია მეტოქეს, ეძგერა მის ველოსიპედს, უკან დაქაჩა, თავად მკვეთრი ბიძგი გააკეთა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. შემდეგ მეტოქენი ხშირად იგონებდნენ ამ ჭიდაობა-ველორბოლის ეპიზოდს და სხვებთან ერთად თავადაც სიცილით იგუდებოდნენ.

ა. ციგაძის წიგნიდან
„ქართული საბჭოთა სპორტის ქრონიკები".

## ჯერ კიდევ როდის...

*„ხშირად მოიტეხს კაცი ფეხსაც, ხელსაც, ხანდისხან კისერსაც და ძალიან ხშირად უფრო ის კაცი, რომელიც ყოველთვის წყნარად დადის. იქნებ ამ წყნარ ხალხს ხელიც შერჩენოდათ და ფეხიც — გიმნასტიკაზედ რომ ევარჯიშნათ პატარაობაში".*

„საქართველოს მოამბე," 1871 წ.

„ყმაწვილებს უყვართ ჩხირკედელაობა. აი, ამით უნდა ისარგებლონ ალმზრდელმა და მასწავლებელმა და ამ ჩხირკედელობას იმგვარი მიმართულება მისცეს, რომ ბავშვის გონება ყოველ მხრივ იხსნებოდეს; ყმაწვილს უყვარს ხტომა და თამაში, — აი, ესეც უნდა გახდეს იმის განათლების ელემენტად".

„დროება" (1874, №25)

## თარიღი

### 24-30 ივნისი

**24.06. 1933 წ.** დაიბადა **ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა**. მძლეოსნობა.
**24.06.1937 წ.** დაიწყო ბასკების ნაკრების ტურნე საბჭოთა კავშირში.
**24.06.1940 წ.** დაიბადა **რენა აბჟანდაძე** — ჩოგბურთი. გარდაიცვალა 1995 წელს.
**27.06.1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია
**27.06.1937 წ.** დაიბადა **გივი ჩოხელი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1994 წელს.
**30.06.1911 წ.** დაიბადა **არჩილ მდივანი** — ჩოგბურთი. გარდაიცვალა 1937 წელს.

## პირველი, პირველმა. პირველად...

**პირველი** ოფიციალური შეჯიბრება ფრენბურთში — საქართველოს ჩემპიონატი, ჩატარდა 1932 წელს. 1933 წლიდან საქართველოს ვაჟთა ნაკრები უკვე სსრ კავშირის პირველობაში ჩაება, 1935 წლიდან კი მათ საქართველოს ქალთა ნაკრებიც შეუერთდა.

**პირველმა** საქართველოს მოფარიკავეებიდან მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონობა რაპირაში მოიპოვა თბილისელმა **იური ოსიპოვმა** სსრ კავშირის ნაკრებში 1959 წელს ტურინში.

**პირველად** საქართველოდან საციგაო სპორტში სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ქვიშხეთელები **თემურ ქურდაძე** და **ჯონი სუხიშვილი.**

## თქვენთვის, ერუდიტებო ვიქტორინა

**1. 1925 წლის 27 აგვისტოს განხორციელდა ალპინისტთა პირველი ასვლა იალბუზზე. ვისი ხელმძღვანელობით?**

ა – გიორგი ნიკოლაძის
ბ – სიმონ ჯაფარიძის
გ – ალექსანდრე დიდებულიძის

**2. რომელ წელს შევიდა ექსპლუატაციაში ომარ ფხაკაძის სახელობის თბილისის ცენტრალური ველოდრომი?**

ა – 1970 წლის 20 მაისს
ბ – 1972 წლის 12 სექტემბერს
გ – 1975 წლის 15 ივლისს

**3. ბაკურიანელმა კობა წაქაძემ ოთხჯერ იასპარეზა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. რომელ წელს და სად გამოვიდა პირველად?**

ა – 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში
ბ – 1960 წელს სკვო ველიში
გ – 1964 წელს ინსბრუკში

**4. 1980-იან წლებში აშშ-ში საქართველოდან ჩასულმა რომელმა ჯგუფმა მოხიბლა მაყურებლები მალალი ოსტატობით?**

ა – მოჭიდავეებმა
ბ – ცხენოსნებმა
გ – ლელობურთელებმა

**5. რომელ წელს გახდნენ ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი?**

ა – 1972 წელს
ბ – 1974 წელს
გ – 1976 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

## ლელო



# ლელობურთი გორის ციხეზე

შიდა ქართლში ლელობურთი გაიხსენეს, თანაც გორის ციხეზე. საბრძოლო ხელოვნების შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის **ზვიად ბექაურის** გუნდი თბილისელ ლელობურთელებს დაუპირისპირდა. შეხვედრა დასრულდა 6:3 სტუმრების სასარგებლოდ. ზვიად ბექაურს მოდერნიზებული ლელოს სათამაშოდ გორელი მოჭიდავეები, მოკრივეები და ფეხბურთელებიც ჰყავდა მიწვეული, მაგრამ ტრავმების შიშით ამ ეტაპზე მათ თავი შეიკავეს. თამაშით კმაყოფილი დარჩნენ მობურთალებიც და მაყურებლებიც.

„დროა, ლელობურთი, ქართველთა ეს ტრადიციული ეროვნული სპორტის სახეობა მთელმა საქართველომ დაიბრუნოს. შუაგულ ქართლში შეჯიბრების ჩატარებაც ამ მიზანს ემსახურება. საასპარეზოდ ჩვენი ისტორიის და სიძლიერის სიმბოლო გორის ციხე შემთხვევით არ შეგვირჩევია. ციხეზე, ზევით, შესანიშნავი მინდორია. ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღანელებსაც (პრეზიდენტი **ლაშა კობახიძე**) ძალიან მოეწონათ სარბიელი და სამომავლოდ იქ შუბის ტყორცნასა და მშვილდსნობაში შეჯიბრების მოწყობის ინიციატივით გამოვიდნენ," — გვითხრა ზვიად ბექაურმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ავტორის ფოტო

## ფოტომატიანე



1981 წელი. თბილისის დინამოს დილმის საწვრთნელი ბაზა. მარცხნიდან: რომან შენგელია (თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი), ალექსანდრე ჩივაძე, აკადემიკოსი სერგო ჯორბენაძე, იბო დოლიძე, პროფესორი ზურაბ ფორაქიშვილი, ნოდარ ხალკაცი, აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა

კონსტანტინე შანიძის ფოტო, ლელოს არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია



მარცხნიდან: მერაბ კვირიკაშვილი, გიორგი ჭუმბურიძე, ილია მაისურაძე — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ნაკრების თამაშით უკმაყოფილო არ ვართ

**ახლახან ბუქარესტში დასრულებულ IRB-ს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრებმა სამი შეხვედრიდან ერთი მოიგო და მეხუთე ადგილს დასჯერდა. ამ ტურნირის პერიპეტიებზე სასაუბროდ რაგბის კავშირში პრესკონფერენცია გაიმართა. „ბორჯღალოსანთა" მიზნებისა და შედეგის შესახებ დაწვრილებით ილაპარაკეს რაგბის კავშირის სანაკრებო კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ჭუმბურიძემ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ასისტენტმა ილია მაისურაძემ და ნაკრების მგეზავმა მერაბ კვირიკაშვილმა:**

## გიორგი ჭუმბურიძე:

IRB-ს ერთა თასის გათამაშების დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორები ჩვენც ვიყავით, რადგან დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ნაკრებს ერთი და იმავე ქვეყნების ნაკრებებთან უწევდა თამაში. გამონაკლისი მხოლოდ მსოფლიოს თასის ფინალური სტადია იყო. ისე გამოდიოდა, რომ კლასის ამაღლების საშუალება პრაქტიკულად არც გვქონდა.

IRB-ს ერთა თასიც სწორედ ამისთვის გვჭირდებოდა. გათამაშების ფორმატი ასეთია: წამყვანი სარაგბო ქვეყნების A ნაკრებები მეორე დონის ქვეყნების ეროვნულ გუნდებს ეთამაშებიან. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დღემდე ვერ მოვახერხეთ ამ ტურნირისთვის საქართველოს ნაკრების უძლიერესი შემადგენლობის თავმოყრა. არადა, სხვა გუნდები ოპტიმალური შემადგენლობით ჩადიან ბუქარესტში სათამაშოდ.

წლევანდელ გათამაშებაში დაგეგმილი გვქონდა ერთი მატჩის მოგება ნამიბიასთან, რადგან ეს შეხვედრა ტესტი გახლდათ და შედეგი რეიტინგში აისახებოდა. „ბორჯღალოსანთა" შემადგენლობა შორს იყო ოპტიმალურისგან. ეროვნული გუნდის ძირითადის მხოლოდ ოთხი მორაგბე გვყავდა. ძალიან ბევრნი იყვნენ ისეთები, ვინც ეროვნული ნაკრების მაისურა პირველად მოირგეს. ყოველივე აქედან გამომდინარე, გუნდის თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვართ.

ცხადია, ვხედავთ, რომ ბევრი სამუშაო გვაქვს და დასახვენი, გამოსასწორებელიც საკმაოა, მაგრამ ის, რომ საქართველოს ფაქტობრივად A ნაკრებმა შოტლანდიის A ნაკრებს სძლია, ცოტას არ ნიშნავს. ამასთან, ნამიბიის ეროვნული ნაკრების უძლიერეს შემადგენლობას 70 წუთის განმავლობაში ვუგებდით.

მინდა, ამ თამაშზე ყურადღება გავამახვილოთ. ჩვენმა გუნდმა ნამიბიას პირველი ტაიმი მშრალად -13:0 მოუგო. თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, მიუხედავად იმისა, რომ ორმა წამყვანმა მორაგბემ თედო ზიბზიბაძემ და რეზო გიგაურმა სერიოზული ტრავმები მიიღეს და გამოგვაკლდნენ, მაინც ვიგებდით. მერე რაც მოხდა, უპრეცედენტო შემთხვევაა. არასდროს მინახავს საერთაშორისო მატჩის ხუთ წუთში მსაჯს ერთი გუნდის სამი მორაგბე გაესინბინებინოს. ამან, ცხადია, მატჩის საბოლოო შედეგზე საკმაოდ სერიოზული გავლენა იქონია.

მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენთვის მთავარი ამ ტურნირის მოგება არ არის. ეს შეჯიბრება ერთგვარი სამუშაო ლაბორატორიაა, სადაც ახალ მოთამაშეებს საქმეში ვნახულობთ. ცხადია, ეს სასარგებლოა არ მხოლოდ მორაგბეებისთვის, რომლებიც დიდ გამოცდილებას იძენენ, არამედ მწვრთნელებისთვისაც. მათ საშუალება ეძლევათ, საბოლოო წარმოდგენა შეიქმნან ამა თუ იმ მოთამაშის რეალური შესაძლებლობების შესახებ.

## ილია მაისურაძე:

IRB-ს ერთა თასის გათამაშებაზე ჩვენი მიზანი იყო, საქმეში გვენახა ის მორაგბეები, ვინც, ჩვენი ვარაუდით, ეროვნულ ნაკრებში 2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ უნდა დაიმკვიდროს ადგილი. მსოფლიო თასის შემდეგ „ბორჯღალოსანთა" რიგებს ბევრი მოთამაშე დატოვებს და ამიტომ მათ ცვლაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ. ბუქარესტში გამოჩნდა კიდეც რამდენიმე ასეთი მოთამაშე, რომელსაც მსოფლიო თასის შემდეგ ოთხწლიან ციკლში შეიძლება დავეყრდნოთ.

შეცდომები, ცხადია, გვქონდა, თუმცა გავლენა მსაჯობამაც მოახდინა. ძალიან დაგვაკლდა თედო ზიბზიბაძე. სამწუხაროდ, წესები ოდნავ შეცვლილია, ჩვენ ვერ მოვახერხეთ მსაჯებთან შეხვედრა და ამ თემაზე გასაუბრება, შესაბამისად, ვერ შევძელით პრაქტიკულად დაგვემუშავებინა ვარჯიშებზე. პირდაპირ თამაშზე ალღოს აღება კი ძნელი აღმოჩნდა.

ცვლილება ძირითადად შერკინებაში თამაშს შეეხო. როგორც აქამდე მსაჯი შერკინებაში ჩასვლისას ახლაც ოთხ ბრძანებას იძლევა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ადრე მესამესა და მეოთხეს შორის პაუზა არ კეთდებოდა და მორკინალები კონტაქტში მყისვე შედიოდნენ. ახლა ასე აღარ არის. მესამე და მეოთხე ბრძანებებს შორის მსაჯი საკმაოდ დიდ პაუზას აკეთებს.

ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მან შერკინების პროცესი უკეთ აკონტროლოს. ეს უადვილებს, შენიშნოს წესის დარღვევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად მსაჯები სუბიექტურ გადაწყვეტილებებს იღებენ, შედავებას კი აზრი არ აქვს. სწორედ ამ წესის დარღვევისთვის გააძევეს ათი წუთით ჩვენი შერკინების ბურჯი ვასილ კაკოვინი, არადა, ეს დარღვევა საჯარიმოთი არ ისჯება. არბიტრს თავისუფალი დარტყმა უნდა დაენიშნა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო მამუკა ნინიძის გაძევების ფაქტიც. ზუსტად იმავე დარღვევისთვის რამდენიმე წუთით ადრე არბიტრმა სიტყვიერადაც კი არ გააფრთხილა ნამიბიელი. მეტიც, გვერდით მსაჯს რომ არ მიენიშნებინა, საჯარიმოს დანიშვნას არც აპირებდა. პირველ ტაიმში ჩვენმა შერკინებამ ნამიბიელებს ბევრი პრობლემა შეუქმნა. მათი სამი ნომერი მუდმივად წესს არღვევდა. მსაჯი საჯარიმოს კი ნიშნავდა, მაგრამ არაფრით აძევებდა. ერთი სიტყვით, არბიტრი ძალიან უცნაურად იქცეოდა და ამას სხვას ვერაფერს დავარქმევთ, თუ არა მიკერძოებას.

## მერაბ კვირიკაშვილი:

აუცილებელია, ახალგაზრდა მორაგბეებმა სათანადო გამოცდილება მიიღონ, ასეთ ტურნირებზე თამაშის გარეშე კი ეს შეუძლებელია. როცა ძველი მოთამაშეების შეცვლა მოუწევთ, მათ რაღაც დონეზე ნათამაშები უნდა ჰქონდეთ და ეროვნულ ნაკრებში მიწვევა უცხო ხილი არ უნდა იყოს. ბუქარესტში გამოჩნდა, რომ საიმედო ცვლა გვყავს. მარტო ის რად ღირს, რომ მოვუგეთ შოტლანდიის A ნაკრებს, რომელთანაც ერთი წლის წინ შოტლანდიაში დავმარცხდით. ამით დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეგვიძლია.

ტესტები

# ავსტრალია პრესტიჟის აღდგენას ეშურება

ავსტრალიის ნაკრები ივნისის ტესტების ბოლო ტურში ბრისბენში ირლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ვოლაბების" მწვრთნელმა **რობი დინსმა** გუნდში ორი იძულებითი ცვლილება განახორციელა.

გასულ უქმეებზე ინგლისის ნაკრებთან მატჩში დაშავებულ გარემარბ **დიგბი იოანის** ნაცვლად **ადამ ეშლი-კუპერი** ითამაშებს. **ლუკ ბარჯესი** კი ცხრა ნომრის პოზიციაზე **ვილი გენიას** შეცვლის. გენიამ ხელის თითი მოიტეხა და, სავარაუდოდ, სამი ერის პირველ შეხვედრასაც გამოტოვებს.

*„ინგლისთან გასულ უქმეებზე წაგების შემდეგ საჭირო დასკვნები გავაკეთეთ. მართალია, ირლანდიის ნაკრებმა აქამდე ორი შეხვედრა წააგო, მაგრამ საკმაოდ შედეგიანად ითამაშა, რაც ამ გუნდის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს. თანაც, ირლანდიელები ბრისბენში საზაფხულო არდადეგების წინ ბოლო შეხვედრას გამართავენ და ყველანაირად ეცდებიან, დასასვენებლად ამაღლებული განწყობით წავიდნენ. ასე რომ, „სამყურებთან" საკმაოდ ძნელი ბრძოლაა მოსალოდნელი,"* - თქვა რობი დინსმა

ამასობაში ირლანდიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ექვსი ცვლილება განხორციელდა. „ვოლაბების" წინაალმდეგ ვერ ითამაშებს რვა ნომერი **ჯიმი ჰისლიპი**, რომელსაც **კრის ჰენრი** შეცვლის. მას პარტნიორობას მესამე ხაზში **ნეილ რონანი** და **შეინ ჯენინგზი** გაუწევენ, რომლებიც, შესაბამისად, ტრავმირებულ **ჯონ მალდუნსა** და **დევიდ ვოლესს** შეცვლიან.

უკანა ხაზში მგეზავის პოზიციაზე არ ითამაშებს **რონან ოგარა.** „სამყურებს" ამჯერად **ჯონათან სექსტონი** დაგეზავს. შუამარბ **გორდონ დარსის** კი „ახალზელანდიელ მაორებთან" გამორჩეული **პედი ვოლესი** ჩაანაცვლებს.

**ავსტრალია: 15. ჯეიმზ ოკონორი, 14. დრიუ მიტჩელი, 13. რობ ჰორნი, 12. მეთ გიტო, 11. ადამ ეშლი-კუპერი, 10. ქუადე კუპერი, 9. ლუკ ბარჯესი.**

**1. ბენ დეილი, 2. სია ფაინაგა, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამაი, 5. ნათან შარფი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოქოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი**

**16. ჰაია ედმონდსი, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. მარკ ჩისჰოლმი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ჯოშ ვალენტაინი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. ქართლი ბეილი**

**ირლანდია: 15. რობ კირნი, 14. ტომი ბოუი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. პედი ვოლესი, 11. ენდრიუ თრიმბლი. 10. ჯონათან სექსტონი, 9. ტომას ოლირი**

**1. კაიან ჰილი, 2. სეინ კრონინი, 3. ტონი ბაკლი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. მაიკ ოდრისკოლი, 6. ნეილ რონანი, 7. შეინ ჯენინგზი, 8. კრის ჰენრი**

**16. დამიენ ვერლეი, 17. ტომ კურტი, 18. დენ ტუოჰი, 19. რის რადოკი, 20. ეოინ რედანი, 21. რონან ოგარა, 22. გორდონ მერფი.**



# ჯონ სმიტი ბრუნდება

სამხრეთ აფრიკის ნაკრები შაბათს ისტ ლონდონის „ბაფალო სითი სთედიუმზე" იტალიის ნაკრებთან ზედიზედ მეორე ტესტს გამართავს. პირველ შეხვედრაში „ბოკემ" ვაითბანკში მეტოქეს 29:13 მოუგო.

მეორე მატჩისთვის სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** შემადგენლობაში შვიდი ცვლილება განახორციელა. გუნდს დაუბრუნდა შერკინების კვაჭი და კაპიტანი **ჯონ სმიტი,** რომელსაც 95 კეპი მოუხვეჭავს. „ბოკეს" კიდევ ერთი გამოცდილი მორაგბე, გუნდის ლიდერი, მეორეხაზელი **ვიქტორ მეტფილდი** დააკლდება. მის ადგილს ახალგაზრდა **ანდრიას ბეკერი** დაიკავებს. სათადარიგო მეორეხაზელი კი **დენი როსუ** იქნება.

ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა მესამეხაზელი **სხალკ ბურხერიც.** შედეგად, **დიუვალ პოტხიტერმა** სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ერთი სიტყვით, პირველი ტესტის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებიდან რვა ისევ სასტარტო შემადგენლობაშია. ესენი არიან: გარემარბი **ბრაიან ჰაბანა,** მგეზავი **მორნი სტეინი,** ცხრა ნომერი **რიკი იანუარი,** რვა ნომერი **პიერ სპისი,** ფლანკერი **ფრანსუა ლავი,** მეორეხაზელი **ბაკის ბოთა,** შერკინების ბურჯები **იან დუ პლესი** და **ხუთრო სტენკამპი.** სათადარიგოთა შორისაა შუამარბი **ვინანდ ულიფიე.**

**სამხრეთ აფრიკა: 15. ხიო ეპლონი, 14. იან დე ფილიერსი, 13. ჟაკ ფური, 12. იოან დე იონგი, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. რიკი იანუარი**

**1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჯონ სმიტი, 3. იან დუ პლესი, 4. ბაკის ბოთა, 5. ანდრიას ბეკერი, 6. სხალკ ბურხერი, 7. ფრანსუა ლავი, 8. პიერ სპისი**

**16. ჩილიბოი რელეპელე, 17. ბი ჯეი ბოთა, 18. დენი როსუ, 19. დიუვალ პოტხიტერი, 20. რუან პინარი, 21. ბუჩ ჯეიმზი, 22. ვინანდ ულიფიე**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1



# ლეჰტოს მკვლელობას აბრალებენ

ჩვენ უკვე ვწერდით იმ უსიამოვნების შესახებ, რომელიც ფორმულა 1-ის ყოფილ პილოტ **ჯეი ჯეი ლეჰტოს** შეემთხვა. ფინელმა ავტომრბოლმა, რომელიც 1994 წელს „ბენეტონში“ **მიხაელ შუმახერის** თანაგუნდელი იყო, კატერის ავარიის შემდეგ მძიმე ტრავმები მიიღო: მისი ექვსმეტრიანი ნავი - Sea Ray 210 ფინეთის სამხრეთით ქალაქ ტამისაარიში ვიწრო არხზე გადებულ ბეტონის ხიდს შეეჯახა.

ავტომრბოლი საავადმყოფოში იმყოფება, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ კატასტროფაში დაიღუპა ლეჰტოს მეგობარი, რომელიც ასევე კატერზე იმყოფებოდა.

ფინეთის პოლიციამ ინციდენტის გამოძიება დაიწყო და უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ ლეჰტო საქმეში ექვმიტანილია. სავარაუდოდ, სწორედ ის იჯდა ავარიის მომენტში კატერის შტურვალთან, თანაც ყოფილი პილოტი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

თუმცა ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის, ვინ იჯდა საჭესთან - ლეჰტო თუ მისი მეგობარი. პოლიციის წარმომადგენლის თქმით, ჯეი ჯეი შეიძლება დაადანაშაულონ უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, კატერის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვისა და აგრეთვე არაგანზრახ მკვლელობისთვის. შეგახსენებთ, რომ ავარიის მომენტში ლეჰტოს კატერის სიჩქარე საათში 70 კილომეტრი იყო, არადა დასაშვები სიჩქარე 5 კმ/სთ-ს უდრის.

ჰოკეი




# ლეგენდა მიდის

კარიერას ასრულებს ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი წამყვანი მცველი **სკოტ ნიდერმაიერი**. 36 წლის ვეტერანი დღეს გამოაცხადებს თავის გადაწყვეტილებას.

სკოტმა ბოლო სეზონები „ანაჰაიმ დაქსის“ შემადგენლობაში ჩაატარა და ამ გუნდთან ერთად ერთხელ მოიგო სტენლის თასი, კარიერის დანარჩენი ნაწილი კი მას „ნიუ ჯერსი დევილზში“ აქვს ნათამაშები. „ეშმაკებთან“ ერთად ნიდერმაიერი სამჯერ დაეუფლა სტენლის თასს.

ამ პრიზების გარდა სკოტს ორჯერ აქვს მოგებული ოლიმპიური თამაშები და ერთხელ სეზონის საუკეთესო მცველის პრიზი დაისაკუთრა.

საერთო ჯამში, ნიდერმაიერმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 1263 მატჩი ჩაატარა და 740 ქულა (172 გოლი+568 შედეგიანი პასი) დააგროვა.

კანადელი მცველი ერთადერთი ჰოკეისტია, რომელსაც ყველა დიდი ტურნირი აქვს მოგებული. სხვადასხვა წლებში მან გაიმარჯვა მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, მსოფლიოს პირველობასა და ოლიმპიურ თამაშებზე, მოიპოვა სტენლის თასი, მსოფლიოს თასი და Memorial Cup.

■ ■ ■

„სან ხოსე შარქსის“ ხელმძღვანელობამ რუს მეკარე **ევგენი ნაბოკოვს** არ შესთავაზა ახალი კონტრაქტი, შესაბამისად, ვეტერანი გოლკიპერი პირველი ივლისიდან თავისუფალი აგენტი გახდება.

34 წლის ნაბოკოვს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მხოლოდ „სან ხოსეში“ აქვს ნათამაშები. „ზვიგენებმა“ რუსი მეკარე 1994 წლის დრაფტის 219-ე ნომრად აირჩიეს.

ნაბოკოვმა „სან ხოსეს“ შემადგენლობაში 563 მატჩი ჩაატარა. ბოლო სეზონში მან 5.4 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

„შარქსს“ თავისუფალ აგენტებთან დაკავშირებული სიტუაციის გამო უნევს რუსი მეკარის გაშვება. როგორც კლუბის გენერალური მენეჯერი ამბობს, ამჟამად „სან ხოსესთვის“ პრიორიტეტულია **პატრიკ მარლოსთან, ჯო პაველსკისთან** და **დევინ სეტოგუჩისთან** კონტრაქტების გაფორმება.

■ ■ ■

კანადის ქალაქ ტორონტოში ისტორიაში პირველად ჰოკეის დიდების დარბაზში ქალი ჰოკეისტები შეიყვანეს. ეს პატივი წილად ხვდა ამერიკელ **კამი გრანატოს**, რომელმაც 1998 წელს ნაგანოში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო. ასევე დიდების დარბაზში მოხვდა კანადელი **ანჯელა ჯეიმსი**. 39 წლის გრანატოსა და 45 წლის ჯეიმსის დიდების დარბაზში შეყვანის საზეიმო ცერემონია 2010 წლის ნოემბერში გაიმართება.

ამ ორი ქალის გარდა, დიდების დარბაზის წევრი გახდა ცნობილი ჰოკეისტი **დინო სისარელი**, რომელმაც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 19 სეზონი ჩაატარა. ამ დროის განმავლობაში მან 1200 ქულა დააგროვა.

*ევროპის გრან-პრის წინ*

# თავი დაანებეთ შუმახერს!

## ჩასაფრებული ალონსო, ბედნიერი მაკლარენი და ოპტიმისტი რედ ბული

**უახლოეს უქმეებზე ესპანეთში - ვალენსიის ქუჩის ტრასაზე 61-ე ჩემპიონატი ეკვატორს მიაღწევს - ევროპის გრან-პრი სეზონის რიგით მეცხრე ეტაპია. საინტერესოა, გავიგოთ, რა განწყობით ხვდებიან მომავალ ეტაპს ფავორიტი საჯინიბოები.**

თურქეთსა და კანადაში „მაკლარენის“ საჩემპიონო წყვილმა - **ლუის ჰემილტონმა** და **ჯენსონ ბატონმა** ორი ლამაზი დუბლით ეფექტურად დააქვეითა სეზონის უდავო ფავორიტი - „რედ ბულის“ დუეტი **მარკ უებერისა** და **სებასტიან ფეტელის** შემადგენლობით. ბევრს მიაჩნია, რომ ბოლო ეტაპებზე „მაკლარენი“ კი არ დაწინაურდა, არამედ ავსტრიელებმა წააგეს, მაგრამ ბრიტანელთა შეფი **მარტინ უიტმარში** სხვანაირად ფიქრობს.

*„ბოლო ორ რბოლაში ყველას დავანახვეთ, რომ ჩვენს გუნდს მოტივაციის მხრივ პრობლემები არ აქვს, არც მოგება დაგვვიწყებია და სუსტი წერტილებიც არ გაგვაჩნია,* - ამბობს „მაკლარენის“ შეფი. - *ამასთან, ვაგრძელებთ* MP4/25-*ის სრულყოფას. ჩვენს კონკურენტებს „მაკლარენზე“ უპირატესობა აღარ ექნებათ, როგორც ეს სეზონის პირველ ნახევარში იყო. თანაც პროგრესს მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით არ განვიცდით, ვეძებთ ყველა კომპონენტში გუნდური შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობას, იქნება ეს პიტსტოპებზე მუშაობა თუ ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება...“*

მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონმა ბატონმა, რომელიც საერთო ჩათვლაში მხოლოდ თანაგუნდელს - 2008 წლის ჩემპიონ ჰემილტონს ჩამორჩება, განაცხადა, რომ ორი დუბლის შემდეგ გუნდი ერთიან ორგანიზმად ჩამოყალიბდა და ვალენსიაში „მაკლარენი“ თურქეთისა და კანადის შედეგის გამეორებას აპირებს.

■ ■ ■

ბევრმა მიმომხილველმა მიაქცია ყურადღება იმას, თუ რა სტილში წარმართა რბოლა კანადაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ფერნანდო ალონსომ**. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ „ფერარის“ პილოტი მზად არის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მინიმუმ „რედ ბულის“ პილოტები შეავიწროვოს.

ალონსოსგან განსაკუთრებულ მონდომებას უახლოეს უქმეებზე ვალენსიაში ელიან, სადაც ტრასის მახასიათებლები თითქმის იდენტურია მონრეალის ტრასასთან. მასზე გამოსასვლელად სკუდერიამ ტექნიკური განახლების მთელი პაკეტი შექმნა. ეს სიახლეები ალონსომ ფიორანოში საქარხნო ავტოდრომზე გამოცადა - მართალია, ტესტები აკრძალულია, მაგრამ ესპანელმა ეს გამოცდა FIA-ს წესებით დაშვებული სარეკლამო რგოლების გადაღებისას გაიარა.

„ფერარის“ ბოსმა **სტეფანი დომენიკალიმ** განაცხადა, რომ ბოლიდი მაქსიმალურ და „აგრესიულ“ განახლებას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში „სკუდერია“ საჩემპიონო ბრძოლას უნდა გამოეთხოვოს. სწორედ ამით არის ახლა დაკავებული გუნდი.

რაც შეეხება თავად ალონსოს, მან გააფრთხილა პრესის წარმომადგენლები, რომ შეწყვიტონ ნაადრევად მისი და „ფერარის“ დასამარება: *„ტექნიკური განახლების პაკეტი, რომელიც ვალენსიისთვის მოვამზადეთ, სულაც არ არის ჩვენი გუნდის ბოლო გაბრძოლება. ევროპის გრან-პრი - მსოფლიოს ჩემპიონატის მხოლოდ მეცხრე ეტაპია და ფინიშამდე კიდევ ცხრა რბოლა რჩება. სეზონის ბოლო ეტაპი „ფერარისთვის“ არა ვალენსიაში, არამედ ნოემბერში აბუ დაბიში გაიმართება და გაჩერებას არ ვაპირებთ. ტექნიკური სიახლეები უკვე მომზადებულია ინგლისისა და გერმანიისთვის, სხვა გეგმებიც გვაქვს. ხოლო დისტანცია, რომელიც ლიდერებთან მაშორებს, იმდენად მცირეა, რომ უკვე უახლოეს რბოლებში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს“.*

■ ■ ■

ვალენსია თითქმის მთელი პელოტონისთვის 2010 წლის სეზონის მეორე სტარტად აღიქმება - ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რბოლის დროს პეისკარი ტრასას რომ ტოვებს ხოლმე. სეზონის წინ ყველას მიერ აღიარებული ფავორიტი „რედ ბული“, რომელმაც თურქეთსა და კანადაში თავი შეირცხვინა, ცდილობს, ძალები მოიკრიბოს და ჩემპიონატის ინტრიგა ჩვეულ კალაპოტში დააბრუნოს.

ორი მძიმე წაგებისთვის რევანშის ასაღებად „წითელი ხარების“ ტექნიკურმა შეფმა **ადრიან ნიუიმ**, როგორც იქნა მიიღო RB6-ის ჰაერგამტარი მაგნიტური სისტემით აღჭურვის გადაწყვეტილება, რომელიც ბრწყინვალედ მუშაობს „მაკლარენზე“. თუ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, ზოგიერთი თამამი ექსპერტის ვარაუდით, ჩემპიონატის მეორე ნახევარი ჰემილტონისა და ბატონის შიდა დაპირისპირებად გადაიქცევა, რომელშიც შეიძლება ალონსო ჩაერიოს.

მაგრამ სებასტიან ფეტელი ბოლომდე ენდობა ნიუის ნიჭსა და შესაძლებლობებს. *„ჩვენ გამოვცადეთ ჰაერგამტარები თურქეთში, მაგრამ მისი დანერგვა სხვა დროისთვის გადავდეთ. ახლა დადგა ამ სიახლის გამოყენების დრო. ნიუი იმიტომაც არ იყო კანადაში, რომ სწორედ ამ სისტემაზე მუშაობდა ჩვენს ბაზაზე. ვალენსიაში ამ დეტალს დასრულებული სახით მივიღებთ და დარწმუნებული ვარ, პელოტონში დავიბრუნებთ ლიდერობას“,* - განაცხადა გერმანელმა პილოტმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

■ ■ ■

*„თავი დაანებეთ შუმახერს!“* - დაახლოებით ასეთი აზრია ჩადებული ინტერვიუში, რომელიც „მერსედეს გრან-პრის“ შეფმა **ნიკ ფრაიმ** „როიტერის“ ჟურნალისტებს მისცა. შეგახსენებთ, რომ მონრეალში 10 დღის წინ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა**, ბევრის აზრით, კარიერაში ყველაზე უარესი რბოლა ჩაატარა. კვალიფიკაციაში ის მე-13 ადგილზე დარჩა, რბოლაში კი ვერ გაუმკლავდა საბურავების კაპრიზებს, სხვებზე ბევრჯერ შევიდა ბოქსებში და **რობერტ კუბიცასა** და **ფელიპე მასასთან** ბრძოლაში ბავშვური შეცდომები დაუშვა.

ნიკ ფრაიმ გამოაცხადა, რომ „მერსედესის“ ორივე პილოტმა კანადაში უნაკლოდ იმუშავა, რაც მინიმუმ არასამართლიანად ჟღერს **ნიკო როსბერგის** მიმართ, რომელიც შუმახერისგან განსხვავებით კვალიფიკაციის მესამე ფაზაში გადავიდა და რბოლაში არა მე-11, არამედ მეექვსე ადგილზე გავიდა. *„ჩვენი აზრით, კანადაში მიხაელმა ძალიან კარგი რბოლა ჩაატარა და გაკვირვებული დავრჩი იმ გამოძახილით, რომელიც პრესაში გაკეთდა,* - თქვა ფრაიმ. - *არ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ შუმახერის დრო გავიდა. გუნდში ასე არ მივიჩნევთ“.*

რა თქმა უნდა, „მერსედესის“ პირადი საქმეა, როგორ შეაფასებს შუმახერის მოკრძალებულ შედეგებს. საინტერესო ის არის, რომ საჩემპიონო შანსებზე ლაპარაკისას გამოცდილმა ინგლისელმა რატომღაც არაფერი თქვა როსბერგზე, რომელსაც მიხაელზე 40-ით მეტი ქულა აქვს. შეგახსენებთ, რომ სუპერჩემპიონი მთელი 75 ქულით ჩამორჩება საერთო ჩათვლის ლიდერს!

■ ■ ■

ფორმულა 1-ის მოყვარულთა უმრავლესობის აზრით, კანადის გრან-პრი 2010 წლის სეზონის საუკეთესო რბოლა იყო. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის კომპანია „ბრიჯსტოუნს“, უფრო სწორედ მისი საბურავების სწრაფ ცვეთას, რადაც გადამწყვეტ ფაქტორად იქცა გასულ რბოლაში.

ყველა წამყვანმა გუნდმა ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობას მოუწოდა გააანალიზოს პირობები, რომელმაც ასეთი სანახაობა აჩუქა პუბლიკას, რათა ის შემდეგშიც გამოიყენონ. მცირე დეტალი: სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ კანადის გრან-პრის დროს ჯამში 60 (!) გასწრება განხორციელდა - ხანდახან სეზონში არ გროვდება ასეთი რაოდენობა.

თავის მხრივ, „ბრიჯსტოუნის“ წარმომადგენლებმა აღუთქვეს გუნდებს, რომ კანადური ფენომენი ბოლო არ იქნება ამ წელიწადში.

თუმცა მოვლენათა ისეთ ფეიერვერკს, როგორიც კანადაში იყო, ვალენსიაში არ უნდა ველოდეთ. ესპანეთში ისეთივე საბურავებს ჩაიტანენ, როგორიც კანადაში იყო, მაგრამ ესპანურ ტრასაზე სხვა პირობები იქნება. მონრეალური თრილერი განპირობებული იყო დაბალი ტემპერატურითა და ტრასის საფარით, რომელიც საბურავს სწრაფად და ხარისხიანად გახურების საშუალებას არ აძლევდა. ვალენსიაში კი ივნისში ძალიან ცხელა და შესაბამისად, საბურავის გახურების პრობლემა არ შეიქმნება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ინტერვიუ კარმელო ენტონისთან

# გოლფს თევზაობა მირჩევნია

გასული სეზონი „დენვერ ნაგეტსის“ ფორვარდ კარმელო ენტონისთვის მკვეთრი სპურტით დაიწყო - პირველ სამ მატჩში „იუტას“, „პორტლენდისა“ და „მემფისის“ წინააღმდეგ 30, 49 და 42 ქულა დააგროვა. შემდეგ ოდნავ მოუკლო ტემპს, მაგრამ 2009-10 წლების სეზონი მისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვიდა კარიერაში. რამდენიმე ტრავმის მიუხედავად, ენტონი ლიგის სამ საუკეთესო სნაიპერს შორის მოხვდა - წინ მხოლოდ კევინ დურანტი და ლებრონ ჯეიმსი გაუშვა. რაც შეეხება პლეი ოფს, კარმელო მის სასწრაფოდ დავიწყებას ისურვებდა. საშუალოდ მატჩში 30.7 ქულა - შთამბეჭდავი შედეგია, მაგრამ ამან „დენვერს“ ვერ უშველა და გუნდი „იუტასთან“ პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას.

2008 წლის ოლიმპიური ჩემპიონი არდადეგებს მშობლიურ ნიუ იორკში ატარებს, სადაც უამრავ სარეკლამო და საქველმოქმედო აქციაში იღებს მონაწილეობას. ასეთი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, კარმელომ მაინც გამონახა ჟურნალ Slam-ისთვის სასაუბრო დრო.

**- კარმელო, მიუხედავად იმისა, რომ ბალტიმორის ქუჩებში გაიზარდეთ, თქვენთვის მშობლიურ ადგილად ნიუ იორკის ბრუკლინი მიიჩნევა, სადაც ცხოვრების პირველი წლები გაატარეთ. რა მოგონებები გაკავშირებთ იმ დროსთან?**

- ვფიქრობ, ჩემი ისტორია დიდად არ განსხვავდება ამ რაიონში დაბადებული სხვა ბიჭების ცხოვრებისგან. არასრული ოჯახი, ძველი მაღალსართულიანი სახლები და ასე შემდეგ. ტიპური ისტორიაა. ყველაზე კარგად მახსოვს, როგორ ვიღვიძებდი დილით და ქუჩაში კალათბურთის სათამაშოდ მივდიოდი. ეს გასაკვირი არ არის, რადგან თუ ბრუკლინში ცხოვრობ, წასასვლელი არსად გაქვს. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ბრუკლინში დაიბადე, არ არის საჭირო ქუინსში ან ჰარლემში ცხვირის შეყოფა - იქ თავიანთი ბიჭებიც ჰყოფნით.

**- გასული სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თქვენს კარიერაში - საშუალოდ 28.2 ქულასა და 6.6 მოხსნას აგროვებდით, გარდა ამისა, დასავლეთი კონფერენციის ფორვარდებს შორის „ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის“ ყველაზე მეტი ხმა მიიღეთ. გაუმჯობესდება თუ არა ეს შედეგები მომავალ სეზონში?**

- მთავარია, ამ დონეზე ქვემოთ არ დავეშვა. გარდა ამისა, ვისურვებდი, საბოლოო გუნდური შედეგი წლევანდელზე უკეთესი იყოს.

**- საკალათბურთო ვარჯიშებს თუ არ ჩავთვლით, როგორ გამოიყურება სეზონებს შორის არდადეგებისას თქვენი დღის განრიგი?**

- 9-10 საათზე ვდგები, სპორტულ დარბაზში მივდივარ და ტრენაჟორებით ვვარჯიშობ. მოკლედ ვცდილობ ფორმა შევინარჩუნო. ამას მოჰყვება სროლებში მსუბუქი ვარჯიში. თუ ამას არ გავაკეთებ, პროგრესი შეწყდება, ეს კი დაუშვებელია. აი, ასეთია ჩემი დილა.

**- სრულფასოვანი საკალათბურთო ვარჯიშები? დღეში ერთხელ ვარჯიშობთ თუ უფრო მეტჯერ?**

- განწყობას გააჩნია. ვცდილობ საკუთარ სხეულს მოვუსმინო. თუ დილიდან კარგად ვერ ვგრძნობ თავს, შემიძლია ვარჯიში მოგვიანებით ჩავატარო.

**- რა დრო გადის სეზონში ბოლო მატჩიდან ახალი სეზონის პირველ ვარჯიშამდე?**

- დაახლოებით თვე.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად დაეტყო გუნდს გასულ სეზონში მთავარი მწვრთნელის ჯორჯ კარლის არყოფნა?**

- ჩვენს გუნდს არც ისე წარმატებული სეზონი გამოუვიდა, მაგრამ მე იმათ რიცხვს არ მივეკუთვნები, ვისაც თავის მართლება ჩვევია. თქვენ გინდათ მკითხოთ, მოგვენატრა თუ არა ჯორჯი? რა თქმა უნდა. მაგრამ ვფიქრობ, მისი ავადმყოფობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთლიანად „დენვერ ნაგეტსი“.

**- 2008-09 წლების სეზონში „დენვერმა“ დასავლეთი კონფერენციის ფინალს მიაღწია და ერთი წლის შემდეგ მისგან მინიმუმ ამ შედეგის გამეორებას ელოდნენ, მაგრამ პირველივე რაუნდიდან გავარდით. რა მოხდა?**

- ვფიქრობ, მთელი რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში კარგად გამოვიყურებოდით, მით უმეტეს, რომ დასავლეთ კონფერენციაში ყოველთვის დიდი კონკურენციაა. ერთი პერიოდი კონფერენციაში მეორე ადგილსაც ვიკავებდით, მაგრამ შემდეგ რამდენიმე მატჩი წავაგეთ და მეოთხე პოზიციამდე დავეშვით. საერთო ჯამში, ეს რთული სეზონი იყო და რა თქმა უნდა, საკუთარი თავისგან პლეი ოფში უფრო მეტს ველოდით.

**- როგორ წარმოგიდგენიათ გუნდი მომავალ წელს?**

- დარწმუნებული ვარ, თანაგუნდელები რევანშის აღებას მოისურვებენ. მათ არ მოეწონათ გასული სეზონის დასასრული, ამიტომაც მაღალი მოტივაცია ექნებათ.

**- აპირებს თუ არა „ნაგეტსის“ ხელმძღვანელობა სეზონის წინ შემადგენლობის გაძლიერებას?**

- წარმოდგენა არ მაქვს. მათ მთელი ზაფხული აქვთ იმისთვის, რომ სამომავლო გეგმები მოიფიქრონ. ისინი უყურებდნენ ჩვენს თამაშს რეგულარულ სეზონსა და პლეი ოფში და იმედი მაქვს, მიხვდებიან, რა არ ყოფნის გუნდს.

**- ფიქრობთ, გუნდს რაღაც არ ჰყოფნის?**

- არასწორად გამიგეთ. დღევანდელი შემადგენლობა ძალიან მომწონს, მაგრამ თუ ხელმძღვანელობა რაიმეს შეცვლას გადაწყვეტს, ე. ი. ასეა საჭირო.

**- გაქვთ თუ არა ჰობი?**

- ვაღმერთებ თევზაობას. NBA-ის მოთამაშეთა დიდ ნაწილს გოლფი მოსწონს, მაგრამ მე არა. თევზაობა გაცილებით საინტერესოა.

**- საიდან დაიწყო ეს გატაცება?**

- თევზაობა ყოველთვის მომწონდა. თავიდან წვრილ თევზებს ვიჭერდი, ახლა კი საქმე სერიოზულადაა - ზღვის დიდ თევზებს ვერჩი.

**- ცნობილია, რომ კინოინდუსტრიით ხართ დაინტერესებული. საკუთარი პროდიუსერული კომპანიაც გაქვთ - Krossover. აგრეთვე აღმასრულებელ პროდიუსერად მოგვევლინეთ ფილმში - „ტაისონი“, ახლა კი რობერტო კლემენტეს პროექტზე მუშაობთ. როგორ მიდის საქმეები?**

- ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ფილმი მზად არ არის, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

**- რას უნდა ველოდოთ ამ მხრივ უახლოეს მომავალში?**

- ფილმების მთელი ჩამონათვალი გვაქვს - დოკუმენტურიდან დაწყებული, სრულმეტრაჟიანი ფილმებით დამთავრებული. მაგრამ ჯერ ყველაფერი პროექტის დონეზეა.

**- პროდიუსერი - ეს ის თანამდებობაა, რომელსაც საკალათბურთო კარიერის დასრულების შემდეგ გაყვებით?**

- დიახ, ეს გადაწყვეტილია.

**- რა მოგწონთ ამ პროფესიაში?**

- უბრალოდ, მიყვარს კინო და კიდევ საკუთარი იდეების ეკრანზე გადატანა.




ჭადრაკი

# კარპოვი და კასპაროვი გაერთიანდნენ

ორი ლეგენდარული მოჭადრაკე და გასული წლების პრინციპული მეტოქეები - **ანატოლი კარპოვი და გარი კასპაროვი** სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობენ. ეს ვოიაჟი კარპოვის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. როგორც იცით, ვეტერანი დიდოსტატი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (FIDE) პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს.

როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, სამშაბათს კარპოვმა და კასპაროვმა ერთდროული თამაშის სეანსი მოაწყვეს 24 პერუელ ბავშვთან. კარპოვი პერუში კუბადან ჩავიდა, სადაც მონაწილეობა მიიღო **ხოსე რაულ კაპაბლანკას** სახელობის ტურნირის დახურვაში. სხვათა შორის, აქვე იყო არჩევნებში მისი კონკურენტი, FIDE-ს მოქმედი პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი**, რომელიც მსოფლიო ჭადრაკს 1995 წლიდან უდგას სათავეში.

პერუში გამართულ პრესკონფერენციაზე კასპაროვმა განაცხადა, რომ ნებისმიერი ადამიანი ჭადრაკის სიყვარულს ბავშვობიდანვე უნდა ეზიაროს.

*„25 წლის წინ მე კარპოვის მეტოქე ვიყავი საჭადრაკო დაფასთან, ახლა კი ჩვენ გავერთიანდით, რადგან სპორტის ეს სახეობა დიდ საფრთხეშია“*, - განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა.

TV პროგრამა

**24 ივნისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
17:50 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. E ჯგუფი. სლოვაკეთი-იტალია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
22:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. F ჯგუფი. კამერუნი-ჰოლანდია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**II არხი**

17:50 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. E ჯგუფი. პარაგვაი-ახ. ზელანდია (LIVE).
22:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. F ჯგუფი. დანია-იაპონია (LIVE).

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-შვეიცარია.
09:15 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
10:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-ლივერპული.
12:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
12:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბარსელონა.
14:30 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
15:15 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. სევილია-შტუტგარტი.
17:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
17:45 მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-ისრაელი (LIVE).
20:00 საფეხბურთო პროგრამა.
20:50 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რუბინი-დინამო.
22:45 მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-ისრაელი.
00:30 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
01:15 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-ბორდო.
03:00 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ევერტონი.
04:45 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
05:45 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-პსჟ.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
11:00 ცხენოსნობა. ერთა თასი. როტერდამი. ჰოლანდია.
12:00 ევროსპორტი სუფთა პლანეტისთვის. ტელეჟურნალი.
12:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
14:00 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. ლონდონი. ბრიტანეთი.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
16:30 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
17:30 ახალი ამბები.
17:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
17:45 სნუკერი. ჩინეთის ჩემპიონატი. ფინალი. პეკინი.
20:00 ახალი ამბები.
20:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
20:15 სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
21:00 ახალი ამბები.
21:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
21:15 ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ. ტელეჟურნალი.
22:00 ახალი ამბები.
22:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
22:15 ბრძოლა წესების გარეშე.
00:30 ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
01:10 ახალი ამბები.
01:15 მულტისპორტი.
01:25 პრო-რესტლინგი.
01:55 მულტისპორტი.
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სუნდსვალი-ანგელჰოლმი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰიკ-იუვასკილა | 1:0 |
| მარიეჰამნი-მიუპა | 1:2 |
| ტურკუ-იარო | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| იიპო-მიკელი | 3:1 |
| კოტკაპ-ჰამეენლინა | 1:2 |
| პოპა-ტპვ ტამპერე | 2:1 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მორდოვია-ხიმკი | 2:1 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ჟუჩანი | 3:1 |
| შინიკი-ურალი | 1:1 |
| დინამო (ბრ)-ირტიში | 2:1 |
| როტორი-ლუჩ ენერგია | 2:2 |
| სალიუტი-ავანგარდი | 0:0 |
| გაზპრომი-სკა ენერგია | 1:0 |
| ბალტიკა-დინამო (ს-პ) | 2:0 |
| კრასნოდარი-ვოლგა | 3:3 |
| ჟემჩუჟინა-კამაზ | 3:2 |
| **ბელარუსი** | |
| დინამო (მნ)-პარტიზანი | 0:0 |
| დინამო (ბრ)-ნემანი | 4:0 |
| დნეპრი-ვიტებსკი | 0:0 |
| ბატე-ნაფტანი | 1:1 |
| შახტიორი-ბელშინა | 1:1 |
| ტორპედო-მინსკი | 0:4 |
| **ლიტვა** | |
| ბანგა-სუდუვა | 0:2 |
| კრუოია-ეკრანასი | 0:2 |
| მაჟეიკიაი-კლაიპედა | 1:1 |
| ვეტრა-შალგირისი | 3:1 |

ამბები

პარაოლიმპიზმი

## მაკარტნის მეუღლე ოლიმპიადაზე

ლეგენდარული **პოლ მაკარტნის** ყოფილი მეუღლე - 42 წლის **ჰიზერ მილზი** 2014 წელს სოჭში პარაოლიმპიურ თამაშებში აპირებს მონაწილეობის მიღებას. მას სამთო-სათხილამურო სპორტში სურს ძალების მოსინჯვა. 1993 წელს მილზმა ავტოავარიის შედეგად ფეხი დაკარგა.

*„დიდი ხანი ვსრიალებდი სამთო თხილამურებით და ამიტომაც ვფიქრობ, რომ შევძლებ ბრიტანეთის ნაკრებში ადგილის მოპოვებას და სწრაფდაშვებაში გამოსვლას“*, - განაცხადა მილზმა.

კალათბურთი

## ოლიმპიაკოსი ივკოვიჩს ჩააბარეს

ბერძნული გრანდი - „ოლიმპიაკოსი“ უახლოეს დღეებში ახალ მთავარ მწვრთნელს წარადგენს. „რეალის“ დამრიგებელ **ეტორე მესინასთან** წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობამ ალტერნატიული ვარიანტი მონახა.

„ოლიმპიაკოსიდან“ გაშვებულ **პანაიოტის იანაკისს** სერბეთის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი **დუშან ივკოვიჩი** შეცვლის. სწორედ ამ სერბმა სპეციალისტმა მოაგებინა 1997 წელს ერთადერთი ტიტული ევროლიგაში „ოლიმპიაკოსს“.

## პერასოვიჩი ეფესს გაწვრთნის

„ეფეს პილსენის“ ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა 45 წლის ხორვატი **ველიმირ პერასოვიჩი**. გამოცდილმა სპეციალისტმა ბოლო ორი სეზონი ზაგრების „ციბონაში“ იმუშავა და ამ კლუბთან ერთად ორჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ერთხელ კი ევროლიგის 16 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

მანამდე პერასოვიჩი ესპანეთში მუშაობდა - „ტაუგრესთან“, „კახა სან-ფერნანდოსთან“ და „ესტუდიანტესთან“. მოთამაშის ამპლუაში ველიმირს სამჯერ აქვს მოგებული ევროლიგა „იუგოპლასტიკას“ შემადგენლობაში (1989-91).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# 59:59! უიმბლდონზე კალათბურთის თამაშობენ

უიმბლდონზე გუშინ მეორე წრე დაიწყო, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში ლონდონური პუბლიკისა და მთლიანად საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება პირველი წრის მატჩისკენ იყო მიპყრობილი, რომელშიც ამერიკელი **ჯონ ისნერი** და ფრანგი **ნიკოლა მაუ** ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ეს მატჩი გუშინწინ იმ დროს შეწყდა, როცა სეტებს შორის ანგარიში 2:2 იყო. შეხვედრა გუშინ გაგრძელდა და ვინ წარმოიდგენდა, რომ სიბნელის გამო ორგანიზატორებს ამ მატჩის მეორედ გადადება მოუწევდათ. მეხუთე სეტში მეტოქეებმა 118 (!!!) გეიმი გაითამაშეს (უიმბლდონზე გადამწყვეტ სეტში ტაი-ბრეიკი არ თამაშდება) და პარტია 59:59-ზე შეწყდა. მატჩის სუფთა სათამაშო დრომ თითქმის ათი საათი შეადგინა, რაც აბსოლუტური რეკორდია. აქამდე ყველაზე ხანგრძლივი მატჩი 2004 წლის როლან გაროსზე ორმა ფრანგმა - **ფაბრის სანტორომ** და **არნო კლემანმა** ითამაშეს - მათ 6 საათი და 33 წუთი დაჰყვეს კორტზე. გუშინ ეს რეკორდი დაემხო.

გარდა ამისა, ჯონ ისნერი ერთ მატჩში შესრულებული ეისებით გახდა აბსოლუტური რეკორდსმენი - მას 98 (!!!) ისეთი მოწოდება დაუგროვდა, როცა მეტოქე ბურთს ვერ შეეხო. ამერიკელმა გააუმჯობესა ხორვატი **ივო კარლოვიჩის** რეკორდი - 78 ეისი 2009 წელს, დევისის თასზე ჩეხი **რადეკ შტეპანეკის** წინააღმდეგ. სხვათა შორის, კარლოვიჩის შედეგს მაუმაც გადააჭარბა - 94 ეისი.

ასევე ძალიან საინტერესოა ერთი მომენტი - თითქმის 10-საათიან მატჩში ისნერმა და მაუმ მხოლოდ თითო ბრეიკი მიითვალეს. სხვათა შორის, 59:58-ზე ამერიკელს მატჩბოლი ჰქონდა და მაუმ ეისით მოიგერია საფრთხე. ეს ისნერის მეორე მატჩბოლი იყო - პირველი შანსი მან 40 გეიმით ადრე ვერ გამოიყენა. ეს მარათონული შეხვედრა დღეს გაგრძელდება.

სანამ ისნერი და მაუ პირველ წრეში ამაოდ ცდილობდნენ გამარჯვებულის გამოვლენას, ფავორიტებმა წარმატებით დაძლიეს მეორე რაუნდი.

კაცებს შორის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა იყო მატჩი ამერიკელ **ენდი როდიკსა** და ფრანგ **მიკაელ ლოდრას** შორის. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა გასულ შაბათს ისტბურნში ტურნირი მოიგო, თანაც ფრანგს აშკარად წაადგა ცნობილ თანამემამულესთან, უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონ **ამელი მორესმოსთან** ერთთვიანი თანამშრომლობა. თუმცა ლოდრას უიმბლდონზე წილისყრის მხრივ არ გაუმართლა - უკვე მეორე წრეში შეხვდა შარშანდელ ფინალისტ ენდი როდიკს.

ლოდრას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ერთი ბრეიკის წყალობით პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. ფრანგი საკუთარ მოწოდებაზე დამაჯერებელი იყო და ენდის მთელი მატჩის განმავლობაში სულ სამი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ლოდრასთვის საუბედუროდ, ამერიკელმა სამივე შანსი გამოიყენა, რისი წყალობითაც მეორე და მესამე სეტებში გაიმარჯვა, მეოთხეში კი ტაი-ბრეიკზე მოუღო ბოლო მეტოქეს.

როდიკი ბალახის კორტებისთვის დამახასიათებელ კლასიკურ სტილში თამაშობდა - ჩაწოდება და ბადესთან გასვლა. ენდიმ ბადესთან 34 ქულა მოიგო, ამას 25 ეისიც დაუმატა და მხოლოდ 11 უნებლიე შეცდომა დაუშვა. შეიძლება ითქვას, რომ როდიკი მზად არის მინიმუმ შარშანდელი შედეგის გასამეორებლად.

კიდევ ერთხელ ანერვიულა თავისი გულშემატკივარი **როჯერ ფედერერმა**. პირველ წრეში კოლუმბიელ **ალეხანდრო ფალასთან** პრაქტიკულად წაგებული მატჩის მოგების შემდეგ, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ სერბ **ილია ბოჟოლიაკთან** ერთი სეტი დათმო - მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე დამარცხდა. ფედერერმა საკუთარ მოწოდებაზე უნაკლოდ ითამაშა - მეტოქეს არც ერთი ბრეიკი არ გააკეთებინა და პირველი მოწოდებით ქულების 75 პროცენტი აიღო.

მეორე სეტის წაგების შემდეგ, ფედერერს მეორე კრიტიკული მომენტი მეოთხე სეტში დაუდგა, როცა ტაი-ბრეიკზე 4:5 ჩამორჩა, მაგრამ ზედიზედ სამი ქულის აღებით პარტია და მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

**ნოვაკ ჯოკოვიჩმა** პირველ წრეში წვალების შემდეგ (1:2-დან შემოატრიალა მატჩის ბედი ბელგიელ **ოლივიე როხუსთან**), ამჯერად იოლად გაიკვლია გზა შემდეგ ეტაპზე. სერბს მხოლოდ პირველ სეტში მოუწია ბრძოლამ ამერიკელ **ტეილორ დენტთან** და ტაი-ბრეიკზე გაიმარჯვა. მატჩის ყველაზე საინტერესო მომენტი დენტის რეკორდი იყო. პირველ პარტიაში მის მიერ მოწოდებული ბურთის სიჩქარემ საათში 238 კილომეტრი შეადგინა. წინა რეკორდი დენტის თანამემამულე ენდი როდიკს ეკუთვნოდა - გასულ წელს მან 234 კმ/სთ სიჩქარით ჩააწოდა ბურთი.

■ ■ ■

ზედიზედ მეორე წრე გაიარა დამაჯერებლად უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონმა **ვენუს უილიამსმა**. ამერიკელს **ეკატერინა მაკაროვას** სახით მეტად სერიოზული მეტოქე ჰყავდა. რუსმა გასულ კვირას ისტბურნის ტურნირი მოიგო, თანაც ხუთივე მატჩში რეიტინგის საუკეთესო ოცეულის წევრებთან მოუწია თამაშმა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მაშინ მაკაროვამ სეტის წაუგებლად ზედიზედ მოუგო **პენეტას**, **პეტროვას**, **კუზნეცოვას**, **სტოსურსა** და **აზარენკას**.

რუსმა ეს სერია უიმბლდონის პირველ წრეში უნგრელი **აგნეშ შავაის** მოგებით გააგრძელა, მაგრამ მისი ზღაპარი გუშინ ვენუს უილიამსთან მატჩში დასრულდა. ამერიკელმა არანაირი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს, სულ 10 უნებლიე შეცდომა დაუშვა და 11 ქულა წააგო საკუთარ მოწოდებებზე. 6:0, 6:4 - თითქმის უბრძოლველად გავიდა მესამე წრეში უილიამსი.

ასევე საკუთარი მოწოდების წაუგებლად შეძლო ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** ხორვატი **კაროლინა შპრემის** დამარცხება - 6:3, 6:2. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს მხოლოდ სამი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია და ვენუსის მსგავსად თითქმის უშეცდომოდ ითამაშა - სულ 13 უნებლიე შეცდომა დაუშვა.



მესამე წრის საგზურის მოსაპოვებლად უფრო მეტი ჯაფა დაადგა მეორე ბელგიელ ფავორიტ **ჟუსტინ ანენს**. პირველი სეტის მიხედვით გერმანელ **კრისტინა ბაროისს** განადგურება ელოდა. ანენმა პირველი პარტიის მოგებას 33 წუთი მოანდომა, სამაგიეროდ, მეორე სეტი თითქმის ერთი საათი გაიწელა და ამაში დამნაშავე თავად ჟუსტინი იყო. 5:1 დაწინაურების შემდეგ, ბელგიელმა ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო და პარტიაში ანგარიში გათანაბრდა. ანენმა მე-11 გეიმში დროულად აიღო მორიგი ბრეიკი და შემდეგ მატჩზე დამაჯერებლად ჩააწოდა - 6:3, 7:5. ბელგიელს საკმაოდ კარგი სტატისტიკური მონაცემები ჰქონდა - ბადესთან 21 ქულა აიღო და აქტიური მოქმედებებით 38 გათამაშება მოიგო.

ჟუსტინს მესამე წრეში სერიოზული გამოცდა ელის რუს **ნადია პეტროვასთან**. სხვათა შორის, ამავე ეტაპზე რუსი მეტოქე ეყოლება კიმ კლაისტერსს - **მარია კირილენკო**. თუ ბელგიელები ამ მატჩებს მოიგებენ, მეოთხე წრეში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან.

## კაცები

### I წრე

**ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:7(4), 6:4, 6:3, 5:716:14; ნიკოლას მაუ (საფ)-ჯონ ისნერი (აშშ, 23) 4:6, 6:3, 7:6(7), 6:7(3), 59:59 შეწყდა;

### II წრე

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ილია ბოჟოლიაკი (სერ) 6:3, 6:7(4), 6:4, 7:6(5); **არნო კლემანი (საფ)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრა) 6:7(4), 6:3, 6:3, 6:4; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 22)**-რიკარდას ბერანკისი (ლიტ) 7:5, 4:6, 6:3, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 16)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:7(5), 4:6, 6:3, 7:6(6), 6:3; **ტომას ბერდიხი (ჩეხ. 12)**-ბენჯამინ ბეკერი (გერ) 7:5, 6:3, 6:4; **დენის ისტომინი (უზბ)**-რაინერ შუტლერი (გერ) 6:3, 7:6(5), 4:6, 4:6, 6:1; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ, 31)**-მარსელ ილჰანი (თურ) 6:4, 6:4, 3:6, 6:3; **დანიელ ბრანდსი (გერ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 7) 1:6, 7:6(5), 7:6(8), 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ტეილორ დენტი (აშშ) 7:6(5), 6:1, 6:4; **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 28)**-ბრენდან ევანსი (აშშ) 3:6, 6:3, 6:7(5), 6:1, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 21)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 6:4, 6:4, 6:7(4), 6:4**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 15)**-ევგენი კოროლიოვი (ყაზ) 6:4, 6:4, 3:0 კოროლიოვის ტრავმა; **ფლორიან მაიერი (გერ)**-მარდი ფიში (აშშ) 6:7(2), 6:3, 6:4, 6:4; **იუნ ჰსუნ ლუ (ტაივ)**-მიხალ პრჟისიეჟნი (პოლ) 6:4, 7:6(7), 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 29)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:6(6), 5:7, 2:6, 7:6(5), 9:7; **ენდი როდიკი (აშშ, 5)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 4:6, 6:4, 6:1, 7:6(2).

## ქალები

### I წრე

**დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 24)**-ვანია კინგი (აშშ) 6:7(4), 7:6(4), 6:3.

### II წრე

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 8)**-კაროლინა შპრემი (ხორ)- 6:3, 6:2; **მარია კირილენკო (რუს, 27)**-შენაი პერი (აშშ) 6:1, 6:4; **ჟუსტინ ანენი (ბელ, 17)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:3, 7:5; **ნადია პეტროვა (რუს, 12)**-იუნ იან ჩანი (ტაივ) 6:3, 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 15)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 7:6(9), 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 21)**-ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ) 6:1, 6:4; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 28)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 4:6, 6:4, 6:3; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 4:6, 6:2, 6:4; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:3, 6:4; **რეგინა კულიკოვა (რუს)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ, 30) 6:2, 6:4; **გრეტა არნი (უნგ)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 7:5, 6:4; **მარიონ ბარტოლი (საფ, 11)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) მარტიჩის უარი; **ანჟელიკ კერბერი (გერ)**-შაარ პეერი (ისრ, 13) 3:6, 6:3, 6:4; **იარმილა გროტი (ავსტრა)**-მელანი ოუდინი (აშშ, 33) 6:4, 6:3; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 26)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:4, 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 2)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:0, 6:4.

გია თვალაბეიშვილი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge

